

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
კონფლიქტების ანალიზი და მართვა

ინა შანავა

ადაპტაციისა და შეჭიდულობის ფაქტორების როლი ცოლ-ქმრულ
კონფლიქტებში

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სოციალურ მეცნიერებათა
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი, რევაზ ჯორბენაძე

თბილისი

2016

სარჩევი

შესავალი

თემის აქტუალობა	8
კვლევის მიზანი და ამოცანები.....	10
კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები	11
ნაშრომის მეცნიერული სიახლე.....	12
კონფლიქტების კვლევის თეორიულ-კონცეპტუალური საფუძვლები	13

I თავი

ოჯახის ფსიქოლოგიური მახასიათებლები	23
1.1. ოჯახის ტიპები	23
1.2. ოჯახის განვითარების პერიოდები და ფუნქციები	28
1.3. ოჯახური სისტემები და ქვესისტემები	31
1.4. ოჯახის ძირითადი თეორიები	36

II თავი

ოჯახური კონფლიქტების ფსიქოლოგიური მახასიათებლები.....	42
2.1. ცოლ-ქმრული კონფლიქტების განსაზღვრა.....	44
2.2. ცოლ-ქმრული კონფლიქტების კლასიფიკაცია	49
2.3. ოჯახური კონფლიქტების გამომწვევი ფაქტორები ადაპტაციის პერიოდში.....	51
2.4. კონფლიქტები და ძალადობა ოჯახში.....	53
2.5. განვითარებითი თეორიის როლი მშობელსა და შვილს შორის კონფლიქტების შესწავლისას.....	56
2.6. მშობლებს შორის კონფლიქტების გავლენა შვილებზე.....	58
2.7. აგრესია როგორც კონფლიქტების წყარო ოჯახში.....	62

III თავი

მეთოდოლოგია, ინსტრუმენტები	66
3.1. წრიული მოდელი	66
3.2 ცოლ-ქმრული და ოჯახური შეჭიდულობა (კოჰეზიურობა).....	66
3.3. ცოლ-ქმრული და ოჯახური ადაპტაციურობა	69
3.4. ცოლ-ქმრული და ოჯახური კომუნიკაცია.....	73
3.5. მეთოდის აღწერა, წრიულ მოდელზე ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები.....	77
3.6. ცოლ-ქმრული და ოჯახური ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის შეფასების სკალები (FACES) I, II, III, IV	79
3.7. თვითფლობის სკალა (Self-monitoring Scale).....	83
3.8. კონტროლის ლოკუსის სკალა (I-E Scale).....	84
3.9. ემოციური ემპათიის საზომი (QMEE)	85

IV თავი

4.1. კვლევითი ნაწილი.....	87
4.1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები.....	87
4.1.2. კვლევის მიმდინარეობა.....	88
4.2. შედეგების ანალიზი, საპილოტე გამოკითხვები I/II ეტაპები	91
4.3. II ეტაპი, შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მახასიათებლებისა და დებულებების სანდოობის დადგენა.....	94
4.4. III ეტაპი, შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) და აპტაციურობის ფაქტორთა განსაზღვრა.....	105
4.5. IV ეტაპი. სანდოობისა და ვალიდობის დადგენა	112
დასკვნა.....	130
გამოყენებული ლიტერატურა:.....	132
დანართი	142

დანართები

დანართი N1

დანართი N1. ვარიაციის პროცენტული მაჩვენებელი როგორც შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) ასევე, ადაპტაციურობის თითოეული დებულებისთვის142

დანართი N2. რეტესტული სანდოობისთვის კენდელის კოეფიციენტის მაჩვენებლები151

დანართი N3. რეტესტული სანდოობისთვის სპირმენის კოეფიციენტის მაჩვენებლები. 153

დანართი N4. T-test- პირველ და მეორე (განმეორებით) გამოკითხვებს შორის ქულათა საშუალოების შედარება155

დანართი N5. ჩვენს მიერ შემუშავებული, ცოლ-ქმრული შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის საკვლევი კითხვარი;.158

დანართი N6. ოლსენის ცოლ-ქმრული და ოჯახური ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის შეფასების სკალა (FACES) III.160

დანართი N7. სნაიდერის თვითფლობის სკალა.162

დანართი N8. კონტროლის ლოკუსის სკალა.163

დანართი N9. მერაბიანისა და ეპტეინის ემპათიის საზომი.166

ცხრილებისა და გრაფიკების ჩამონათვალი

ცხრილი N1 . ემპირიულ კვლევებში გამოყენებული ინსტრუმენტები81

ცხრილი N2. შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) და ადაპტაციურობის განზომილების საფეხურები და ტიპები (FACES II da FACES III)82

ცხრილი N3. შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) განსაზღვრელი 12 დებულებისთვის სანდოობის დასადგენად კრონბახის ალფა კოეფიციენტის მაჩვენებელი95

ცხრილი N4. ადაპტაციურობის განსაზღვრელი 12 დებულებისთვის სანდოობის დასადგენად კრონბახის ალფა კოეფიციენტის მაჩვენებელი 95

ცხრილი N 5. შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) განმსაზღვრელი დებულებების კენტ და ლუწ რიცხვებს შორის კორელაცია.....97

ცხრილი N6. ადაპტაციურობის განმსაზღვრელი დებულებების კენტ და ლუწ რიცხვებს შორის კორელაცია 97

ცხრილი N7. შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) და ადაპტაციურობის განმსაზღვრელ დებულებებს შორის კორელაცია 98

ცხრილი N8. წრფივი რეგრესიული ანალიზი ფაქტორებს შორის შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) განსასაზღვრად100

ცხრილი N9. წრფივი რეგრესიული ანალიზი ფაქტორებს შორის ადაპტაციურობის განსასაზღვრად 101

ცხრილი N10. განსხვავება სქესის მიხედვით შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) და ადაპტაციურობის მიხედვით 103

ცხრილი N11. განსხვავება შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) და ადაპტაციურობის განზომილებებში ასაკის მიხედვით 104

ცხრილი N12. განსხვავება შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) და ადაპტაციურობის განზომილებებში შვილების რაოდენობის მიხედვით104

ცხრილი N13. ადაპტაციურობის ხარისხის მაჩვენებელი105

ცხრილი N14. შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) ხარისხის მაჩვენებელი106

ცხრილი N15. წყვილებს შორის ურთიერთდამოკიდებულება 111

ცხრილი N16. რეტესტული სანდოობისთვის, გასაშუალოებული კორელაციის პირსონის კოეფიციენტის მაჩვენებელი114

ცხრილი N17. რეტესტული სანდოობისთვის, გასაშუალოებული კორელაციის კენდელის კოეფიციენტის მაჩვენებელი 114

ცხრილი N18. ჩვენს კითხვარსა და შეჭიდულობასა და ადაპტაციურობის შეფასების სკალა N3 (FACES) შორის პირსონის კორელაცია. 116

ცხრილი N19. ჩვენს კითხვარსა და შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის შეფასების სკალა N3 (FACES) შორის კენდელის კორელაცია 116

ცხრილი N20. მერაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომსა და ჩვენს კითხვარს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა ადაპტაციურობის მიხედვით 118

ცხრილი N21. მერაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომსა და ჩვენს კითხვარს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) მიხედვით. 119

ცხრილი N22. როტერის ლოკუსის კონტროლის სკალასა და ჩვენს კითხვარს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა ადაპტაციურობის მიხედვით. 120

ცხრილი N 23. როტერის ლოკუსის კონტროლის სკალასა და ჩვენს კითხვარს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) მიხედვით.. 121

ცხრილი N24. სნაიდერის თვითფლობასა და ჩვენს კითხვარს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა ადაპტაციურობის მიხედვით 122

ცხრილი N25. სნაიდერის თვითფლობასა და ჩვენს კითხვარს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) მიხედვით 123

ცხრილი N26. რეგრესიული ანალიზი მერაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომსა და ჩვენს ინსტრუმენტს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრად 124

ცხრილი N27. რეგრესიული ანალიზი სნაიდერის თვითფლობის სკალასა და ჩვენს ინსტრუმენტს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრად 124

ცხრილი N28. წრფივი რეგრესიული ანალიზი როტერის ლოკუსის კონტროლის სკალასა და ჩვენს ინსტრუმენტს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრად 125

ცხრილი N29. პირსონის კორელაცია სნაიდერის თვითფლობას, მერაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომს, როტერის ლოკუსის კონტროლსა და ჩვენს ინსტრუმენტს შორის 126

ცხრილი N30. კენდელის კორელაცია სნაიდერის თვითფლობას, მერაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომს, როტერის ლოკუსის კონტროლსა და ჩვენს ინსტრუმენტს შორის127

ცხრილი N31. სპირმენის კორელაცია სნაიდერის თვითფლობას, მერაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომს, როტერის ლოკუსის კონტროლსა და ჩვენს ინსტრუმენტს შორის129

გრაფიკები

გრაფიკი N1. 16 ოჯახის ტიპის კატეგორიაში წყვილების პროცენტული განაწილება. . .
.....107

გრაფიკი N2. 16 ოჯახის ტიპის კატეგორიაში, პროცენტული მაჩვენებელის მიხედვით მამრობითი სქესის რესპონდენტების განაწილება 108

გრაფიკი N3. 16 ოჯახის ტიპის კატეგორიაში, პროცენტული მაჩვენებელის მიხედვით მდედრობითი სქესის რესპონდენტების განაწილება110

შესავალი

თემის აქტუალობა: ცოლ-ქმრული კონფლიქტების კვლევამ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ოჯახის კვლევებში მნიშვნელოვან საფეხურს მიაღწია. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ცოლ-ქმრული კონფლიქტებით განსაკუთრებული დაინტერესების, შესწავლისა და კონფლიქტების დროს, ოჯახის წევრთა ქცევების მრავალწლიანი კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე, სხვადასხვა მეცნიერთა მიერ კონფლიქტების მართვის მნიშვნელოვანი მიდგომები გამოიკვეთა. მიუხედავად ამისა, კონფლიქტები და პრობლემები, ოჯახურ ურთიერთობებში, ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ოჯახი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, განუწყვეტლივ იმყოფება განვითარების პროცესში, რის გამოც წარმოიქმნება მნიშვნელოვნად განსხვავებული და განუსაზღვრელი სიტუაციები, რომლებზე ოჯახის წევრთა რეაგირება მათ პიროვნულ მახასიათებლებზეა დამოკიდებული, შეიძლება ითქვას, რომ ოჯახი წარმოადგენს სოციალური ერთობის იმ უმცირეს არენას, სადაც პიროვნებათაშორისი, მცირე ჯგუფში მიმდინარე, კონფლიქტი იჩენს თავს და სადაც ყოველთვის არსებობენ კონფლიქტების წარმოქმნის პოტენციური წყაროები.

საქართველოში ცოლ-ქმრული და ოჯახური კონფლიქტები საზოგადოებისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ხშირად ქორწინება განქორწინებით მთავრდება, რასაც, ჩვეულებრივ, წინ უძღვის და რაც ხშირად განპირობებულია ოჯახის წევრების წარუმატებელი მცდელობით თავი აარიდონ, ან გადაჭრან კონფლიქტები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევაში, 2006-2015 წლების განმავლობაში, საქართველოში დაფიქსირებულ განქორწინებათა მაჩვენებლებია მოცემული. შეიძლება ითქვას, რომ ცალსახად მზარდი ტენდენციაა გამოკვეთილი.

საქართველოში რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა წლების მიხედვით

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
განქორწინებათა რაოდენობა	2 060	2 325	3 189	4 030	4726	5 850	7 136	8 089	9 119	9 112

წყარო: საქსტატი

ვფიქრობ, კონფლიქტური ინტერაქციის კვლევის აუცილებლობის გამამყარებელ მტკიცებულებად შეიძლება ჩათვალი იქნას არა მხოლოდ განქორწინებათა რიცხოვრივი მაჩვენებლები, არამედ ცოლ-ქმრული კონფლიქტებისგან გამოწვეული ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობის დარღვევების მზარდი მაჩვენებლები და ინდივიდების შეუსაბამო, არაადეკვატური უკურეაქციები კონფლიქტურ სიტუაციებში. მკვლევართა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ რაც უფრო მეტი სიხშირით ხდება ოჯახებში კონფლიქტი, მით უფრო მეტია ასეთ ოჯახებში ძალადობის ალბათობა (Coleman & Straus, 1986; Straus, Gelles, & Steinmetz, 1980; Warner, 1981). ძალადობა არის მაგალითი მოუგვარებელი, ცუდად მართული კონფლიქტების უკიდურესი ფორმის (Tjosvold et al., 1991).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2007-2014 წლების იანვარ-ივნისში გამოვლინდა 4 935 ოჯახური კონფლიქტი და ამ კონფლიქტებში მონაწილე 10 188 პირი. ამავე პერიოდში, 47,2% ფიზიკური, 42,8% ფსიქოლოგიური, 4,7% ეკონომიკური, 2,2% იძულების, 1,4% სექსუალური და 1,7% სხვა ოჯახური ძალადობის სახეები დაფიქსირდა.

შესაძლოა, კონფლიქტები ოჯახში ბუნებრივი, გარდაუვალი, აუცილებელი და ნორმალური პროცესი იყოს, მაგრამ ხშირად პრობლემას არა კონფლიქტის არსებობა, არამედ კონფლიქტისადმი მიდგომა წარმოადგენდეს. ის, თუ როგორ აღიქვამენ ოჯახის წევრები კონფლიქტს, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პრობლემის პოზიტიურად გადაწყვეტის შესაძლებლობას (Mayer, 2000).

ცოლ-ქმრული კონფლიქტებისადმი ინტერესი, ბოლო წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერების სხვადასხვა სფეროს, როგორც თეორეტიკოსების, ასევე

პრაქტიკოსების მხრიდან და როგორც ხშირად აღნიშნავენ, ეს ინტერესი დაკავშირებულია იმ როლთან, რაც მას გააჩნია პიროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესთან, ხოლო გამომდინარე აქედან, მთლიანად საზოგადოების მომავალთან. ცოლ-ქმრულ კონფლიქტზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ როგორ გავლენას ახდენს ის ბავშვებზე, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გზებით, მიუხედავად მათი სქესისა და ასაკისა (Cummings, 1998; Cummings, Ballard, & El-Sheikh, 1991). ბავშვებისთვის დესტრუქციული ცოლ-ქმრული კონფლიქტების მიმართ განმეორებადი ექსპოზიცია უკავშირდება ისეთ ინტერნალურ პრობლემებს, როგორცაა დეპრესია და დაბალი თვით-შეფასება და ისეთ ექსტერნალურ პრობლემებს, როგორც არის დელიკვენტობა, აგრესია და ასევე აკადემიური მოსწრების, სოციალური და ინტერპერსონალური რეგულირებისა და ზოგადი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები (Cummings & Davies, 1994). მრავალი რისკი არსებობს იმ ბავშვების ჯანსაღ განვითარებასთან დაკავშირებით, რომლებიც განმეორებადი ცოლ-ქმრული კონფლიქტის მომსწრენი არიან. (Cummings, 1998).

საქართველოში დღემდე ჩატარებული კვლევები („სახლი“, 2004; „საქსტატი“, 2015, „შსს“, 2007-2014)¹ ძირითადად, ასახავდა ცოლ-ქმრული კონფლიქტების მიზეზებსა და რაოდენობას. სამწუხაროდ, არცერთი კვლევა არ ჩატარებულა შეფასებითი მოდელებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, რამაც განაპირობა ჩვენი დაინტერესება აღნიშნული საკითხით. ვფიქრობ, ამ მხრივ ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან სიახლეს და შერჩეული საკვლევი თემის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

კვლევის მიზანი: ჩვენი კვლევის მთავარ მიზნად დავსახეთ შეგვემოუზავებინა ცოლ-ქმრული კონფლიქტების საკვლევი ინტრუმენტი, რომელიც სპეციფიკური ცვლადების - შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის გაზომვით, იძლევა საშუალებას განსაზღვრულ იქნას, თუ რომელ საფეხურზე შეიძლება აღმოჩნდნენ ოჯახის წევრები

¹ „სახლი“, ქალთა საკონსულტაციო ცენტრი (2004) „კონფლიქტურ ვითარებებში ცოლ-ქმრული ურთიერთობის თავისებურებანი“.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2015) სტატისტიკური ინფორმაცია, მოსახლეობა - განქორწინება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საინფორმაციო - ანალიტიკური დეპარტამენტი (2007-2014) ოჯახური ძალადობა, ოჯახური კონფლიქტები.

ცოლ-ქმრული და ოჯახური სისტემების წრიულ მოდელზე, (Olson., Russel., & Sprenkle., (1979) Circumplex model of marital & family systems) რომელიც ოჯახების თექვსმეტ ტიპს აერთიანებს.

კვლევითი ამოცანები:

სადისერტაციო ნაშრომის მიზნის შესასრულებლად, გამოიკვეთა შემდეგი საკვლევო ამოცანები:

- ქართული პოპულაციისთვის კულტურის, ტრადიციებისა და ფსიქოსოციალური მახასიათებლების გათვალისწინებით კითხვარის შექმნა, რომელიც ცოლ-ქმრული შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის განზომილებების დიაგნოზირებისა და შეფასებებისათვის განსაკუთრებული ცნებებისა და ცვლადების გამომხატველია.
- ჩვენ მიერ შემუშავებული კითხვარის საშუალებით განისაზღვროს, ქართველ წყვილებში, კონფლიქტების პროცესში, თუ რა როლი აქვს ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) ფაქტორს და როგორ გადანაწილდებიან წრიულ მოდელზე მოცემულ 16 შესაძლო ტიპში.
- ცოლ-ქმრული კონფლიქტების საკვლევო სკალებისა და მეთოდების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდეს წრიული მოდელის, როგორც ოჯახების სისტემური კვლევის სიახლის მნიშვნელობა, ქართულ რეალობაში.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები: საქართველოში, ცოლ-ქმრული კონფლიქტების საკვლევად წრიული მოდელის გამოყენება სიახლეს წარმოადგენს. ოლსენის ცოლ-ქმრული და ოჯახური სისტემების წრიული მოდელი ერთ-ერთი, გამორჩეულად მნიშვნელოვანი მოდელია თანამედროვე ოჯახის შესწავლის მეცნიერებებში (Olsen, 1976). ნახევარი საუკუნის განმავლობაში შესწავლილი კვლევები და თეორიები, ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის შესახებ, გაერთიანებულია მოდელში და ის კონცეპტუალურად ღია, ადვილად გასაგები და გამოყენებადია (Olsen, 1986). ჩვენ, საზომი ინსტრუმენტის შექმნის პროცესში, გამოვიყენეთ სტანდარტული პროცედურები, რაოდენობრივი მეთოდები და კვლევა

რამდენიმე ეტაპად ჩავატარეთ. კვლევისათვის ჩვენ მიერ გამოყენებული იქნა სპეციალურად შედგენილი კითხვარი, ინსტრუმენტები და შემდეგი თვით აღწერითი საზომები: თვითფლობის სკალა (Snyder, 1972), კონტროლის ლოკუსის სკალა (Rotter, 1996), ემპათიური ემპათიის საზომი (Mehrabian & Epstein, 1972) რომლებიც სდანიდარტიზებულია ქართულ პოპულაციაზე ავტორების მიერ - სუმბაძე, ქიტიაშვილი, ფირცხალავა, მაისურაძე (2012).

ჩამოთვლილი მეთოდების გამოყენება განაპირობა ჩვენმა მიზანმა, განგვესაზღვრა არსებობდა თუ არა სტატისტიკურად სანდო კავშირი ჩვენს ინსტრუმენტსა და აღნიშნულ მეთოდებს შორის, კერძოდ, შეგვემოწმებინა ჩვენი ვარაუდი, რომლის თანახმადაც:

1. თვითფლობის მაღალი მაჩვენებელი კავშირში იქნება შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაღალ მაჩვენებელთან, ხოლო თვითფლობის დაბალი მაჩვენებელი, შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის დაბალ მაჩვენებელთან;
2. როტერის ლოკუსის კონტროლის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი კავშირში იქნება შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის დაბალ მაჩვენებლებთან, ხოლო ლოკუსის კონტროლის დაბალი მაჩვენებელი, კავშირში იქნება შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაღალ მაჩვენებელთან;
3. ემპათიურობის მაღალი მაჩვენებელი კავშირში იქნება შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაღალ მაჩვენებელთან, ხოლო ემპათიურობის დაბალი მაჩვენებელი - შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის დაბალ მაჩვენებელთან.

კვლევაში მონაწილე 1800 რესპონდენტიდან, რომლებიც იმყოფებოდნენ ქორწინებაში და წარმოადგენდნენ ნუკლეარულ ოჯახებს, გამოვიყენეთ 1704 რესპონდენტის მონაცემი, რომლებიც ვარგისი აღმოჩნდა ჩვენი ანალიზისათვის. კვლევა საქართველოს რამდენიმე ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ზუგდიდი, წალენჯიხა) 2011-2016 წლების განმავლობაში მიმდინარეობდა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: ოჯახური და ცოლ-ქმრული კონფლიქტების მოგვარების პროცესში, ჩვენ მიერ შემუშავებული ინსტრუმენტი, ვფიქრობ, მკვლევარებს დაეხმარება მიიღონ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზე იმყოფება ოჯახი,

როგორი იყო მდგომარეობა წარსულში, რა მიმართულებით სურს ცვლილება და რა იწვევს ოჯახის წევრებში კონფლიქტების წარმოშობას. უფრო კონკრეტულად კი, მკვლევარს აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით, შეუძლია წყვილებს შორის შემდეგ კომპონენტებზე მიიღოს ინფორმაცია:

- ✓ კონფლიქტები (წყვილებს შორის არსებული პრობლემების გამოვლენა, ხანგრძლივობისა და გადაწყვეტის ფორმების განსაზღვრა).
- ✓ ოჯახის სტრუქტურა (ოჯახის წევრობა, ძალაუფლება, უფლება-მოვალეობები).
- ✓ ოჯახის ფუნქციონირება (ოჯახის სასიცოცხლო ციკლი, როლები, წესები, კომუნიკაცია, უნარები კონფლიქტების გადასაჭრელად).

ვფიქრობ, ინსტრუმენტი პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რადგან მკვლევარს ინდივიდუალურად შეეძლება გარკვეული დროის ინტერვალებით, წყვილების კვლევა და დახმარებისთვის შემდგომი გზების დასახვა.

კონფლიქტების კვლევის თეორიულ-კონცეპტუალური საფუძვლები: კონფლიქტისადმი დამოკიდებულებებისა და კონფლიქტის როლის შესახებ არსებული მრავალფეროვანი მიდგომებიდან გამომდინარე, კონფლიქტის განმარტებები განსხვავებულია. მკვლევარები ძირითადად მიუთითებენ, რომ კონფლიქტი ადამიანის სოციალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ძირითად მიზეზად ინდივიდების ურთიერთ შეუთანხმებელ ინტერესებს, საჭიროებებს, ურთიერთ საწინააღმდეგო მოქმედებებსა და აქტივობებს, ღირებულებებსა და მიზნებს გამოყოფენ, რომელიც ორივე მხარისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი და სასურველი შეიძლება იყოს. ადამიანებს აქვთ განსხვავებული სურვილები, მაგრამ, ასევე, შესაძლოა ჰქონდეთ მსგავსი სურვილები, შეზღუდული შესაძლებლობებით.

კონფლიქტის განმარტების მრავალ მიდგომას შორის, მნიშვნელოვანად მივიჩნით განგვესაზღვრა კონფლიქტის არსისადმი ზოგიერთ მეცნიერთა დამოკიდებულებები.

- კონფლიქტისადმი ტენდენცია არის ადამიანური ბუნების ძირითადი ელემენტი (Machiavelli, 1531/1948, 1532/1948; და Hobbes , 1651/1947).

- კონფლიქტები და დაპირისპირება განსაზღვრავს ინდივიდის სოციალურ არსებობას იმის მტკიცებით, რომ მხოლოდ ყველაზე ძლიერ სახეობას შუემდლია გადარჩეს (Darwin, 1859/1958; Malthus, 1789/1894).
- კონფლიქტი არის ბუნებრივი პროცესი, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ ევოლუციას (Herbert Spencer, 1898).
- კონკურენციამ გადარჩენისათვის, განაპირობა პოზიტიური სოციალური განვითარება (William Graham Sumner, 1883).

²მარქსისტული თეორიის (1844) თანახმად, კონფლიქტი საზოგადოების მთავარ სტრუქტურულ პირობას და პიროვნებათშორის ურთიერთობებში კი - მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამავე თეორიის მიხედვით, ინდივიდის ფიქრები და ქცევები დიალექტურ პროცესებში ვლინდება: თეზისები, ანტითეზისები და სინთეზი და რომ, ასევე, უმნიშვნელოვანესია კლასობრივი და პოლიტიკური კლასიფიკაციის განსაზღვრა.

ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორიის (1949) თანახმად, კერძო ინტერესები (პირადი ინტერესები) ადამიანის მთავარი მახასიათებელია, რომელსაც მართავს ცნობიერება და არსებობს აგრესიული არაცნობიერი ძალები, რომლებიც ეძებენ გამოხატვის გზებს.

ფემინისტური მიდგომები კონფლიქტის მეთოდებს იყენებდნენ, როგორც ზოგადად გენდერული ურთიერთობების, ასევე ოჯახის გავლენების გასაანალიზებლად. იკვლევდნენ ოჯახის როლს მამაკაცისა და ქალის ურთიერთობებში, განსხვავებების განსაზღვრად. აღსანიშნავია, რომ კვლევების დიდი ნაწილი კონფლიქტის თეორიებს არ მოიცავდა. უმეტესწილად, კონფლიქტებზე ჩატარებულ კვლევებში, ყურადღება გამახვილებული იყო კონფლიქტის ფუნქციაზე, როგორც ინდივიდუალურ ფენომენზე და არა როგორც კონფლიქტზე ინტერპერსონალურ ურთიერთობებში. (Farrington & Chertok, 1993)

Farrington -ისა და Keith -ის მოსაზრებით, ოჯახური კონფლიქტი არის მკაფიოდ მაკროსტრუქტურული (1993, გვ. 370). ამ მიდგომის თანახმად:

² Farrington, K., & Chertok, E. (1993). Social conflict theories of the family. In P.G. Boss, W. J. Doherty, R. LaRossa, W. R. Schumm, & S. K. Steinmetz (Eds.), *Sourcebook of family theories and methods: A contextual approach* (pp. 357-381). New York: Plenum;

- ოჯახის სტრუქტურული ცვლილებები (ოჯახები სიღარიბეში, ოჯახის წარმომავლობა) არის ძალიან მნიშვნელოვანი;
 - საზოგადოებრივი წყობა ხელშეწყობილია ოჯახების მიერ ბავშვების სოციალიზაციისა და ძალაუფლების სტრუქტურების მიერ (საოჯახო საქმეების განაწილება).
- ოჯახები არის პარადოქსული, მოიცავს რა:

- სტრუქტურულ მექანიზმებს, რომლებიც არეგულირებენ ძალაუფლებას;
- ხასიათდება პროცესებით, რომლებიც იწვევენ კონფლიქტის გამძაფრებას.

კონფლიქტის არსებობა ოჯახში ხშირად დესტრუქციულად არის აღქმული, თუმცა მეცნიერები ასევე კონფლიქტის კონსტრუქციულ ფუნქციებზე აკეთებენ აქცენტს:

- კონფლიქტის არსებობა საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს;
- კონფლიქტი ხელს უწყობს პიროვნულ განვითარებას;
- კონფლიქტი წარმოადგენს ეფექტურ მეთოდს ოჯახის წევრებისთვის, მიაღწიონ შეთანხმებას უკვე არსებული თუ მოსალოდნელი პრობლემების მოსაგვარებლად.

კონფლიქტი თავის მხრივ არ არის ნეგატიური. ეს დამოკიდებულია წყვილების უნარზე, თუ როგორ შეძლებენ ისინი პრობლემის მოგვარებას იმგვარად, რომ არ დაზიანდეს ურთიერთობის ხარისხი და შესაბამისად, მიიღონ პოზიტიური ან ნეგატიური შედეგები (Borisoff & Victor, 1989; Cummings & Davies, 1994; Lloyd & Emery, 1994; Lulofs, 1994). კონფლიქტის მართვა შეიძლება ცვალებადობდეს რაციონალურ დისკუსიებში ვერბალური და არავერბალური აქტივობების ჩათვლით, რომელიც შესაძლოა მტკივნეული გახდეს მხარისთვის და გადაიზარდოს ფიზიკურ ძალადობაში (Gelles, 1987). კონფლიქტების წარმატებული მართვა გადამწყვეტ კავშირშია ცოლ-ქმრულ, ოჯახურ და ცხოვრებით კმაყოფილებასთან (Jones & Gollais, 1989). ახლო ცოლ-ქმრული ურთიერთობის შესანარჩუნებლად, კონფლიქტების პოზიტიურად გადაწყვეტა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს (Jones & Gollais, 1989; Kurdek, 1995). მეთოდები, რომლებსაც ინდივიდები კონფლიქტების სამართავად იყენებენ, პირდაპირ ახდენენ გავლენას ურთიერთობის ხარისხზე, პიროვნულ განვითარებასა და პიროვნებათაშორის ძალადობის რისკებზე (Canary et al., 1995).

თეორეტიკოსთა და მკვლევართა გარკვეული ნაწილი, ადამიანის ინტელექტუალური განვითარების ისტორიას სოციალური კონფლიქტების მნიშვნელობას მიაწერენ (Farrington & Chertok, 1993). თეორიების დიდ ნაწილში, სადაც ფუნდამენტური საკითხები მიმართულია კოგნიტური და სოციალური განვითარებისკენ (i.e., Freud, Erikson, and Piaget), კონფლიქტი განხილულია ცვლილებების, ადაპტაციურობისა და განვითარებისთვის აუცილებელ კომპონენტად (Bovino, 1993, p. 15).

წლების განმავლობაში, ოჯახის თეორეტიკოსებისა და მკვლევარების ძალიან მცირე ნაწილის მიერ, იყო კონფლიქტის თეორია გამოყენებული ცოლ-ქმრული კონფლიქტების შესასწავლად. Klein -ისა და Schvaneveldt (1977) -ის თანახმად, თანამედროვე თეორეტიკოსები ოჯახების კვლევაში, სოციალური კონფლიქტის მიდგომების მნიშვნელოვან წვლილზე არც ამახვილებდნენ ყურადღებას.

Jetse Sprey (1969) -ის სახელთან არის დაკავშირებული კონფლიქტის მეთოდების დანერგვა ოჯახის შესწავლის პროცესში (Farrington & Chertok, 1993). Sprey (1969) -ის თანახმად, ოჯახი წარმოადგენდა „სისტემას კონფლიქტში“ და გამოთქვამდა ვარაუდს, რომ:

- კონფლიქტი არის ტიპიური, (სიმბოლური). ჰარმონია არის პრობლემატური.
- კვლევების საშუალებით შესაძლებელია შემოწმდეს ოჯახის წევრთა უნარი კონფლიქტების დარეგულირებაში.

სპრეი და მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, ცდილობდნენ კონფლიქტის პოზიტიური როლი წარმოეჩინათ (Farrington & Chertok, 1993). ამ მეცნიერთა მოსაზრებით, კონფლიქტებს ურთიერთობის გაძლიერება ცვლილებებითა და პიროვნული ზრდის საშუალებით შეუძლიათ (Cummings & Davies, 1994; Farrington & Chertok, 1993). მკვლევართა დიდი ნაწილი ეთანხმება Sprey -ის, რომ კონფლიქტი ნებისმიერი ურთიერთობის განუყოფელი ნაწილია (Cummings & Davies, 1994; Lloyd & Emery, 1994; Mayer, 1995; Steinmetz, 1987; Stockard & Lach, 1989; Straus, 1990b). ისეთი ახლო ურთიერთობების მქონე სოციალური ჯგუფი, როგორც ოჯახია, კონფლიქტების გამოვლენის კუთხით, გამონაკლისს არ წარმოადგენს (Blood, 1960; Farrington & Chertok, 1993; Sprey, 1969).

³რამდენადაც ავლნიშნეთ, ქორწინება და ცოლ-ქმრული ურთიერთობები მკვლევართა დიდი ინტერესისა და ყურადღების სფეროს წარმოადგენს და მათი მცდელობები, გაეზომათ ცოლ-ქმრული ურთიერთობების თვისებრივი ასპექტები, ჯერ კიდევ 50 წლის წინ დაიწყო. კვლევითი საზომები მთელი ამ ხნის განმავლობაში ვითარდებოდა და სრულყოფილ სახეს იძენდა. სკალები შემდეგი ძირითადი კომპონენტების საფუძველზე შემუშავდა:

- ✓ დამოკიდებულებები ქორწინებისადმი/ურთიერთობებისადმი ;
- ✓ ქორწინება და ორსულობა;
- ✓ ურთიერთობების/ქორწინების ხარისხის საზომები;
- ✓ ურთიერთობებში/ცოლ-ქმარს შორის ძალადობა;
- ✓ განცალკევება/განქორწინება;
- ✓ გენდერული როლები;
- ✓ ცოლ-ქმრული მხარდაჭერა;
- ✓ სექსუალური სიახლოვე;
- ✓ ქორწინებისა და სამსახურისადმი დამოკიდებულება;
- ✓ ქორწინებისა და რელიგიისადმი დამოკიდებულება;
- ✓ ვალდებულებები;
- ✓ კომუნიკაცია;
- ✓ ინტიმი;
- ✓ სიყვარული;
- ✓ ქორწინება და ფინანსური მენეჯმენტი;
- ✓ ქორწინება და სტრესული მოვლენები;
- ✓ სამხედრო ოჯახი;
- ✓ ურთიერთობით/ცოლ-ქმრული კმაყოფილება;
- ✓ ნდობა;

ჩვენ მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი ცოლ-ქმრული კონფლიქტების საკვლევი ინსტრუმენტები და კონფლიქტების ინტეგრაციული ანალიზი წარმოადგენს მცირე

³ Carrano, J., Cleveland, K., Bronte-Tinkew, J., & Moore, K. A. - Conceptualizing and Measuring “Healthy Marriages” For Empirical Research and Evaluation Studies: A Compendium of Measures- Part II (Task One)

ნაწილს, რომელიც მკვლევართა და მეცნიერთა მიერ ბოლო ათწლეულებში იქნა შემუშავებული:

- ცოლ-ქმრული კონფლიქტის განსაზღვრა (Christensen & Pasch 1993, Weiss & Dehle (1994);
- კონფლიქტების განხილვა ახლო ურთიერთობის მქონე ადამიანებში (Holmes & Murray (1996);
- კონფლიქტების სისტემური მოდელი (Emery 1992, Pruitt & Ozelak 1995);
- ინტერპერსონალური და საერთაშორისო კონფლიქტების ურთიერთშედარება (Rubin & Levinger 1995);
- სოციალური კონფლიქტების განხილვა (Pruitt 1997);
- უთანხმოების კითხვარი (DQ; Beier & Sternberg, 1977);
- კონფლიქტის ტაქტიკების სკალა (CTS; Straus, 1979);
- პრობლემების განმარტების სკალა (CPS; Heatherington, 1998)
- კონფლიქტების მოგვარების სკალა ENRICH (Olson, Fournier, & Druckman, 1985);
- პიროვნული პრობლემების სკალა ENRICH (Olson, Fournier, & Druckman, 1985);
- ცოლ-ქმრული კონფლიქტების სკალა (KMCS; Eggeman, Moxley, & Schumm, 1985);
- ცხოვრებისეული დისტრესის კითხვარი (LDI; Thomas, Yoshioka, & Ager, 1993);
- ცოლ-ქმრული ლოკუსის კონტროლის სკალა (MMLOC; Miller, Lefcourt, & Ware, 1983);
- ურთიერთობების დინამიკის სკალა (Stanley & Markman, 1996);
- ცოლ-ქმრული შეთანხმებულობის ტესტი (LWMAT; Locke & Wallace, 1959).

სისტემური ფსიქოლოგიური კვლევა ქორწინებაზე დიდწილად წარმოიშვა კლინიკურ ფსიქოლოგებში, რომელთაც უნდოდათ უკეთ დახმარებოდნენ იმ წყვილებს, რომლებიც განიცდიდნენ ცოლ-ქმრულ სტრესს. ამ განვითარებიდან 30 წლის მანძილზე, ცოლ-ქმრულ კონფლიქტს განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭა ქორწინების ლიტერატურაში, რომელიც დასტურდება სამ ინდექსში: (Fincham, 2003)

1. ქორწინებაზე გავლენის მქონე მრავალ თეორიებში, მეტწილად აისახება მოსაზრება, რომ „სტრესი არის კონფლიქტზე წყვილების ანტიპათიური და არაეფექტური პასუხის შედეგი“ (Koerner & Jacobson, 1994, p. 208).
2. ქორწინებაზე ჩატარებულ კვლევებში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რას აკეთებენ მეუღლეები, როცა ისინი ერთმანეთს არ ეთანხმებიან და, ასევე, ცოლ-ქმრული ურთიერთობების მიმოხილვაში დომინირებს კვლევები კონფლიქტის და პრობლემის გადაჭრის შესახებ (Weiss & Heyman, 1997).
3. ფსიქოლოგიური ჩარევები სტრესირებულ ოჯახებში ხშირად მიზნად ისახავს კონფლიქტების გადასაჭრელი უნარების ჩამოყალიბებას (Baucom, Shoham, Mueser, Daiuto, & Stickle, 1998).

როგორც ავღნიშნეთ, ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში კონფლიქტების გამომწვევ მრავალ მიზეზთა შორის, მიუთითებენ, რომ მოთხოვნილებებმა პარტნიორის სულიერ, სექსუალურ და ინტიმურ-პიროვნულ ხარისხსა და აუცილებლობაზე, თანამედროვე მონოგამიურ ქორწინებაში, დესტაბილიზაციის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი გაზრდა განაპირობა.

Obozov & Obozova (1981, 1982) ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში ოთხ დონეს და შესაბამისად, დისჰარმონიის ოთხ სახეს გამოყოფენ:

- ✓ ფსიქო - ფიზიოლოგიური (ფსიქო - ფიზიოლოგიური შეუთავსებლობა);
- ✓ ფსიქოლოგიური (ფსიქოლოგიური შეუთავსებლობა);
- ✓ სოციალურ-ფსიქოლოგიური (ოჯახურ-როლური შეუთავსებლობა);
- ✓ სოციო - კულტურული (სულიერი, პიროვნული შეუთავსებლობა).

ფსიქო -ფიზიოლოგიური საფეხური არ შემოისაზღვრება მხოლოდ სექსუალური კონტაქტებით და გულისხმობს, რომ ურთიერთობას აქვს მნიშვნელობა პარტნიორების არა მხოლოდ სუფთა სექსუალური მახასიათებლების თვალსაზრისით, არამედ პარტნიორის გარეგნობის, რეაქტიულობისა და ქცევის ფსიქოდინამიური მახასიათებლების მიხედვითაც.

ფსიქოლოგიური - მეუღლეთა ურთიერთობის ეს დონე მოიცავს პიროვნებათაშორის ურთიერთობებს და მთავარ ფუნქციად ითვლება შერჩევითი კონტაქტები, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების უფრო სრულ თვითგამოხატვას. ამ

დონის ფარგლებში რეალიზებული ფსიქოლოგიური კონტაქტები მიზნად ისახავს პარტნიორებს შორის ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების თვითგამოხატვას, განუმეორებელი ინდივიდუალურობის განვითარებას, იძლევა გაგების თერაპიულ ეფექტს, თანხმობას, პიროვნების მიღებას, ითვლება მორალური და ემოციონალური მხარდაჭერის წყაროდ.

ფსიქოლოგიური დისჰარმონია გამოიხატება მეუღლე პარტნიორთა მზარდი გაუცხოებით, დაძაბული ატმოსფეროსა და პირადული ხასიათის კონფლიქტების წარმოქმნით, მეუღლის მხრიდან კრიტიკის, ხასიათისა და ტემპერამენტის მიუღებლობით. მწვავედება ინიციატივის, ძალაუფლებისა და ლიდერობის განაწილების პრობლემა. ფსიქოლოგიური დისჰარმონიის ყველაზე ნათელი გამოხატულებაა მეუღლეთა მიერ ერთმანეთის გადაღლა და გაღიზიანება, ერთმანეთთან ურთიერთობის მისაღები ფორმების არ არსებობა, ოჯახში ფსიქოლოგიური კლიმატის ხანგრძლივი რღვევა.

სოციალურ-ფსიქოლოგიური - როცა ცოლქმრული ურთიერთობის არსს წარმოადგენს მეუღლე-პარტნიორების თანამშრომლობა, ოჯახური ფუნქციების რეალიზაციისათვის (ბავშვების დაბადება და პირველადი სოციალიზაცია, ოჯახის წევრებს შორის ეკონომიკური, მორალური და ემოციონალური მხარდაჭერა, დასვენების ორგანიზება და ა. შ.) მეუღლეთა ოჯახურ-როლურ შეთავსებულობაში იგულისხმება შეთანხმებულობა ოჯახურ ღირებულებებსა და როლურ წარმოდგენებზე, ოჯახში ქმრისა და ცოლის ფუნქციების შესახებ. ოჯახური ღირებულებები ქმნიან იერარქიულ სკალას, რომლის შესაბამისადაც, ორივე მეუღლე, პირველ რიგში, უპირატესობას ამა თუ იმ ოჯახურ ფუნქციას ანიჭებს, რომელსაც ის უთმობს მეტ დროს, ენერგიას და ყურადღებას. ოჯახურ ღირებულებებზე შეუთანხმებლობა და მათი რეალიზების დაბალი ხარისხი განაპირობებს ოჯახურ-როლურ დისჰარმონიას და პარტნიორთან თანაცხოვრებით უკმაყოფილებას. ხოლო, რაც შეეხება, შეთანხმებულობას როლურ წარმოდგენაზე - ოჯახში ქმრისა და ცოლის ფუნქციების შესახებ, ოჯახური ფუნქციების რეალიზაციის თანახმად, აუცილებელია თანხმობის მიღწევა წარმოდგენებში, ოჯახური ცხოვრების რომელ კომპონენტზე თუ ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი. როლური შეუსაბამობა განისაზღვრება, როგორც

საზომი და გამოიხატება მეუღლის აქტიური მონაწილეობით ოჯახური მეურნეობის წარმართვის, ბავშვების აღზრდის, დასვენების ორგანიზებაში ინიციატივის გამოჩენის დროს და ა.შ.

სოციო-კულტურული - ცოლ-ქმრული ურთიერთობის ფორმაა, რომელიც მეუღლეებს საშუალებას აძლევს შეათანხმონ ცხოვრებისეული პოზიციები, დამოკიდებულებები, ღირებულებითი ორიენტაციები, შეხედულებები სამყაროს შესახებ და საკუთარი ადგილი მასში, საერთო მიმართულებები და სოციალური ქცევის მოტივები. წყვილში შინაგანი ჰარმონიის ნიშნად ითვლება მაღალი ურთიერთგაგება და პატივისცემა, პარტნიორის სასიცოცხლო პოზიციის გაზიარება. სულიერი შეუთავსებლობა შეიძლება გამოვლინდეს ორი სახით: როგორც ღირებულებითი ორიენტაციის შეუთავსებლობით და, ასევე, ცხოვრებისეული (სასიცოცხლო) მიზნების მიღწევის მეთოდებისა და საშუალებების შეუთავსებლობით. ცოლ-ქმრული დისჰარმონიის სხვა სახეებისაგან განსხვავებით, სოციო-კულტურული შეუთავსებლობა ხშირად და მნიშვნელოვნად აისახება მეუღლეებში და ასეთ შემთხვევაში, დისჰარმონიის მიზეზებად ითვლება განსხვავება ასაკში, განათლებასა და მეუღლეთა კულტურულ დონეებს შორის.

როცა საუბარია ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებენ კონფლიქტებს ცოლ-ქმარს შორის, ტრადიციულად, განიხილავენ საერთო შეხედულებებისა და ინტერესების არ არსებობას, განსხვავებული განათლების დონის, კულტურის, მსოფლმხედველობის არსებობას, ხასიათების შეუთავსებლობას, „მავნე ჩვევებს“ (ლოთობა, ეჭვიანობა, ნარკოდამოკიდებულება, აზატრული თამაშები, ღალატი და ა.შ). ცოლ-ქმრული ურთიერთობის რღვევა, რომელიც გამოწვეულია სრულყოფილი ურთიერთობის ნაკლებობით და პარტნიორების უუნარობით შექმნან „მხარდამჭერი“ დამოკიდებულება, ისეთი თვისებების უქონლობის გამო, როგორცაა მოთმინება, კეთილგანწყობა, სამართლიანობა, სიმტკიცე, მაღალი კულტურული დონე, განვითარებული თვითშეგნება, ორმხრივი პატივისცემა, ნდობა, დამოუკიდებლობა და სხვა, მეუღლეთა პიროვნებების განვითარებას ანიჭებს დესტრუქციულ ხასიათს და ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტების წარმოშობასა და შემდგომ გამწვავებას განაპირობებს.

ზოგიერთი კონფლიქტი შესაძლოა ვერასდროს ვერ აღმოიფხვრას, მაგრამ შეიძლება დარეგულირდეს, ან მართული იქნას, თუმცა დარჩეს როგორც ოჯახური სისტემის ნაწილი (Straus, 1990b). მეორეს მხრივ, კონფლიქტების კარგად მართვას შეუძლია ურთიერთობის გაძლიერება (Lauer & Lauer, 1991), ხოლო კონფლიქტების კონსტრუქციულად გადაწყვეტა კი ოჯახს ეხმარება განვითარებაში, ზრდასა და ცვლილებებთან ადაპტირებაში (Lulofs, 1994).

I თავი

ოჯახის ფსიქოლოგიური მახასიათებლები

1.1. ოჯახის ტიპები

ოჯახის განსაზღვრებები მეცნიერულ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრია. ამასთან, ბევრი დეფინიცია საზოგადოებრივ ცნობიერებაში ისეა აღბეჭდილი, რომ ხშირ შემთხვევაში ავტორთა ვინაობის დადგენა რთულდება.

⁴ოჯახი განისაზღვრება, როგორც სოციალური ინსტიტუტი, როგორც საერთო საცხოვრებელი სივრცე, რომლის შიგნითაც კმაყოფილდება ნათესაური კავშირების მქონე ადამიანების სპეციფიკური მოთხოვნილებები. ეს სივრცე საკუთარ თავში მოიცავს საკმაოდ რთულ სტრუქტურას, რომელიც შედგება სხვადასხვა სახის ელემენტებისა (როლები, პოზიციები, კოალიციები და სხვა) და მისი წევრების ურთიერთქმედების სისტემებისაგან. ასე რომ, სტრუქტურა არსებობს ცოცხალი ორგანიზმის კანონებთან შესაბამისობაში, რის გამოც გააჩნია კანონზომიერი დინამიკა და თავის განვითარებაში გადის მთელ რიგ ფაზებსა და ეტაპებს.

მრავალი განსაზღვრების თანახმად, ოჯახი წარმოადგენს ჯგუფს, რომელიც აკმაყოფილებს მისი წევრების მოთხოვნილებებს და ეს მოთხოვნილებები წარმატებით კმაყოფილდება კონკრეტული ადამიანების უნიკალური ურთიერთქმედების შედეგად. მიუთითებენ, რომ ოჯახი არის ორგანიზებული სოციალური ჯგუფი, რომელთა წევრებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ყოფიერების არსით, ორმხრივი მორალური პასუხისმგებლობით და სოციალური აუცილებლობით, რომელიც განპირობებულია საზოგადოების ფიზიკური და სულიერი თვითრეალიზების მოთხოვნილებებით.

ოჯახი განეკუთვნება უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ღირებულებას. ზოგიერთი სამეცნიერო თეორიის თანახმად, მრავალი საუკუნის განმავლობაში, სწორედ ოჯახის ფორმამ განსაზღვრა მაკროსოციალური სისტემების ევოლუციის მიმართულებანი. საზოგადოების ყოველი წევრი სოციალურ სტატუსთან, ეთნიკურ

⁴ Черников, А.В. (2001) - Системная семейная терапия: Интегративная модель диагностики, "Класс" ,Москва;
Гришина, Н.В. (2000) «Психология Конфликта» «Конфликтология» учебное пособие, СПб., Питер.

წარმომავლობასთან, ქონებრივ და მატერიალურ მდგომარეობასთან ერთად, დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე ფლობს ისეთ დახასიათებას, როგორცაა ოჯახურ – ქორწინებითი მდგომარეობა. ბავშვისთვის ოჯახი არის შესაძლებლობა, რომლის საშუალებითაც ყალიბდება მისი ფიზიკური, ფსიქიკური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების პირობები, ანუ მიმდინარეობს მისი სოციალიზაცია, ხოლო ზრდასრული ადამიანისთვის კი ოჯახი არის მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყარო, ასევე მცირე ჯგუფი, რომელიც მას უყენებს მრავალმხრივ და საკმაოდ რთულ მოთხოვნებს. ადამიანის სასიცოცხლო ციკლის სტადიაში იცვლება მისი ფუნქციები და სტატუსი ოჯახში.

⁵ოჯახი და ქორწინება ესაა კულტურულ - ისტორიული მოვლენა, რომელმაც კაცობრიობის განვითარების პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და რომელმაც ოჯახური ურთიერთობების განსაზღვრულ ტიპებში ჰპოვა გამოხატულება. ოჯახზე არსებული ტიპოლოგია შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ტიპოლოგია, რომელიც ოჯახურ სტრუქტურებს შორის განსხვავებებს განსაზღვრავს.

მეუღლეთა მიკუთვნება გარკვეულ სოციალურ ერთობებში:

- ენდოგამია;
- ეგზოგამია;

ენდოგამია - ეს არის ქორწინების ფორმა, რომლის თანახმადაც ქორწინდებიან ერთსადაიმთხვე სოციალურ ჯგუფებსა და საზოგადოებაში შემავალი ინდივიდები და ქორწინება სოციალური ჰომოგენურობის პრინციპის შესაბამისია. ჰომოგენურობა ხშირად მიიჩნევა ქორწინების სტაბილურობისა და წარმატებულობის ფაქტორად. (მიუთითებენ, რომ ჰომოგენურ კავშირებში უფრო ადვილია ურთიერთგაგების, საერთო ინტერესებისა და ღირებულებების მიღწევა).

⁵ **Посысоева Н.Н. (2004)** Основы психологии семьи и семейного консультирования: учебное пособие для вузов. – М.: Владос-Пресс,

‘ეგზოგამია - ასევე ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა ქორწინებებში. იგულისხმება საკუთარი ერთობების (საზოგადოების) ფარგლებს მიღმა პარტნიორის შერჩევა. აღნიშნავენ, რომ ეგზოგამიური ქორწინება ხელს უწყობს სხვადასხვა საზოგადოების წევრების ინტეგრაციას და განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს შორის საზღვრებს უფრო დიას ხდის, თუმცა სირთულეც შესაძლოა წარმოშვას ახალი ნორმების, ღირებულებებისა და გარემოს მიღების პროცესმა.

ქორწინებაში მყოფ პარტნიორთა რაოდენობა:

- მონოგამია;
- პოლიგამია;
- სერიული მონოგამია.

ქორწინებისა და ოჯახის ტიპოლოგიის სხვა კრიტერიუმების განსაზღვრას განაპირობებს ქორწინებაში მყოფ პარტნიორთა რაოდენობა. ამ შემთხვევაში განიხილავენ მონოგამიას, როგორც ქორწინებას ერთ მამაკაცსა და ერთ ქალს შორის და პოლიგამიას, როგორც ქორწინებას რამოდენიმე პარტნიორის მონაწილეობით. პოლიგამია იყოფა ორ კატეგორიად

- 1) **პოლიგინია (მრავალცოლიანობა)** - ქორწინება ერთ მამაკაცსა და ორ, ან მეტ ქალს შორის;
- 2) **პოლიანდრია (მრავალქმრიანობა)** – რამოდენიმე მამაკაცის ქორწინება ერთ ქალთან.

სერიული მონოგამია – გულისხმობს, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში მამაკაცი (ან ცოლი) იმყოფება ქორწინებაში ერთ პარტნიორთან.

საქორწინო ურთიერთობების იურიდიული გაფორმება:

- ოფიციალურად დარეგისტრირებული ქორწინება;
- ფიქტიური (სამოქალაქო) ქორწინება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოჯახის ტიპოლოგიას, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ოჯახში ხელისუფლების სტრუქტურის, მამაკაცისა და

⁶ **Посысоева Н.Н. (2004)** Основы психологии семьи и семейного консультирования: учебное пособие для вузов. – М.: Владос-Пресс

ქალის უპირატესი ოჯახური ფუნქციებისა და შიდაოჯახური ლიდერობის სპეციფიკის შესახებ. ამ კრიტერიუმების შესაბამისად, ოჯახთა შემდეგ ტიპებს გამოყოფენ:

მმართველობის სტრუქტურა ოჯახში:

- ტრადიციული პატრიარქალური;
- ტრადიციული მატრიარქალური;
- ნეო - პატრიარქალური;
- ნეო - მატრიარქალური;
- ეგალიტარული.

ტრადიციულ პატრიარქალური ოჯახი – სადაც, ქმარი არის ლიდერი, ღიად არის ცოლის მასზე დამოკიდებულება გამოხატული, ხოლო ბავშვებისა კი მშობლებზე.

ტრადიციულ მატრიარქალურ ოჯახი - ძალაუფლება ეკუთვნის ქალს.

ნეო - პატრიარქალური ოჯახი - სტრატეგიულ და საქმიან (ინსტრუმენტულ) ლიდერად ქმარი, ხოლო ტაქტიკურ და ემოციონალურ (ექსპრესიულ) ლიდერად – ცოლი მიიჩნევა. მეუღლეების ურთიერთობას განსაზღვრავს ოჯახის განვითარების ხანგრძლივი მიმართულება, აწესებს მათი არსებობის პრიორიტეტულ მიზნებს, არჩევს ამ მიზნების მიღწევის მეთოდებს და გზებს, ოჯახის წევრთათვის აყალიბებს შესაბამის მითითებებსა და დანიშნულებებს.

ნეო - მატრიარქალური ოჯახი, სადაც ცოლ- ქმრის ერთობლივი ლიდერობა მათი გავლენის სფეროების გაყოფით განისაზღვრება. კონფლიქტი მეუღლეებში შესაძლოა წარმოიქმას სწორედ ამ გავლენათა სფეროების არათანაბარი გაყოფის შედეგად, ან მეუღლეებიდან რომელიმეს მიერ სხვა როლის მიკუთვნების სურვილის გამო.

ეგალიტარული ოჯახი - გულისხმობს სრულ თანაბარუფლებიანობას ცოლსა და ქმარს შორის, ოჯახური თანაცხოვრების ყველა საკითხში. ეგალიტარულ ოჯახში მეუღლეთა პოზიციების შეთანხმებულობის პრინციპებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. ამ ტიპის ოჯახებში, წყვილებში წარმოქმნილი

უთანხმოებები გვარდება ორმხრივი შეთანხმებების, კომპრომისებისა და ორივე მხარისათვის სასარგებლო გაცვლების საფუძველზე.

⁷თაობათა რაოდენობა ოჯახში:

- ერთთაობიანი;
- ნუკლეარული;
- მრავალთაობიანი;
- სრული;
- ფუნქციურად არასრული;
- განსაკუთრებული (რთულად ორგანიზებული, შერეული), მათ შორის ბინუკლეარული.

ბავშვების რაოდენობა ოჯახში:

- ერთშვილიანი;
- მრავალშვილიანი;
- უშვილო

ტიპოლოგიის მეორე ჯგუფში მოცემულია ოჯახების ფუნქციონირების თავისებურებები.

ოჯახური ფუნქციების შესრულების ხარისხი:

- ნორმალურად ფუნქციონირებადი;
- დისფუნქციონალური;

ოჯახური პრობლემების პროდუქტიულად გადაწყვეტის უნარი:

- პრობლემური;
- მეუღლეების კმაყოფილება ქორწინებით;
- მეუღლეების უკმაყოფილება ქორწინებით;
- როცა მეუღლეთაგან ერთ-ერთი უკმაყოფილოა (ან კმაყოფილია).

⁷ Anand, DR. A. (2010) Psychology of Family Relationship. Retrieved May, 2016 from <http://www.authorstream.com/Presentation/slubaguio-561589-psychology-of-family-relationship/>

1.2. ოჯახის განვითარების პერიოდები და ფუნქციები

⁸ოჯახი ეს არის ადამიანური ურთიერთობების უნიკალური ინსტიტუტი და მისი ეს უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახი წარმოადგენს ადამიანების ყველაზე მჭიდრო კავშირს, რომლის დროსაც ადამიანები ნებაყოფლობით ურთიერთობენ და ცდილობენ მიანიჭონ სიხარული და სიამოვნება ერთმანეთს. ოჯახის შედარებით ახალ ფორმად ითვლება ოჯახი, რომელიც შედგება შვილებისა და მშობლებისაგან და რომლებიც სხვა ნათესავებისაგან განცალკევებით ცხოვრობენ. ქორწინება არა მხოლოდ ორი ადამიანის შეერთებად ითვლება, არამედ წარმოადგენს სხვადასხვა ოჯახების შერწყმას, რომლებიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე და ქმნიან ქვესისტემების რთულ ბადეს. ქორწინება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი და ის ოჯახის თითოეულ წევრს ერთმანეთის მიმართ ახალი ტიპის ურთიერთობაში გადასვლაში ეხმარება. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ყველა ოჯახში ხდება კონფლიქტი. ყველა ოჯახს, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობს, აქვს პერიოდები, როდესაც მასში ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები და რომლებსაც შეუძლიათ წარმოქმნან კონფლიქტი.

მეცნიერები ოჯახის განვითარების რამდენიმე პერიოდს გამოყოფენ:

პირველი პერიოდი – ხდება ცოლ-ქმრის ერთმანეთთან ადაპტაცია. სტატისტიკის მიხედვით, მიუთითებენ, რომ ქორწინებიდან ერთი წლის თანაცხოვრების შემდეგ, შესაძლოა ოჯახების ოცდაათ პროცენტში განქორწინება დაქიფსირდეს.

მეორე პერიოდი – ბავშვების დაბადება. ისინი ბევრ ყურადღებას ითხოვენ, რაც ხელს უშლის მშობლებს პროფესიულ ზრდაში. მშობლებს უწევთ უარი თქვან გართობაზე, იზრდება დადლილობა, დამაბულობა. შემდგომ კი შეიძლება გაჩნდეს აზრთა სხვადასხვაობა ბავშვის აღზრდის საკითხებში და მათ პროფესიულ ორიენტაციაზე. მსგავსმა გარემოებებმა კი შეიძლება წარმოშვას ინტერპერსონალური კონფლიქტები.

⁸ Эйдмиллер Э. Г., В.Юстицкис, (1999) Психология и психотерапия семьи, Питер, Retrieved April, from: <http://www.antidrug.ru/preventivedrug/preventive7.htm>

Гришина, Н.В (2000) «Психология Конфликта» «Конфликтология» учебное пособие, СПб., Питер

მესამე პერიოდი – ოჯახის ახალი წევრების შემომატება. რძლები, სიძეები, მძახლები, შვილიშვილები. დგება ხანდაზმულობის პერიოდი. სიბერეს თან ახლავს თავისი პრობლემები.

ყოველი პერიოდი ხასიათდება თავისი სპეციფიკური კონფლიქტური სიტუაციებით. ოჯახურ ინტერპერსონალურ კონფლიქტებზე შეიძლება, ასევე, გავლენას ახდენდეს გარემო ფაქტორები, მაგალითად: ცვლილებები საზოგადოებაში, მორალური და კულტურული კრიტერიუმების შეცვლა, პასუხისმგებლობების და მოვალეობების გაზრდა (მაგ. სამსახურში).

ოჯახის ფუნქციები

საზოგადოების განვითარებასთან ერთად, იცვლება ოჯახის სხვადასხვა ფუნქციური მნიშვნელობებიც, რომლებიც საზოგადოებაში მიმდინარე მატერიალურ, სულიერ და სოციალურ პირობებთან არის დაკავშირებული.

ოჯახის შემდეგ მნიშვნელოვან ფუნქციებს გამოყოფენ:

- რეპროდუქციული ფუნქცია(სექსუალურ- ეროტიკული ფუნქცია);
- აღმზრდელობითი ფუნქცია;
- ემოციური ფუნქცია;
- მატერიალური (ყოფითი) ფუნქცია;
- რეკრეაციული (აღმდგენითი) ფუნქცია;
- რეგულაციური ფუნქცია;

რეპროდუქციული ფუნქცია (სექსუალურ- ეროტიკული) - ფუნქცია, რომელიც ოჯახს დასაბამიდან აქვს, არის რეპროდუქციული ფუნქცია. ამ ფუნქციით ხდება ოჯახის წევრების სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

⁹ ფირცხალავა, ე. (2008)- ოჯახის წევრთა ურთიერთაქმის თავისებურებანი, თბილისი.

Murdock, G.P. (1949). Social Structure. New York, The Macmillan Company.

Parsons, T. (1959) The social structure of the family. The family: Its Function and Destiny (ed. R.N. Anshen). New York: Harper

Economic and Psychological Functions of the Family – retrieved from

<http://janidroohs4mu4m16a8a2.weebly.com/index.html>

Anand, DR. A. (2010) Psychology of Family Relationship. Retrieved May, 2016 from

<http://www.authorstream.com/Presentation/slubaguio-561589-psychology-of-family-relationship/>

აღზრდელობითი ფუნქცია - ის მჭიდროდ არის დაკავშირებული რეპროდუქციულ ფუნქციასთან. თაობათა მონაცვლეობა არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოვლენაცაა და ის გულისხმობს როგორც შვილის გაჩენას, ასევე აღზრდასაც.

ემოციური ფუნქცია - ადამიანის ისეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, როგორცაა სიმპათია, პატივისცემა, ემოციური მხარდაჭერა, ფსიქოლოგიური დაცვა. ეს ფუნქცია უზრუნველყოფს საზოგადოების წევრების ემოციურ სტაბილურობას, ხელს უწყობს მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

მატერიალური ფუნქცია - ოჯახური ბიუჯეტის გამოყენება და ფორმირება;

რეკრეაციული (აღმდგენითი) ფუნქცია - ცნობილია, რომ ფორმირებული პიროვნება საკუთარი თავის რეალიზაციას ახდენს უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივად სასარგებლო ქცევაში. ყოველდღიური შრომის შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი კი ძალების მოკრებისა და დასვენებისათვის კი - სწორედ ოჯახია.

რეგულაციური ფუნქცია - ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს ოჯახის რეგულაციურ ფუნქციას (პირველადი სოციალური კონტროლის) – რომელიც წარმოადგენს ოჯახის წევრებს, სხვა ადამიანებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობების რეგულაციას. ეს ფუნქცია უზრუნველყოფს ოჯახის წევრების მიერ სოციალური ნორმების შესრულებას, განსაკუთრებულად მათ მიერ, ვინც რიგი გარემოებების გამო (ავდემყოფობა, ასაკი) ვერ ახერხებს დამოუკიდებლად მოქმედებას სოციალური ნორმების შესაბამისად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახისათვის ზემოთ ჩამოვლილი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციების გარდა, მეცნიერები მრავალ სხვა განსხვავებულ ფუნქციებსაც გამოყოფენ და წლების განმავლობაში, ამ კუთხით არაერთი ნაშრომი იქნა გამოქვეყნებული. ყველა ფუნქცია ოჯახისათვის თანაბრად მნიშვნელოვანია, თუმცა, რომელიმე ოჯახის წევრის მიერ რომელიმე ფუნქციისათვის განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭებამ შესაძლოა ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი წარმოშვას.

1.3. ოჯახური სისტემები და ქვესისტემები

¹⁰ „ოჯახის შესწავლის სხვადასხვა მიდგომებს შორის გამოყოფენ სისტემურ მიდგომას, რომელიც განსაკუთრებული სტილისა და აზროვნების მეთოდად მიიჩნევა. ოჯახის გაგების ძირეულ საფუძველს ოჯახის საერთო თეორია წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც აქცენტი სისტემის მთელი შემადგენლის (ანუ მთელი სისტემის) კომპონენტების ურთიერთქმედებაზე კეთდება. ოჯახის სისტემა თანამედროვე ლიტერატურაში გაგებულია როგორც სისტემა, რომელშიც მრავალი ელემენტი ურთიერთქმედებით კავშირშია ერთმანეთთან და რომლის თანახმადაც იქმნება გარკვეული მთლიანობა, ერთიანობა. ოჯახის სისტემური მიდგომიდან გამომდინარე, სისტემა განიხილება როგორც ერთი მთლიანი, თვითორგანიზებადი სისტემა, რომელიც რეალიზებულია ფუნქციის თვითღირებულებით და უზრუნველყოფს შიდა და გარე საზღვრებსა და ურთიერთობის იერარქიულ - როლურ სტრუქტურებს. სისტემის გარდაქმნის წყარო თვით ამ სისტემის შიგნით დევს და გამომდინარე აქედან, ადამიანები, რომლებიც ოჯახის შემადგენლობაში შედიან, თავიანთი მოთხოვნილებებისა და სურვილების ზემოქმედების საფუძველზე მოქმედებენ. ოჯახური სისტემა - ეს არის ღია სისტემა და ის მუდმივ ურთიერთცვლაშია გარემო პირობებთან, წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საცხოვრებელი ადგილით, საერთო მეურნეობითა და რაც მთავარია, ურთიერთდამოკიდებულებებით“ (Bapra, 2001). სოციალური ქცევის სისტემების მაგალითია - სოციალური, კულტურული და ინდივიდუალური სისტემები. (Wallace & Wolf 1995). სისტემების ნაწილი ურთიერთდამოკიდებულია და თითოეულ მათგანს აქვს ურთიერთკავშირი და გავლენა ერთმანეთზე. ოჯახური სისტემის თერაპიული დიაგნოსტიკის ძირითად პარამეტრებს მიეკუთვნება: ოჯახური სტრუქტურა; ოჯახი, როგორც კომუნიკაციური სისტემა; ოჯახის ცხოვრებისეული სტადიების განვითარების საფეხურები და ოჯახური ისტორია. (Minuchin & Fishman 1981).

¹⁰ **Варга А. Я. (2001)** Системная семейная психотерапия. Краткий лекционный курс. СПб.: Речь

ფუნქციონალურ ოჯახურ სისტემას საფუძვლად ჰომეოსტაზისა და განვითარების კანონი უდევს: ჰომეოსტაზის კანონის თანახმად ყოველი ოჯახური სისტემა მიისწრაფვის შეინარჩუნოს თავისი მდგომარეობა, როგორც არ უნდა იყოს ის, ანუ, ცვლილებების გარეშე იქნას შენარჩუნებული სტაბილურობა. თავის მხრივ, განვითარების კანონი გაკრიტიკებულია იმის გამო, რომ ყველა ოჯახურ სისტემას აქვს თავისი სასიცოცხლო ციკლი, რომლის ფარგლებშიც ის უნდა იქნას შეცვლილი. ოჯახურ კვლევებში სისტემურ მიდგომას სატირი, მინუჩინი და ბოუენი იყენებდნენ (Barra, 2001).

ვირჯინია სატირი (Satir, 1992) ოჯახის აღსაწერად ისეთ პარამეტრებს იყენებს, როგორცაა ოჯახის ენერგეტიკა, ოჯახის სტრუქტურა, ოჯახის საზღვრები და ოჯახის ფუნქციონალური მახასიათებლები.

ოჯახის ენერგეტიკა - სატირის მიხედვით აერთიანებს ემოციებს, ოჯახის წევრთა შორის სასიცოცხლო დაშვებებს და ყველაფერს, რაც განსაზღვრავს ოჯახის სიცოცხლისუნარიანობას.

ოჯახის სტრუქტურა - იგულისხმება ოჯახის ყველა წევრი, ვინც ახდენს ზეგავლენას მათ ქცევაზე.

ოჯახის საზღვრები - განსაზღვრავს ოჯახის ურთიერთქმედებას გარე სამყაროსთან.

ოჯახის ფუნქციონალური მახასიათებლები - მოიცავს ურთიერთობის სტილს, ოჯახის წესებს. წესები განსაზღვრავენ ოჯახის წევრების რეგლამენტს, რაც შეთანხმებულს და წინასწარგანჭვრეტადს ხდის მათ ქცევებს. ამ პარამეტრების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს, თუ რამდენად ჰარმონიული და ბედნიერია ოჯახი. ისეთი ტიპის ოჯახებში, რომლებიც ბედნიერ ოჯახებად მიიჩნევიან, წევრები მუდმივ ურთიერთკავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან მიმართებაში და ერთმანეთს დადებითად აღიქვამენ. ვ. სატირის თანახმად, (Satir, 1992) ასეთი ოჯახები ღია სისტემას მიეკუთვნებიან, ხოლო დახურულ ოჯახურ სისტემად ითვლება ოჯახი, სადაც წევრები განცალკევებულნი არიან და ურთიერთობა მათ შორის დასჯის, შიშისა და ძალადობის გამოყენებით რეგულირდება.

ს. მინუჩინის მიხედვით (Minuchin, 1974) ოჯახი ერთიანი, მთლიანი, რთული მექანიზმია, რომელიც შედგება ცალკეული წევრებისაგან. ის მთავარ ცნებებად გამოყოფს: ოჯახის სტრუქტურას, ოჯახის ქვესისტემასა და საზღვრებს. (Minuchin & Fishman 1981).

¹¹**ოჯახის სტრუქტურას** - მიეკუთვნება ოჯახის წევრებს შორის ურთიერთქმედების განმსაზღვრელი წესები. თუ მიღებული წესები მუშაობს, მაშინ ოჯახის წევრების ქცევები პროგნოზირებადია, ხოლო სისტემა ეფექტურად ფუნქციონირებს.

ოჯახის ქვესისტემა - მის ძირითად სახეობებს ცოლ - ქმრული ურთიერთობები, მშობლებისა და შვილების და და -ძმების დამოკიდებულებები განეკუთვნებიან. ცოლ -ქმრული ქვესისტემა სხვებზე უფრო ადრე წარმოიქმნება და ოჯახის ფუნქციონირებას განსაზღვრავს. ამ სისტემის მთავარ ფუნქციად მეუღლეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მიიჩნევა, ისე, რომ ემოციურ ატმოსფეროს არ შეექმნას საფრთხე, რამეთუ ის ორი ინდივიდის ზრდისა და განვითარებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს შეადგენს. ეს ქვესისტემა მიეკუთვნება მხოლოდ იმ როლებს, რომლებიც ეხება მეუღლეებს და არ გამოდის მათი ურთიერთობებიდან. ცოლ-ქმრის ქვესისტემა უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე. აქ მეუღლეთა ურთიერთქმედება ბავშვებთან მიეკუთვნება მშობლებ-ბავშვების ქვესისტემას. ის შეიძლება შედგებოდეს როგორც დედ – მამისა და ბავშვისაგან, ასევე, ერთი მშობლისა და შვილისაგან. ბავშვი აკვირდება ქცევის ფორმებსა და ნიმუშებს, რომლებსაც შემდგომ საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობისათვის იყენებს. მშობლებთან ურთიერთობისას, ბავშვი იძენს ცოდნასა და წესებს, რომელიც მომავალში მის მიერ მშობლის როლის შესრულებას განსაზღვრავს. თუ ოჯახში რამოდენიმე ბავშვი იზრდება, მაშინ გამოიყოფა ასევე ბავშვთა ქვესისტემა “და – ძმური” დამოკიდებულებით, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ქცევის ფორმები და ურთიერთქმედებები, რომლებიც გამოყენებული იქნება ოჯახს გარეთ.

¹¹ Minuchin, S., & Fishman, H.C (1981) Family therapy techniques, Cambridge, Massachusetts Harvard University Press.

ოჯახური სისტემის საზღვრები - არეგულირებს ურთიერთობებს ქვესისტემებს შორის, ასევე მათ უახლოეს სოციალურ წრეებს შორის. შინაგანი და გარეგანი საზღვრები ეს არის წესები, რომლებიც განსაზღვრავენ თუ ვინ და როგორ ასრულებს, ოჯახური ცხოვრების გარკვეულ ასპექტში, ოჯახის მიერ განსაზღვრულ როლებს - მეუღლეების, მშობლებისა და სხვა ბავშვების ჯგუფებში (Minuchin, 1974). გარეგანი საზღვრები ხელს უწყობს ოჯახში იდენტურობის ფორმირებას, შინაგანი საზღვრების არსებობა კი მისი ფსიქოლოგიური გარემოს სტრუქტურირებას, რაც საბოლოოდ განვითარების იმპულსს იძლევა. საზღვრები შეიძლება იყოს მკაცრი, წაშლილი და შეღწევადი (გამტარი) (ფირცხალავა, 2008).

¹²ოჯახური სისტემების შესწავლისას, მნიშვნელოვანია განხილულ იქნას ბოუენის ოჯახური სისტემების თეორია (Bowen, 1995), რომელიც ეხება ინდივიდის ქცევის თეორიას, ოჯახს განიხილავს როგორც ემოციონალურ კავშირს და სისტემებს იყენებს აღნიშნულ კავშირში კომპლექსური ინტერაქციის აღსაწერად. ბოუენის თანახმად, ოჯახი თავისთავში გულისხმობს ოჯახის წევრების მჭიდრო ემოციურ კავშირს ერთმანეთთან. ხშირად ადამიანები საკუთარ თავს ოჯახისგან დაშორებულად ან მოწყვეტილად (გათიშულად) მიიჩნევენ, თუმცა ეს უფრო შეგრძნებაა, ვიდრე რეალური ფაქტი. ოჯახის წევრები ისეთ სიღრმისეულ გავლენას ახდენენ ერთმანეთის აზრებსა თუ ფიქრებზე, გრძნობებზე და ქცევაზე, რომ თითქმის ყოველთვის რჩება განცდა მათ ჰქონდეთ მსგავსი ემოციური მახასიათებლები. ადამიანები ერთმანეთისგან ითხოვენ ყურადღებას, სიყვარულს, მხარდაჭერას და რეაგირებენ ერთმანეთის მოთხოვნილებებზე, მოლოდინებსა და დისტრესზე. დაკავშირებულობა და რეაქტიულობა ოჯახის წევრების ფუნქციონირებას ურთიერთდამოკიდებულს ხდის და ოჯახში ერთი წევრის ქცევის შეცვლა შეიძლება ითქვას, რომ ხშირად გამოწვეულია სხვა წევრების ქცევის შეცვლით (Bowen, 1995)

მ. ბოუენის კონცეფციის მთავარ ფაქტორად ითვლება ემოციონალური სისტემა, რომელშიც იგულისხმება რთული მგრძნობელობით – ქცევითი კომპლექსი. ქორწინებითი ქცევები, შთამომავლობის გამოზრდა, საკვების მოპოვება, ქცევა

¹² **Bowen M. (1995)** A Psychological Formulation of Schizophrenia. Family Systems: A Journal of Natural Systems Thinking in Psychiatry and the Sciences.

სოციალურ ჯგუფებში – ემოციონალურ სისტემად მიიჩნევა და ინსტიტუტური ქცევის დარღვევისას, ემოციონალური სისტემა ალგუნების მაღალი დონით რეაგირებს. რამდენადაც მაღალია ალგუნების მდგომარეობა, მით უფრო ნაკლებად გაცნობიერებადი ხდება ინდივიდის რეაქცია. ეს ნიშნავს, რომ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ემოციონალური სისტემის ნიშნით ცხოვრობენ, იმპულსურობა დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ოჯახში ადამიანის სოციალური ადაპტაციის აღსაწერად ბოუენი “მე” – ს დიფერენციაციის ცნებას იყენებს (Bowen, 1995). მოცემული ცნება ეყრდნობა ემოციისა და ინტელექტის კავშირს. თუ ადამიანის მოქმედებაში ჭარბობს ემოციონალურობის შემცველობა, მაშინ ბოუენის თანახმად, ეს ნეგატიურ გავლენას მოახდენს ოჯახის ცხოვრებასა და საქმიანობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ჭარბობს ინტელექტი, მაშინ ქცევები რთულ, ემოციურ - დამაბულ სიტუაციებში უფრო გონიერია და გამომდინარე აქედან, ადამიანი ოჯახურ ურთიერთობებში უფრო წარმატებულია. (Bowen, 1995)

ბოუენმა ემოციონალური სისტემა და რვა ურთიერთდაკავშირებული კონცეფცია სისტემების გამოყენებით შექმნა, ცდილობდა რა ერთმანეთთან დაეკავშირებინა პიროვნების მრავალფეროვნების ევოლუციური საფუძვლის ცოდნა - ოჯახური კვლევებიდან მიღებულ ინფორმაციასთან. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ფუნქციონირებს ემოციონალური სისტემა ოჯახში, სამსახურში თუ ნებისმიერ სოციალურ სისტემაში, აღნიშნული სისტემა წარმოადგენს ეფექტურ მეთოდს შემდგომ მდგომარეობებში პრობლემების მოსაგვარებლად: (Bowen, 1995)

- სამკუთხედები;
- მე-ს დიფერენციაცია;
- ნუკლეარული ოჯახის ემოციონალური სისტემა;
- პროექციის პროცესი ოჯახში;
- თაობებს შორის ტრანსფორმაციის პროცესი;
- ემოციური გათიშულობა;
- დედმამიშვილების პოზიცია;
- საზოგადოების ემოციონალური პროცესი.

1.4. ოჯახის ძირითადი თეორიები

¹³ოჯახებისა და ქორწინების კვლევაში დიდი წვლილი შეიტანა ამერიკელმა სოციოლოგმა რუბენ ჰილმა. 1960 წელს, ჰილმა და ჰანსენმა ოჯახების შესწავლის ხუთი მნიშვნელოვნად განსხვავებული კონცეპტუალური მიდგომები ჩამოაყალიბეს (Hill & Hansen, 1960):

- ინსტიტუციონალურ-ისტორიული;
- სტრუქტურულ-ფუნქციონალური;
- სიმბოლური ინტერაქციონიზმი;
- სიტუაციური;
- ოჯახის განვითარების სტრუქტურა.

სოციოლოგიური მიდგომის თანახმად, ოჯახი განიხილება, როგორც როლებითა და წესებით განსაზღვრული სოციალური ინსტიტუტი (Cherlin, 1999). აღსანიშნავია, რომ ოჯახის სოციოლოგიის სფეროში, ხაზგასმულია ფუნქციონალიზმისა და კონფლიქტის თეორიები.

¹⁴**ფუნქციონალიზმი** - ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ერთ - ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტს და მისი შესწავლის არაერთი მიდგომა არსებობს. ფუნქციონალური თეორია, რომელიც სოციალური მეცნიერების ფემინისტური ანალიზის გავლენით აღმოცენდა (Morgan, 1975), აანალიზებდა ოჯახის უნივერსალურ ფუნქციებსა და ნუკლეარული ოჯახის განსხვავებულ ფორმებს და ოჯახის პირველად ფუნქციებად მიიჩნევდა:

1. სექსუალური ურთიერთობების რეგულირებას;
2. ბავშვთა პირველად სოციალიზაციას;

¹³ Hill, R., & Hansen, D.A. (1960) The identification of conceptual frameworks utilized in family study. *Marriage and family living* 22, pp. 299-311

¹⁴სოციოლოგიის შესავალი, ოჯახი, (2012) მოპოვებულია ვებ-გვერდიდან <http://socium.ge/downloads/socshesavali/ojaxi.pdf>

Haferkamp, H., & Smelser, N.J. (1992) Social Change and Modernity, University of California Press, Berkeley · Los Angeles · Oxford.

Wallace, R.A., & Wolf, A. (1991) Contemporary Sociological Theory. Continuing the Classical Tradition. (3th ed.). Prentice Hall. Englewood Cliffs, New Jersey

3. მეუღლეთა ურთიერთემოციურ მხარდაჭერას.

ფუნქციური შეხედულებებისა და ოჯახის თანამედროვე სტრუქტურების კრიტიკამ, ალტერნატიულმა შეფასებებმა ყურადღების ცენტრში დააყენა ბევრი ასპექტი და წამოაყენა რიგი საერთო პრობლემებისა, როგორებიცაა:

- ოჯახის ფორმების დიდი მრავალგვარობა თანამედროვე, აგრეთვე, ტრადიციულ საზოგადოებაში;
- განსხვავება გაფართოებულ - ნუკლეარულ ცნებებს შორის;
- ოჯახის ემოციური და მჭიდრო კავშირები ხშირად ფარავენ კონფლიქტური და ფაქტობრივი ძალადობის შემთხვევებს;
- ანალიზის მნიშვნელობა ძალაუფლებისა და ავტორიტეტის თანაფარდობის, აგრეთვე, ეკონომიკურ ურთიერთობათა თვალსაზრისით;
- ოჯახური ჯგუფის იდენტიფიკაციის სიმძნელე ინდუსტრიამდელ საზოგადოებაში.

¹⁵ **ფუნქციონალიზმი** - არის მიმდინარეობა სოციოლოგიასა და სოციალურ ანთროპოლოგიაში, რომელიც ცდილობს სოციალური სტრუქტურების არსებობა ახსნას იმ ფუნქციების მიხედვით, რომელსაც ისინი საზოგადოებისათვის ასრულებენ. ფუნქციონალიზმი მოიცავს სტრუქტურულ თეორიებს, რომელთა მიერ წარმოებული ანალიზი ორიენტირებულია უფრო მეტად საზოგადოების ვიდრე ინდივიდის დონეზე. საზოგადოება ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთმარეგულირებელ ნაწილთა სისტემა. შესაბამისად, ანალიზის ფოკუსს წარმოადგენს ურთიერთდამოკიდებული ნაწილების ურთიერთმიმართება და ის, თუ რატომაა თითოეული ნაწილის ფუნქციონირება აუცილებელი სისტემის (მთელის) სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის. ფუნქციონალისტურ მიდგომას საფუძველი XIX საუკუნეში დაედო და მის ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია ჰ.სპენსერისა და ე.დიურკჰეიმის შრომებმა. ჰერბერტ სპენსერი საზოგადოებას განიხილავდა ბიოლოგიურ ორგანიზმთან ანალოგიით. XX საუკუნის 50 - იან წლებში ძალიან პოპულარული გახდა

¹⁵ სოციოლოგიის შესავალი, ოჯახი, (2012) მოპოვებულია ვებ-გვერდიდან

<http://socium.ge/downloads/socshesavali/ojaxi.pdf>

Kingsburg, N., & Scanzoni, J. (1993) Structural Functionalism , New York; Plenum Press

სტრუქტურული ფუნქციონალიზმი, რომელიც დაკავშირებულია პარსონსის სახელთან. მან განავითარა სისტემების თეორია, რომლის თანახმადაც, საზოგადოებისა და მისი ცალკეული ქვესისტემების ფუნქციონირების გაანალიზება ხდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ასრულებენ ისინი განსაზღვრულ ფუნქციურ მოთხოვნებს. პარსონსი ოთხ ასეთ მოთხოვნას გამოყოფს (Parsons, 1951, 1968,):

- ადაპტაცია;
- მიზნის მიღწევა;
- ინტეგრაცია;
- ლატენტურობა.

ტ. პარსონსის სტრუქტურისა და ფუნქციის თეორიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ოჯახის ცვლილების კვლევაზე. პარსონსისა და მისი კოლეგების (Bales & Slater 1955) თანახმად, ოჯახში ინსტრუმენტალურ ფუნქციას მამაკაცი ასრულებს, რამდენადაც, ის განაპირობებს ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობას, ხოლო ქალს ექსპრესიული ლიდერის როლი აქვს და მეუღლესა და შვილებს ემოციურად უჭერს მხარს. ოჯახში როლების ასეთი გადანაწილების საშუალებით ხორციელდება ყველა ის ფუნქცია, რომელსაც საზოგადოება ოჯახს აკისრებს, იგულისხმება მატერიალური უზრუნველყოფა, ემოციური მხარდაჭერა და შვილების აღზრდა (Parsons & Bales, 1955).

¹⁶**კონფლიქტის თეორია** - ოჯახის ფუნქციონალისტურ კონცეფციაში, რომელიც 50- 60 – იანს წლებში ამერიკულ სოციოლოგიაში ბატონობდა, მრავალი მიზეზის გამო, ექვი იქნა შეტანილი და დომინირებადი როლი თანდათანობით კონფლიქტის თეორიამ დაიკავა. ფუნქციონალიზმს ძირითადად აკრიტიკებდნენ იმ თეზისის გამო, რომლის თანახმადაც ყველაფერს, რაც საზოგადოებაში არსებობს პოზიტიური ფუნქცია აქვს. ჰარტმანის შენიშვნა ფუნქციონალიზმისადმი მდგომარეობდა იმაში, რომ მისი მტკიცებით, ფუნქციონალიზმის თვალსაზრისით, ოჯახი არის “სოციალური ძალა” ეკონომიკური ცვლილებებისა და სოციალური კლასის გვერდით.

¹⁶ სოციოლოგიის შესავალი, ოჯახი, (2012) მოპოვებულია ვებ-გვერდიდან <http://socium.ge/downloads/socshesavali/ojaxi.pdf>

Rössel, J. (2013) Conflict Theory. Retrieved May, from <http://www.oxfordbibliographies.com/view/document/obo-9780199756384/obo-9780199756384-0035.xml>

შედეგად კი ჩნდება ვარაუდი, რომ ოჯახის წევრებს შორის ადგილი აქვს ინტერესთა ერთობას, ხაზს უსვამენ ოჯახის, როგორც ერთიანი მთლიანის როლს და არ ითვალისწინებენ ოჯახის წევრების ინტერესთა განსხვავებას ან კონფლიქტებს მათ შორის. სოციალურ კონფლიქტებთან დაკავშირებით XX ს. დასაწყისში ახალი მიმართულებები გამოჩნდა, რომლებზე დაყრდნობითაც კონფლიქტი აქტიურად განიხილებოდა როგორც სოციალური ცხოვრებისათვის განუყოფელი და აუცილებელი მოვლენა. დარენდორფის კონფლიქტის თეორიის თანახმად, (Dahrendorf, 1959) ნებისმიერი საზოგადოება მუდმივ სოციალურ ცვალებადობაშია, რაც განაპირობებს სოციალურ კონფლიქტებს, ხოლო კონფლიქტების წარმოქმნისა და განვითარების ეტაპებად ინტერესთა კონფლიქტი განიხილება.

¹⁷კოზერი (Coser, 1957) ხაზს უსვამს სოციალური უთანასწორობისა და საზოგადოების წევრების მუდმივი უკმაყოფილების ფაქტორს, რაც ინდივიდებას და სოციალურ ჯგუფებს შორის დამაბულობის მიზეზი ხდება. კოზერი ახდენს სოციალური კონფლიქტების კლასიფიცირებას, რომლის თანახმადაც „დახურულ საზოგადოებაში“ კონფლიქტს შეუძლია განაპირობოს სოციალური კავშირების რღვევა, საზოგადოების მტრულ ჯგუფებად დაყოფა და ა.შ. ხოლო, „ღია საზოგადოების“ შემთხვევაში შემცირებულია დამაბულობა და საზოგადოების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტებია შენარჩუნებული.

¹⁸კონფლიქტის თეორია ცდილობს ოჯახის სტრუქტურა ახსნას სხვადასხვა დონეზე. მკვლევართა ერთი ნაწილი მეტ ყურადღებას უთმობს ძალაუფლების განაწილების ანალიზს ოჯახის შიგნით და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს. Safilios - Rothschild (1976) მტკიცებით სიყვარული გავლენას ახდენს მეუღლეებს შორის ძალაუფლების განაწილებაზე. მისი აზრით, უფრო მოყვარულ მეუღლეს ნაკლები ძალაუფლება აქვს, რადგანაც უფრო ძლიერაა ფსიქოლოგიურად დამოკიდებული. ერთნაირად მოყვარულ მეუღლეებს

¹⁷ Coser, L. A. (1957) Social Conflict Theory of Social Change. *The British Journal of Sociology*, Vol.8, No 3. The London School of Economics and Political Science;

¹⁸ Tittenbrun, J. (2013) Ralph Dahrendorf's Conflict Theory of Social Differentiation and Elite Theory, *Innovative Issues and Approaches in Social Sciences*, Vol. 6, No. 3

¹⁸ სოციოლოგიის შესავალი, ოჯახი, (2012) მოპოვებულია ვებ-გვერდიდან

<http://socium.ge/downloads/socshesavali/ojaxi.pdf>

ერთნაირი უფლებები გააჩნიათ. როგორც Safilios-Rothschild - ი (1976) თვლის, ქალი უფრო მეტ სიყვარულს ავლენს ქმრის მიმართ და ამიტომ ქორწინება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თავისებური გაცვლა: ქალი აძლევს სიყვარულს იმ სოციალურ – ეკონომიკურ სიკეთეთა გამო, რომელიც მამაკაცს აქვს.

კონფლიქტზე ორიენტირებული სხვა თვალსაზრისის თანახმად, ოჯახი განიხილებოდა როგორც დიდი საზოგადოების კონფლიქტების “მიკროკოსმი”. წარსულში ეს იდეა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გამოთქვეს და მათი მტკიცებით სამრეწველო რევოლუციამ შეუწყო ხელი ოჯახის გარდაქმნას ფულადი ურთიერთობების ერთობლიობად. მაგალითად, ბავშვთა შრომის გამოყენების შედეგად მუშათა კლასის ოჯახებში ბავშვები შრომის იარაღად გადაიქცნენ. საშუალო კლასის ოჯახებში ქალებს უყურებდნენ, როგორც ოჯახის მონებს. ქალები მუშათა კლასიდან იძულებულნი იყვნენ ემუშავათ, ემოვათ ფული ოჯახის გადასარჩენად, მაგრამ რადგანაც ისინი ღებულობდნენ ხელფასს, საშუალო კლასის ქალებისაგან განსხვავებით, მათი მდგომარეობა ოჯახში მამაკაცის სტატუსს უახლოვდებოდა.

ოჯახთან კავშირში კონფლიქტის თეორიის თანამედროვე ვარიანტი ჩამოაყალიბა ჰარტმანმა (Hartman, 1981). ის ამ თეორიას „მარქსისტულ ფემინისტურს“ უწოდებს და მისი აზრით, ოჯახის არსის გაგება არ არის დაკავშირებული მის წევრებს შორის ნათესაური და ემოციური ურთიერთობების ანალიზთან; ოჯახი - “ბრძოლის” ველია. ოჯახში ადგილი აქვს ეკონომიკურ წარმოებასა და მატერიალური სიმდიდრის გადანაწილებას, თანაც ამ დროს ყოველი წევრის ინტერესი კონფლიქტშია ოჯახის სხვა წევრებისა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებთან.

მიიჩნევენ, რომ ოჯახის თეორიაში, ისევე როგორც სხვა სფეროებში, წინააღმდეგობა ფუნქციონალისტებსა და კონფლიქტის თეორიის მომხრეთა შორის გაზვიადებულია. მკვლევარები არ უარყოფენ ოჯახის როლს, რომ ის ასრულებს უამრავ მნიშვნელოვან ფუნქციას, მაგრამ მისთვის დამახასიათებელია შინაგანი კონფლიქტები, რომლებიც ხელს უწყობენ უფრო ფართო მაშტაბის კონფლიქტების აღმოცენებას.

ხშირად, კონფლიქტის თეორიებში ხაზგასმულია ძალაუფლების მნიშვნელობა:
(Farrington & Chertok, 1993)

- ძალაუფლება: უნარი, განახორციელო საკუთარი სურვილი მიუხედავად ყოველგვარი წინააღმდეგობისა, რაც დაკავშირებულია სოციალურ კონფლიქტთან და საზოგადოებრივ მოწყობასთან;
- ძალაუფლება - არის სოციალური არსებობის კრიტიკული ელემენტი. ადამიანები თავიანთი მდგომარეობისდა მიხედვით, იყენებენ ძალაუფლებას (ახდენენ გავლენას) სხვებზე;
- ძალაუფლება - არის ინსტიტუციონალიზებული და ლეგიტიმური, რაც ქმნის საზოგადოებრივ წყობას;
- ძალაუფლება - არის კონფლიქტის წყარო;
- ძალაუფლების სტრუქტურა - ოჯახის წევრებს შორის რეალური კონფლიქტის არსებობის გამოხატვას ამცირებს, ან ხდი

II თავი

ოჯახური კონფლიქტების ფსიქოლოგიური მახასიათებლები

¹⁹ოჯახურ კონფლიქტებს ერთმანეთისგან სამი ძირითადი მახასიათებლით განსაზღვრავენ, ესენია: ინტენსიურობა, კომპლექსურობა და ურთიერთობის ხანგრძლივობა (Canary & Cupach, 1995). პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობა ოჯახის წევრებს შორის არის ყველაზე მჭიდრო და ემოციურად ძლიერი - ნებისმიერი ადამიანური ურთიერთობისგან განსხვავებით (Bowlby, 1982). მოზარდ პარტნიორებს, მშობლებსა და შვილებს და და-ძმებს შორის კავშირები მოიცავს მაღალი დონის სიყვარულს, ერთგულებასა და ურთიერთ ვალდებულებებს. მიუთითებენ, რომ წლების განმავლობაში არსებული მსგავსი კავშირები უფრო აახლოებს ადამიანებს ერთმანეთთან. თუმცა, როდესაც ურთიერთობაში ჩნდება პრობლემები, მიუხედავად პრობლემებამდე არსებული დადებითი ემოციებისა, დადებითიდან ის შესაძლოა მარტივად ტრანსფორმირდეს ნეგატიურ ემოციებად. ცნობილია, რომ მკვლევარების მაღალი პროცენტული მაჩვენებლები სწორედ ოჯახურ ჯგუფებშია დაფიქსირებული. ოჯახური კონფლიქტები, განსხვავებით სხვა ნებისმიერი კონფლიქტებისაგან, ბევრად რთულია და მისი ეს სირთულე გამოიხატება იმაში, რომ ოჯახური კონფლიქტების გადაწყვეტა შედარებით პრობლემატურია და კონფლიქტების გამო წარმოქმნილი შედეგებიც შესაძლოა უფრო სავალალო აღმოჩნდეს (Canary & Cupach, 1995).

ოჯახური კონფლიქტების ერთმანეთისგან განმასხვავებელი მეორე მახასიათებელია - კომპლექსურობა. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაგებულ იქნას კონფლიქტის თავისებურებები. ოჯახური ურთიერთობები მოიცავს ისეთ განზომილებებს, როგორცაა: სიყვარული, პატივისცემა, მეგობრობა, სიძულვილი,

¹⁹ Canary, D. J., Cupach, W. R., & Messman, S. J. (1995) Relationship Conflict: Conflict in Parent-Child, Friendship, and Romantic Relationships (SAGE Series on Close Relationships), USA.

შეურაცხყოფა, ექვიანობა, მეტოქეობა(კონკურენცია) და უკმაყოფილება. რამდენიმე ამ განზომილებათაგან კომპლექსურად არის ნებისმიერ ოჯახში წარმოდგენილი და შესაბამისად, ოჯახური კონფლიქტები დაფუძვნიებულია იმაზე, თუ რომელი განზომილება არის აქტიური ურთიერთობაში. კონფლიქტების გამომწვევი მრავალრიცხოვანი განზომილებების განსაზღვრა წარმოადგენს წინაპირობას, ოჯახებმა ეფექტურად მოახერხონ პრობლემების გადაჭრა (Canary & Cupach, 1995).

ოჯახურ კონფლიქტებზე მუშაობა იძლევა მათი პრევენციისა და გადაჭრის მნიშვნელოვანი მიდგომების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. პირველ რიგში ხდება კონფლიქტის არსის განსაზღვრა, რამდენად რეალურია კონფლიქტი, აღიქვამენ თუ არა ოჯახის წევრები რეალურად კონფლიქტს და რა მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი კონფლიქტს, მისი არსებობის შემთხვევაში. ოჯახების ნაწილში ადგილი აქვს კონფლიქტებს, თუმცა ოჯახი ჩვეულებრივ კარგად განაგობს ფუნქციონირებას. გოტმანის (Gottman, 1995) მკტიცებით, თუ ხუთ პოზიტიურ ქცევას მიმართავს ოჯახი ერთი ნეგატიური ქცევის საწინააღმდეგოდ, ურთიერთობა ყოველთვის იქნება ჯანსაღი. ასეთი მიდგომის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტი არ უნდა იქნას მუდმივ გადაუჭრელ პრობლემად მიჩნეული. თუ კონფლიქტი იღებს ისეთ სახეს, როცა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანია სახეზე, მაშინ აუცილებელი ხდება ინტერვენციისათვის საჭირო მექანიზმების გატარება.

ოჯახურ კონფლიქტებში ყოველთვის ჩართულია ორი ან მეტი ინდივიდი, ხოლო მესამე მხარე საკუთარი სურვილით, ან საკუთარივე სურვილის საწინააღმდეგოდ ან თუნდაც რომელიმე მხარის სასარგებლოდ, ხდება კონფლიქტში ჩართული. მრავალრიცხოვან ოჯახს შეუძლია ერთიანობის საფუძველზე კონფლიქტის გადაჭრა ერთობლივი გზით მოახერხოს. ხშირ შემთხვევაში მსგავსი კოალიციები ან მოკლე დროით, ან პერმანენტულად მკვიდრდება და ოჯახური ცხოვრების ნაწილი ხდება. კოალიციები დავის დინამიკასა და სტრატეგიას კომპლექსურ განზომილებებს ამატებენ. უნარები, ალიანსების ჩამოსაყალიბებლად, განსაკუთრებით ღირებულია მცირე ძალაუფლების მქონე ინდივიდებისათვის და ისევე, როგორც კონფლიქტის სხვა თვისებები, კოალიციებიც შესაძლოა უკიდურესობების სახით ჩამოყალიბდნენ. სწორედ ასეთი კოალიციები

განაპირობებენ ჯანსაღი ოჯახური ფუნქციონირების დაშლას. ზოგადად მიიჩნევა, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართული კოალიციები ოჯახში ძალიან დიდ საფრთხეს წარმოადგენს ჰარმონიული ოჯახური თანაცხოვრებისათვის (Canary & Cupach, 1995).

2.1. ცოლ-ქმრული კონფლიქტების განსაზღვრა

²⁰თანამედროვე ოჯახი და მასთან დაკავშირებული პრობლემები ისეთი მეცნიერებების კვლევის ობიექტად მიიჩნევა, როგორც ფსიქოლოგია, სოციოლოგია და დემოგრაფია. სპეციალისტები მეუღლეების ემოციონალური ურთიერთობების დინამიკას, მარტოობის მიზეზებს ოჯახში და მისი დარღვევის, ასევე ოჯახური აღმზრდელობის თავისებურებებს სწავლობენ.

გარკვეული მოსაზრების თანახმად მიუთითებენ, რომ დღესდღეობით ოჯახში ჩართულობა აღარ არის სულიერი და ფიზიკური გადარჩენისათვის აუცილებელი ფაქტორი, რომ პიროვნებამ მიიღო შედარებითი დამოუკიდებლობა ოჯახისგან, შეიცვალა ოჯახური ურთიერთობების აღქმის ხასიათი და უფრო მნიშვნელოვანი გახდა არა ნათესაური, ობიექტურად მინიჭებული ურთიერთობები, არამედ ცოლ-ქმრული, რომელიც თავისუფალ არჩევანზეა დაფუძნებული და რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს ოჯახში.

სამეცნიერო ლიტერატურაში კონფლიქტი არაერთმნიშვნელოვნად განიხილება. კონფლიქტი - ეს არის შეჯახება, ურთიერთ დაპირისპირება მინიმუმ ორ ადამიანს, ჯგუფებს შორის და მათ ურთიერთ საწინააღმდეგო, შეუთავსებელ, ურთიერთ გამომრიცხავ მოთხოვნილებებს, ინტერესებს, მიზნებს, ქცევის წესებსა და დამოკიდებულებებს, დადგენილებებს, პიროვნებისა და ჯგუფის არსებით მნიშვნელობებს შორის.

როგორც ხშირად აღნიშნავენ, ქორწინების ადრეულ პერიოდში და ცოლ-ქმრობამდე გამოხატული კონფლიქტი არ არის დაკავშირებული უდავო ფაქტთან

²⁰ **Витек К. (1988)** Проблемы супружеского благополучия. Москва: Прогресс;

Сысенко, В. А. (1989) Супружеские конфликты, Москва: Мысль

(Kelly et al 1985), და პარტნიორები ხშირად ამ ხარვეზს თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ (Holmes & Murray, 1996) კონფლიქტის პოტენციური წყაროების იმიტირებად გადაქცევით. მიიჩნევა, რომ ეს დაკვირვება არის კრიტიკული, რადგანაც ხაზს უსვამს:

- კონფლიქტის განსაზღვრის საჭიროებას იმ შემთხვევაშიც, როცა მტრობა პირდაპირ გამოხატული არ არის;
- სრულყოფილი სურათის მისაღებად, კონფლიქტის პროცესის კოგნიტიური მოვლენების შეფასების მნიშვნელობას;
- ქცევის არა ადეკვატურობის როლს პრობლემების გადაჭრისას, როგორც კონფლიქტური ქცევის ერთადერთ ფაქტორს .

გაცნობიერებული ინტერესთა კონფლიქტი, შეუთავსებელი მიზნები, სურვილები და მოლოდინები, გაცნობიერებული ქვეტექსტი მიზანდასახულ ქცევასთან ერთად - ყველაფერი ეს წარმოადგენს კონფლიქტის ანალიზის საწყის წერტილს (დასაბამს). თუმცა არა ყველა ინტერესთა კონფლიქტი იწვევს შედეგად კონფლიქტს, არამედ ის წარმატებით ტრანსფორმირდება ერთობლივი ურთიერთქმედებების შესაძლებლობებად (Kelley & Thibaut 1978). ეს დაკვირვება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ხაზს უსვამს:

- პოტენციურ შანსს მეუღლეებისთვის რათა შეაჩერონ, ან მიმართულება შეუცვალონ საწყის რეაქციებს, შესაბამისად მძაფრი იმპულსები შეცვალონ სხვადასხვაგვარად;
- პოტენციურ შანსს პარტნიორებისთვის კონფლიქტს მიუდგინენ სხვადასხვა მიზნებით და სტრატეგიებით, რითაც პოტენციურად გავლენას მოახდენენ კონფლიქტის ეპიზოდის მსვლელობაზე.

კონფლიქტური ეპიზოდები დროთა განმავლობაში იცვლება. ატრიბუციონალური აქტივობა მოსალოდნელია გახმოვანებული იქნას მას შემდეგ, რაც დაუფარავი ნეგატივის გაცვლა შეწყდება, ანუ, მაშინ როცა ნეგატიური რეაქციების ძალისმიერი ჩახშობა შესაძლოა ყველაზე მოსალოდნელი იყოს კმაყოფილ წყვილებს შორის, პარტნიორის ნეგატიური საქციელის საპასუხოდ (Yovetich & Rusbult 1994), და გაცილებით უფრო აკომოდატიური (შესაფერისი) ქცევა განხორციელდეს

ნებისმიერ კონფლიქტურ ურთიერთქმედებამდე (სანამ ნებისმიერ კონფლიქტურ ურთიერთქმედებას ექნება ადგილი (Rusbult et al 1998). აგრეთვე, მრავალი კონფლიქტი არ გულისხმობს დაუფარავ უთანხმოებას და შეიძლება მოგვარდეს ისე, რომ არ იყოს დამოკიდებული ვერბალურ კომუნიკაციაზე (მაგ., მზრუნველობითი ქცევა, Rusbult 1993). საბოლოოდ, ღია ცოლ-ქმრული კონფლიქტი მოიცავს ნეგატიური ვალენტობის მქონე ქცევის გარკვეულ დონეს, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს კონფლიქტში ჩართულობისკენ, ან მისი თავიდან არიდებისაკენ. ამ ყველაფრის განხილვა, ცოლ-ქმრული კონფლიქტის შესწავლისას, ბევრი სხვადასხვა მიდგომების რელევანტობის საშუალებას იძლევა, დაწყებული ინტერაქციული კვლევებიდან - შემეცნებითი უნარების არაპირდაპირი შეფასებით. კონფლიქტის ანალიზის უნიფიცირების ეს მოკლე გამოკვლევა უკვე ახდენს იდენტიფიცირებას შეუმჩნეველი (გამოუმჟღავნებელი) საკითხებისა, რომელიც საჭიროა გათვალისწინებულ იქნას, თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბების პროცესში. კონფლიქტი შეუქცევადად (უცვლელად) კონცეპტუალიზირებულია მიზნებთან მიმართებაში და აღნიშნავენ, რომ ცოლ-ქმრული კონფლიქტის კვლევაში ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭა მიზნის ფორმირებას (Fincham & Bradbury 1991).

კონფლიქტები ერთმანეთთან დაკავშირებულია მწვავე ემოციონალური განცდებით, აღქმებითა და სტერეოტიპების მოქმედებით, კონფლიქტური სიტუაციების ინტერპრეტაციის მეთოდით და ამავდროულად პიროვნებისა თუ ჯგუფების მოქნილობითა და უნარით - ეძებონ გზები, ანუ მოქმედებები, რომელებიც კონფლიქტის ესკალაციას განაპირობებენ.

ოჯახში კონფლიქტის მონაწილეები ხშირად არ არიან ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილნი და ხშირად, არცა აქვთ საკუთარი მიზნები ადეკვატურად გაცნობიერებული. ოჯახური კონფლიქტებისთვის დამახასიათებელია უკიდურესად არაერთგვაროვანი და შესაბამისად, არაადეკვატური სიტუაციები, რომელიც კონფლიქტში ჩართული ადამიანების ქცევის თავისებურებებთან არის დაკავშირებული.

კონფლიქტის მიმდინარეობის პროცესში ოთხ ძირითად სტადიას გამოყოფენ: (Витек, 1988; Навайтис, 1995)

1. ობიექტური კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნა;
2. ობიექტური კონფლიქტური სიტუაციის გაცნობიერება;
3. კონფლიქტური ქცევა;
4. კონფლიქტის გადაწყვეტა.

კონფლიქტი მხოლოდ ურთიერთ წინააღმდეგობის გაცნობიერების შემდეგ ხდება რეალური იმდენად, რამდენადაც მხოლოდ სიტუაციის რეალურად გაცნობიერება ქმნის შესაბამის ქმედებას. (აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ურთიერთ წინააღმდეგობა შეიძლება იყოს არა მხოლოდ ობიექტური, არამედ სუბიექტური და წარმოსახვითიც) კონფლიქტში ჩართვა - ეს არის ქმედება, რომელიც მიმართულია საკუთარი მიზნების, ინტერესებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად, მეორე მხარის მიღწევების, მისწრაფებებისა და გადაწყვეტილებების უგულვებელყოფის ხარჯზე.

ოჯახური კონფლიქტები ძირითადად დაკავშირებულია ადამიანთა მისწრაფებასთან დაკმაყოფილონ ესა თუ ის მოთხოვნილებები, ან შექმნან შესაძლებლობა მათ დასაკმაყოფილებლად პარტნიორის ინტერესების გათვალისწინების გარეშე. გამოყოფენ მრავალ მიზეზს, რომელთა შორისაა: არარეალიზებული მოლოდინები და მოთხოვნილებები, უხეშობა, უპატივცემულო დამოკიდებულება, ცოლ - ქმრული ორგულობა, ფინანსური სირთულეები და ა. შ. კონფლიქტი, როგორც წესი წარმოიქმნება არა ერთი, არამედ მიზეზთა ერთობლიობის გამო, რომელთა შორის პირობითად შეიძლება გამოიყოს ძირითადი - მაგალითად, მეუღლეთა მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა.

მეუღლეთა მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის ნიადაგზე გამოწვეული კონფლიქტების შემდეგ სახეობებს გამოყოფენ: (Сысенко, 1983, 1989).

- კონფლიქტები, განქორწინებები - რომლებიც მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის საფუძველზე წარმოიშვა საკუთარი “მე” - ს ღირებულებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით. პარტნიორის მხრიდან ღირსების გრძნობის შელახვა, გაუფრთხილებლობა და უპატივცემულო დამოკიდებულება.

- კონფლიქტები, განქორწინებები, ფსიქიკური დაძაბულობა – დაუკმაყოფილებელი სექსუალური მოთხოვნილებების ფონზე ერთი, ან ორივე მეუღლის მხრიდან.
- ფსიქიკური დაძაბულობა, დეპრესია, კონფლიქტები, დავები - დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების გამო ერთი, ან ორივე მეუღლის მხრიდან. (დადებითი ემოციების: მოფერების, ზრუნვის, ყურადღების, იუმორის გაგების, საჩუქრების არ არსებობა)
- კონფლიქტები, უთანხმოებები - რომლებიც დაკავშირებულია ერთ - ერთი მეუღლის მხრიდან ალკოჰოლისადმი მიდრეკილების, აზარტული თამაშების და სხვა ისეთი მოთხოვნილებების არსებობასთან, რომელსაც ოჯახი ხშირად არაეფექტურ შედეგებამდე მიჰყავს.
- ფინანსური უთანხმოებანი, რომელიც განპირობებულია ერთ - ერთი მეუღლის მხრიდან გადაჭარბებული მომთხოვნელობის გამო. (პრობლემები ამ დროს ძირითადად ბიუჯეტის დაგეგმვისა და მატერიალური საკითხების განხილვისას წარმოიქმნება).
- კონფლიქტები, განქორწინებები, უსიამოვნებები - რომელიც გამოწვეულია მეუღლეთა მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობით კვების, ჩაცმულობის, სახლის კეთილმოწყობისა და სხვა მსგავსი საკითხებიდან გამომდინარე.
- კონფლიქტები განპირობებული ურთიერთდახმარების მოთხოვნილების გამო, რომელიც დაკავშირებულია ურთიერთმხარდაჭერასთან, ოჯახში უფლება - მოვალეობების გადანაწილებასთან, ლიდერობასა და ბავშვების მოვლასთან.
- კონფლიქტები, განქორწინებები, უთანხმოებები - რომლებიც სხვადასხვა მოთხოვნილებებისა და ინტერესების საფუძველზეა წარმოქმნილი. (მაგალითად, დასვენების საკითხი)

2.2. ცოლ-ქმრული კონფლიქტების კლასიფიკაცია

მიუთითებენ, რომ კონფლიქტები ცოლ-ქმარს შორის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორითაა გამოწვეული: ეს არის სიახლოვე ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში და განსხვავებები გენდერულ-როლურ შეხედულებებში, რომელიც მეუღლეების თვისებებსა და მახასიათებლებზეა დამოკიდებული (Argyle, Henderson & Furnham, 1985). ცოლ-ქმრულ კონფლიქტებზე ჩატარებულ არაერთ კვლევებში, ახალგაზრდა წყვილების მიერ კმაყოფილების ნაკლები და კონფლიქტურობის მაღალი მაჩვენებლების დაფიქსირება მიიჩნევა, რომ სწორედ ხანგრძლივ ურთიერთობებში, კონფლიქტების ეფექტურად გადაწყვეტის სირთულეზე მიუთითებს, რომელიც ამასთანავე მოითხოვს ძალიან დიდ დროსა და ძალისხმევას (Argyle & Furnham, 1983). ქორწინება ერთადერთ განსაკუთრებულად ძლიერ ემოციურ ურთიერთკავშირს გულისხმობს, რომელშიც კონფლიქტების დიდი რიცხვი ნორმად ითვლება, თუმცა ყველა კონფლიქტი წყვილებისთვის შესაძლოა პოტენციურად დესტრუქციული იყოს, რამდენადაც ქორწინებაში მყოფი რომელიმე მხარისთვის მოსალოდნელია უფრო საზიანო აღმოჩნდეს (Crosby, 1991).

კონფლიქტის მიზეზების გამოყოფა რთულია. ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში, შესაძლოა დადგინდეს მხოლოდ ის სპეციფიკურად პრობლემური მახასიათებლები, რომელიც ინტენსიურად ვლინდება და კონფლიქტის წარმომქმნელ ფაქტორებად მიიჩნევა. ესენია: ფინანსური საკითხები, თავისუფალი დროის გატარება, პიროვნული თვისებები, შვილების აღზრდა, საშინაო პასუხისმგებლობები, კარიერა, ახლო ნათესავები, მეგობრები და ინტიმური საკითხები (Knapp, 1984). ხშირად, პრობლემების იდენტიფიცირებისათვის მსგავსი მიდგომები ზერელე განსაზღვრებადაც კი მიიჩნევა, რადგანაც ჩამოთვლილი მიზეზები გადაუჭრელი კონფლიქტების სიღრმისეულ სიმპტომებს წარმოადგენს და ხშირად, გაუგებრობების ნადვილი წყარო დაფარული და უცნობია (Mace, 1987).

ცოლ-ქმრული კონფლიქტების 10 ყველაზე გავრცელებული მიზეზი შემდეგნაირად კლასიფიცირდება: (Bjorksten, 1983)

- **მოლოდინები** - არარეალური მოლოდინები ქორწინებაზე;
- **როლები** - იმედგაცრუება, გამოწვეული პარტნიორის მიერ შესრულებული ფუნქციების გამო;
- **გარეშე სტრესი** - სამსახურის, ავადმყოფობის, გარემოს ცვლილებისა და ოჯახური პრობლემებისგან.
- **ჰომოგამია** - პარტნიორებს შორის ნაკლები მსგავსება;
- **თვითშეფასება** - დაბალი თვითშეფასება, რომელიც ნეგატიური სტრატეგიების გამოყენებას უწყობს ხელს;
- **ოჯახური ჩართულობა** - კონფლიქტები, რომელიმე პარტნიორის ოჯახთან;
- **კომუნიკაცია** - არა ადეკვატური და შეუსაბამო კომუნიკაციური უნარები;
- **ბავშვები** - დრო, ენერჯია და ფული, დათმობილი ბავშვებისადმი, რომელიც იწვევს კონფლიქტებს;
- **ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა** - პარტნიორებში არსებული ფსიქიკური პრობლემები;
- **კონგრუენტულობა მოზარდების განვითარებაში** - ვერ მოხდება პრობლემების გადაწყვეტა, თუ განვითარება არის შეუძლებელი.

ცოლ-ქმრული კონფლიქტების შესახებ არსებულ ნაშრომში, დაოჯახებული წყვილები ორ კატეგორიად არიან დაყოფილი: ინტერნალები და ექსტერნალები (Mace, 1987)

ინტერნალები - რომლებიც ქორწინებით გამოხატავენ ძალიან დიდ კმაყოფილებას და აფიქსირებენ, რომ მხოლოდ მათი უნარებისა და ძალისხმევის წყალობით არის განპირობებული კარგი ურთიერთობები.

ექსტერნალები - განსხვავებით ინტერნალებისგან, ქორწინებით ნაკლებ კმაყოფილებას გამოხატავენ და ასევე გრძნობენ ნაკლებ პასუხისმგებლობას ურთიერთობის შედეგებზე.

ყურადღება, რომელიც ცოლ-ქმრულ კონფლიქტს ექცევა, ხშირად გასაგები ხდება გონებრივი, ფიზიკური და ოჯახური ჯანმრთელობის დარღვევების გათვალისწინებით. ცოლ-ქმრული კონფლიქტების შედეგებად მოიაზრება დეპრესიული სიმპტომები, კვების აშლილობა, ალკოჰოლიზმი მამაკაცებში,

ეპიზოდური, გადაბმული თუ ოჯახს გარეთ დაღევა. ცოლ-ქმრული კონფლიქტი დაკავშირებულია ჯანმრთელობის გაუარესებათან და ისეთ სპეციფიურ დაავადებებთან როგორცაა კიბო, გულის დაავადებები და ქრონიკული ტკივილები, რამეთუ არა მოყვრული ქცევა კონფლიქტის განმავლობაში უკავშირდება ცვლილებებს იმუნოლოგიურ, ენდოკრინულ და გულ-სისხლძარღვთა ფუნქციონირებაში (Fincham, 2003). საბოლოოდ, ცოლ-ქმრული კონფლიქტი ასოცირდება ბევრ მნიშვნელოვანად დესტრუქციულ ოჯახურ შედეგებთან, როგორცაა ცუდი მშობლობა, ბავშვების ცუდი შემგუებლობა, კონფლიქტის წარმოქმნის გაზრდილი შესაძლებლობა შვილსა და მშობელს შორის და კონფლიქტი და-ძმებს შორის. ცოლ-ქმრული კონფლიქტი, რომელიც არის ხშირად განმეორებადი, ემოციურად დამაბული, ფიზიკური ძალადობის შემცველი, გადაუჭრელი და ხშირად დაკავშირებულია ბავშვთან, განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს ბავშვზე, ისევე როგორც ის ცოლ-ქმრული კონფლიქტები, რომლებსაც მეუღლეები ხშირად თავად ბავშვის ქცევას მიაწერენ (Grych & Fincham, 2001). ცოლ-ქმრული კონფლიქტის მიზეზად შეიძლება იქცეს პრაქტიკულად ყველაფერი, წყვილები კონფლიქტის წყაროებზე საუბრისას უჩივიან ვერბალურ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ისევე, როგორც პიროვნულ თვისებებსა და ქცევებს.

2.3. ოჯახური კონფლიქტების გამომწვევი ფაქტორები ადაპტაციის პერიოდში

²¹პირველ პერიოდში, ანუ ცოლ-ქმრის ადაპტაციის პერიოდში კონფლიქტის ყველაზე ტიპიურ მიზეზებად მიჩნეულია:

- ინტერპერსონალური შეუთავსებლობა;
- პრეტენზია ლიდერობაზე;
- პრეტენზია უპირატესობაზე;
- ოჯახური საქმეების განაწილება;

²¹ Гришина, Н.В. (2000) «Психология Конфликта» «Конфликтология» учебное пособие, СПб., Питер.

- მეგობრებისა და ნათესავების რჩევებით ხელმძღვანელობა;
 - ინტიმურ-პირადული ადაპტაცია.
1. **ინტერპერსონალური შეთავსება** - გულისხმობს ერთმანეთის მიღებას, რაც ეყრდნობა მსგავსებას ფასეულობებში, სოციალურ აღქმებში, ინტერესებში, მოტივებში, მოთხოვნილებებში, ხასიათში, ტემპერამენტში, პიროვნული განვითარების დონეში. ინტერპერსონალური შეუთავსებლობა ჩნდება მაშინ, როდესაც ხსენებული ინდივიდუალურ ფსიქოლოგიური მახასიათებლები ყველა მხარეს აქვს განსხვავებული და მეორე მხარის საპირისპიროა.
 2. **ოჯახში პრეტენზია ლიდერობაზე** - ქორწინებამდე ორივე ცოლ-ქმარი შეიძლება ჩამოყალიბდნენ როგორც ლიდერები. ოჯახურ ცხოვრებაში მსგავსი პრინციპების შენარჩუნება იწვევს კონფლიქტს. როდესაც, რომელიმე მხარე ლიდერობს, ის თრგუნავს მეორე მხარის ინიციატივებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ღია, ან შენიღბული კონფლიქტი.
 3. **პრეტენზია უპირატესობაზე** - ოჯახური თანაცხოვრების პირველ პერიოდში, ხშირია შემთხვევები, როდესაც ცოლი ან ქმარი ცდილობს თავისი უპირატესობის დამტკიცებას (როდესაც წყვილები ერთმანეთის მიმართ ცინიკურ შენიშვნებს საჯაროდ გამოხატავენ და რაც, უმეტეს შემთხვევაში კონფლიქტებს წარმოშობს).
 4. **საოჯახო საქმეების განაწილება** - ზოგიერთი ოჯახი საოჯახო საქმიანობას ორ ნაწილად ყოფს: ქალის და კაცის საქმეებად, მაგრამ რაც არ უნდა ზუსტად იყოს განაწილებული მოვალეობები, მაინც ყოველთვის იჩენს თავს გაუთვალისწინებელი სიტუაციები, რაც საბოლოოდ შესაძლებელია კონფლიქტის მიზეზი გახდეს.
 5. **ოჯახური ბიუჯეტი** ცოლ-ქმარს შორის პრობლემა ხშირად ფინანსური საკითხების გამო ჩნდება. (მაგ. კონფლიქტური სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, როდესაც ერთ მხარეს მიაჩნია, რომ მეორე უაზროდ ხარჯავს ფულს იმ ნივთებში რაც სრულიად უსარგებლოა).

6. მეგობრები და ნათესავები - ზოგიერთი ადამიანისათვის ცხოვრებისეული სირთულეების მართვად გადატანა ძალიან ძნელია. ამ დროს ისინი მიმართვენ მეგობრებს, ნათესავებს ან კითხულობენ სპეციალურ ლიტერატურას.
7. ინტიმურ-პირადული ადაპტაცია ცოლ-ქმარი ითხოვს ერთმანეთისაგან მორალურ-ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ დაკმაყოფილებას. ამ პროცესის დარღვევა კი, განაპირობებს კონფლიქტის წარმოშობას.

2.4. კონფლიქტები და ძალადობა ოჯახში

კონფლიქტი თავისი არსით სოციალური დამოკიდებულებების ერთ - ერთი სახეა, რომლის სუბიექტსაც ცალკეული ინდივიდები, დიდი და პატარა სოციალური ჯგუფები, ორგანიზაციები, სახელმწიფოები წარმოადგენენ. იგი არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური ფენომენია, არამედ ადამიანის სულიერი არსებობის მუდმივი ელემენტიცაა. თავისუფალი საზოგადოება წარმოუდგენელია ცვლილებების გარეშე, რაც თავის მხრივ, ბუნებრივად წარმოშობს კონფლიქტურ სიტუაციებს. საზოგადოების ფუნქციონირების მთელი პროცესი შედგება კონფლიქტებისა და კონსესუსებისაგან, შეთანხმებებისა და დაპირისპირებებისაგან. რაც უფრო მრავალფეროვანი, რთული და დიფერენცირებულია სოციალური სტრუქტურა, მით მეტია ურთიერთ გადამკვეთი ინტერესები, ურთიერთ გამომრიცხავი მიზნები და ღირებულებები. შესაბამისად, მეტი წყაროა პოტენციური კონფლიქტებისათვის. კონფლიქტი ურთიერთქმედების ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც ჭარბობს დაპირისპირების, მტრობის ტენდენცია და ირღვევა თანხმობის, ერთიანობისა და თანამშრომლობის მიღწეული დონე (ზირაქიშვილი, 2009). რამდენადაც კონფლიქტი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ის ხშირად პერმანენტული სახით მკვიდრდება ოჯახებში და რთული ხდება მისი გადაჭრა. გამუდმებული კონფლიქტები, დავები და უთანხმოებები კი შესაძლოა ძალადობის წინაპირობა გახდეს.

²²წლების განმავლობაში ოჯახური ძალადობა “ოჯახურ” პრობლემად ითვლებოდა, რომელშიც ჩარევისგან თავს იკავებდა სახელმწიფოც და საზოგადოებაც. მაგრამ ის გარემოება, რომ აღნიშნული ტიპის ძალადობას ადგილი აქვს ოჯახში არ ამცირებს მის საზოგადოებრივ საშიშროებას. ის ისეთივე დანაშაულია როგორც ნებისმიერი სხვა და უფრო მწვავეც კი. მისი გამომწვევი მიზეზები არაერთგვაროვანია, პრობლემის არსი კი კომპლექსური. მას არ გააჩნია რასობრივი, სოციალური, კულტურული თუ ტერიტორიული საზღვრები. იგი ყველა ფენის და ეროვნული თუ ეთნიკური ჯგუფის, საზოგადოების თითოეული წევრის სოცოცხლეს და ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, წარუშლელ კვალს ტოვებს მათ ფსიქიკაზე და ხშირად ამახინჯებს მათ ცხოვრებას, უყალიბებს შიშის და სირცხვილის კომპლექსს. როგორც წესი, მსხვერპლი არ გრძნობს თავს დაცულად არც ოჯახში და არც საზოგადოებაში, თავს არიდებს პრობლემაზე საუბარს და გაურბის სხვათა დახმარებას. რასაც გარკვეულწილად საკუთარი უფლებების არ ცოდნა და დაცვის ადექვატური, მოქნილი მექანიზმების არ არსებობა უწყობს ხელს.

ოჯახში ძალადობა თავისი არსით ერთ - ერთი ყველაზე რთული, სპეციფიკური და გავრცელებული სოციალურ - სამართლებრივი პრობლემაა, რომელიც სამართალდარღვევათა მთელ რიგ ნიშნებს შეიცავს. კონფლიქტი უშუალოდ ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებს ეხება და ის ლოკალურ, ჩაკეტილ ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობა მხოლოდ კონკრეტული ოჯახის ცალკეული წევრების პრობლემა არ არის, ასეთი კონფლიქტები ნეგატიურად მოქმედებენ ოჯახის სხვა წევრებზე (განსაკუთრებით არასრულწლოვნებზე), იწვევენ მათი ფსიქიკისა და ცნობიერების დამახინჯებას, რაც მთლიანად საზოგადოებაში არაჯანსაღი სიტუაციის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. (UNFPA, 2010)

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ (შემდგომში – ოჯახში ძალადობის კანონი) საქართველოს კანონის მე -3 მუხლის თანახმად, “ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დარღვევას

²² გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) (2010) ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ ნორმატიული აქტების კრებული, თბილისი.

ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით”. (UNFPA, 2010)

შესაბამისად, კანონის მიერ განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის ხუთი ფორმა:

- **ფიზიკური ძალადობა** (ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს);
- **ფსიქოლოგიური ძალადობა** (შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას);
- **სექსუალური ძალადობა** (სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ);
- **ეკონომიკური ძალადობა** (ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორნალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას);
- **იძულება** (ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება – სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება);

„ოჯახის წევრის” ცნებიდან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფსიქიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება ოჯახის სხვა წევრის მხრიდან, ხოლო მოძალადეს წარმოადგენს ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ,

ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ. (UNFPA, 2010)

2.5. განვითარებითი თეორიის როლი მშობელსა და შვილს შორის კონფლიქტების შესწავლისას

²³მშობელსა და შვილს შორის კონფლიქტის შესწავლისას, ხშირად განიხილება პიროვნების განვითარების თვალსაზრისი. კოგნიტურ და აფექტურ განვითარებაში მომხდარი ცვლილებების საშუალებით შესაძლებელია ბავშვების ქცევებში ჩაწვდომა, რომელიც ვლინდება ოჯახური კონფლიქტის დროს. სწორედ შვილებსა და მშობლებს შორის არსებულ ინტერესთა შეუთავსებლობა ქმნის კონფლიქტს, რომლის არსიც მკვლევარებს უადვილდება ბავშვის განვითარების შეფასებას. მშობელსა და ბავშვებს შორის არსებული კონფლიქტის შემსწავლელი თეორიები შეესიტყვებიან განვითარების ფაქტორების გამოკვლევებს. R. Selman-ის თეორია კონფლიქტს ბავშვის მიერ სოციალური პერსპექტივის მიღებას, განვითარების თვალსაზრისით განიხილავს. სოციალური პერსპექტივის მოპოვება ინდივიდუალური განვითარების საფეხურია და წარმოადგენს პიროვნული განვითარების აუცილებელ პირობას (sine qua non).

R. Selman -მა სოციალური პერსპექტივის მიღების ხუთი დონე ჩამოაყალიბა, რომელთაგან თითოეული შესატყვის ასაკობრივ ჯგუფს მოიცავს: (ქაჯაია, 2011)

დონე 0: არადიფერენცირებული და ეგოცენტრული პერსპექტივის მიღება (დაახლოებით 3-დან 6 წლამდე ასაკი). ბავშვები არ ანსხვავებენ ფიზიკურს ფსიქოლოგიურ რეალობისგან, ისინი თავიანთ შეხედულებებს სოციალური სამყაროს შესახებ სხვებს მიაწერენ.

დონე 1: დიფერენცირებული და სუბიექტური პერსპექტივის მიღება (5-დან 9 წლის ასაკი). მართალია, ამ დონეზე ბავშვები ფიზიკურს ფსიქოლოგიურისაგან განასხვავებენ, მაგრამ მათი ურთიერთობების პერსპექტივა ცალმხრივია, (მე - (self) ზემოქმედებს სხვაზე ან სხვები ზემოქმედებენ მე-ზე).

²³ქაჯაია, ნ. (2011) - კონფლიქტის ფსიქოლოგია, თბილისი.

დონე 2: თვითასახვა (Self-reflective) / მეორე პიროვნება და ორმხრივი (რეციპროკული) პერსპექტივის მიღება (7 -დან 12 წლამდე). ამ დონეზე ბავშვები საკუთარ თავს სხვების თვალსაზრისიდან გამომდინარე უყურებენ და ხვდებიან, რომ სხვებიც იმავეს აკეთებენ. ბავშვის მიერ სოციალური ურთიერთობების გაგება შემდეგი ფორმულით გამოიხატება – მე (self) გავლენას ახდენს სხვებზე და სხვები გავლენას ახდენენ მე -ზე (self).

დონე 3: პიროვნება და ერთობლივი პერსპექტივის მიღება (10-დან 15 წლის ასაკი). ამ დონეზე ბავშვს შეუძლია საკუთარი თავისა და სხვების დანახვა ურთიერთდამოკიდებულებით სისტემის წევრებად. ამ დროს შესამჩნევია ერთმანეთზე ურთიერთგავლენა, რომელიც გაცნობიერებულია ორივე მხარის მიერ.

დონე 4: სიღრმისეული და სოციალურ-სიმბოლური პერსპექტივის მიღება (დაახლოებით 12 წლის ასაკიდან მოზრდილობამდე). პერსპექტივის მიღების ამ დონეზე სოციალური ურთიერთობების გაგება შესაძლებელია მრავალმხრივი მნიშვნელობის მინიჭებით; მაგალითად, როდესაც აქტივობების ინტერპრეტაცია ხდება როგორც ლეგალური, მორალური, ეთიკური ან კონვენციონალური გაგებით.

²⁴ R. Selman -ის მიხედვით , **წულოვან დონეზე** ბავშვები კონფლიქტს ძალის ან განრიდების საშუალებით მართავენ. ამ დონეზე ბავშვის მიერ მართვითი სტრატეგიების გამოყენება მიუთითებს, რომ ის ვერ ასხვავებს ფიზიკურ ქცევას ფსიქოლოგიურისაგან. ბავშვს შეუძლია დაარტყას, ავნოს სხვა პიროვნებას ყოველგვარი ფსიქოლოგიური და ურთიერთობის შედეგების გაანალიზების გარეშე.

პირველ დონეზე ბავშვები კონფლიქტს ცალმხრივი გავლენის მქონე მოვლენად და მისგან თავის დაღწევის საშუალებად განიხილავენ. მაგალითად, კონფლიქტად შეიძლება მიჩნეული იყოს ყვირილი. იმისათვის, რომ კონფლიქტი გადაიჭრას, ერთ-ერთი მარტივი ამოხსნა მათთვის ყვირილის შეწყვეტა და ბოდიშის მოხდა არის.

მეორე დონეზე ბავშვები საკუთარი მიზნების მიღწევას პარტნიორებთან სურვილების შეთანხმებით ცდილობენ.

მესამე დონეზე კონფლიქტის გადალახვა ორივე მხარის დაკმაყოფილებით ხდება, აქცენტი გადადის აქტიურ ინტერპერსონალურ კომუნიკაციაზე. კონფლიქტის

²⁴ ქაჯაია, ნ. (2011) - კონფლიქტის ფსიქოლოგია.

გადაჭრა უფრო ვერბალური ან გონებრივი საშუალებით მიიღწევა, ვიდრე ფიზიკური აქტივობით.

და ბოლოს, კონფლიქტი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ უფრო რეალისტურ ხედვას აყალიბებს. მაგალითად, ურთიერთობები არ არის იძულებითი. ბავშვებს უყალიბდებათ წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ინტრაფსიქიკური კონფლიქტები მოიცავენ ინტერპერსონალური კონფლიქტების ჭეშმარიტ მიზეზებს. ამასთანავე, კონფლიქტების მართვის საშუალებას წარმოადგენს არავერბალური და ვერბალური შეტყობინებები. როგორც 16 წლის მოზარდი ხსნის, „რაიმე თემაზე ამომწურავი ლაპარაკი, ჩვეულებრივ, „უფერულდება“. „არის შემთხვევები, როდესაც არ გიწევს ყველაფრის ახსნა, ვინაიდან ყველაფერი თავისთავად ცხადია. აკეთებ რაღაცას და ყველამ იცის, ეს რას ნიშნავს. მაგრამ, თუ ვერ გაიგებენ, მაშინ იწყებ ამომწურავად საუბარს.“ (ქაჯაია, 2011)

მიუხედავად იმისა, რომ R. Selman -ის ინტერესი მიმართულია თანატოლებს შორის კონფლიქტისკენ, მისი თეორია განიხილება სხვა ურთიერთდამოკიდებულებებშიც იმ ხარისხით, რომლითაც შესაძლებელია ბავშვების კონფლიქტური ქცევა მათ მიერ სოციალური პერსპექტივის მიღების უნარს დაუკავშირდეს.

2.6. მშობლებს შორის კონფლიქტების გავლენა შვილებზე

²⁵კონფლიქტი და აზრთა სხვადასხვაობა წარმოადგენს აუცილებელ და მამასადამე გარდაუვალ გამოცდილებას ყველა ინდივიდისათვის ვინც კი ახლო, პირად ურთიერთობებში იმყოფება. თუმცა აღსანიშნავია, რომ კონფლიქტი არ გულისხმობს ინდივიდებს შორის მხოლოდ ყვირილს, დაპირისპირებასა და ჩხუბს. კონფლიქტი განისაზღვრება, როგორც ნებისმიერი განსხვავებულობა შეხედულებებს, მოსაზრებებსა და დამოკიდებულებებს შორის, რაც შესაძლოა ვარირებდეს ძალიან სასიამოვნო და პოზიტიური დისკუსიიდან - ხმამაღალ და პოტენციურად აგრესიულ, ნეგატიურ კამათამდე (Cummings, 1998; Faircloth & Cummings, 2008). ოჯახურ

²⁵ Faircloth, B. (2012) - Children and Marital Conflict: A Review; CASE makers; Sources of Information About Early Childhood & Family Support Practice,

კონფლიქტს ფართოდ გავრცელებული შედეგები აქვს, განსაკუთრებით იმ ბავშვებზე, რომელნიც კონფლიქტის მოწმენი ხდებიან. საბედნიეროდ, კონსტრუქციული კონფლიქტის საშუალებით შესაძლებელია ბავშვებში არა მხოლოდ ნეგატიური შედეგის თავიდან არიდება, არამედ ცოლ-ქმრული კონფლიქტი ფაქტობრივად ბავშვებისათვის პოზიტიური შედეგის მომტანიცაა, რადგან ის ხელს უწყობს ბავშვთა პროსოციალური ქცევის განვითარებას (გარდა ამისა, ასეთ ბავშვებთან შეინიშნება ფსიქოლოგიურ პრობლემათა ნაკლები ოდენობა და უფრო მაღალი თვით-შეფასება), გაზრდილ ემოციურ დაცულობასა და მშობლიურ სითბოს.

მშობელთა ცნობიერების ამაღლება საკუთარი კონფლიქტური მახასიათებლების შესახებ და მეუღლეებთან კონფლიქტების კონსტრუქციულად გადაჭრის უნარის განვითარება საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს. ოჯახურ კონფლიქტთან დაკავშირებულ ლიტერატურაში არსებობს კვლევათა საკმად დიდი რაოდენობა, რომლებიც განსაკუთრებით მშობელთა შორის განხეთქილებებზე ფოკუსირდება (cf. Grych & Fincham, 1990). მიუხედავად იმისა, რომ ამ კავშირის სიძლიერე მერყეობს კვლევიდან კვლევამდე, თანამედროვე მეტა-ანალიზი უშვებს, რომ კავშირი მშობელთა შორის კონფლიქტსა და ქცევით პრობლემებს შორის საკმაოდ სუსტი, მაგრამ მაინც შესამჩნევია ბიჭებში და რომ გოგონების შემთხვევაში ამ ფაქტორებს შორის სანდო კავშირი არ არსებობს (Reid & Crisafulli, 1990). თუმცა, მნიშვნელოვან სამეცნიერო აღმოჩენათა მიუხედავად, შეუძლებელია იმ ხარისხის განსაზღვრა, რომლითაც შედეგები მიეწერება სპეციფიკურად მშობელთა შორის კონფლიქტს, რაც სინამდვილეში გამოწვეულია ოჯახში არსებული ბრაზისა და უთანხმოების კლიმატით.

ქორწინების თეორეტიკოსები დიდი ხანია ეჭვობენ, რომ მშობელთა შორის განხეთქილებაზე პირდაპირი დაკვირვების შედეგად გამოვლენილი უარყოფითი შედეგების გარდა, ბავშვები შესაძლოა აგრეთვე იტანჯებოდნენ იმ ზემოქმედებისა და გავლენებისგან, რომელსაც ცოლ-ქმრული პრობლემები ახდენს ბავშვთა და მშობელთა ურთიერთობაზე (Christensen & Margolin, 1988; Margolin, 1981).

შეუფერებელ ქორწინებაში მყოფ მშობლებს შესაძლოა გაუჩნდეთ გულგრილი ან მტრული განწყობა საკუთარი შვილების მიმართ, ან მათ შესაძლოა სცადონ ბავშვის

საკუთარ მოკავშირედ ქცევა მეორე მშობლის წინააღმდეგ. ქრისტენსენმა და მარგოლინმა (1988) აღწერეს ცოლ-ქმრული კოფლიქტის განვნილობა ბავშვთა და მშობელთა ურთიერთობებზე იმ ოჯახებში, სადაც მშობლები უიღბლო ქორწინებაში იმყოფებოდნენ. გარდა ამისა, სხვა ემპირიული მტკიცებულებებიც ადასტურებს, რომ მშობელთა ქცევები, როგორცაა მაგ. სითბოს ნაკლებობა, უარყოფა და ემოციური დამორებულობა, სულ ცოტა - ნაწილობრივ მაინც შუამავლობს ცოლქმრულ განხეთქილებასა და ბავშვის არასწორ რეგულირებას შორის (Belsky, 1985; Burman, John, & Margolin, 1987; Conger et al., 1992; Fauber, Forehand, Thomas, & Wierson, 1990; Peterson & Zill, 1986; Tschann, Johnston, Kline, & Wallerstein, 1989).

ცოლ-ქმრული დისტრესი მიიჩნევა წინასწარმეტყველების ძლიერ იარაღად ბავშვთა აკადემიურ, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ძილის პრობლემების წინასწარ განსაზღვრის საკითხებში და ასევე იმ ზრდასრულებში, რომლებიც ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებს საჭიროებენ. (Baucom, Shoham, Mueser, Daiuto, & Stickle, 1998; Cummings, Pelligrini, Notarius, & Cummings, 1989).

ფრაზა “ცოლ-ქმრული კონფლიქტი” ხშირად გამოიყენება ურთიერთ ჩანაცვლებადად ისეთ ტერმინებთან, როგორცაა ჩხუბი, კამათი და ყვირილი. ამგვარად, კონფლიქტი ჩვეულებრივ განიხილება, როგორც რაღაც ნეგატიური ან დამაზიანებელი. თუმცა, ბოლო 25 წლის მანძილზე კვლევათა საყურადღებო რაოდენობამ გადასინჯა ის ქცევები და ემოციები, რომლებსაც მეუღლეები კონფლიქტის დროს ურთიერთის მიმართ გამოხატავენ და ისიც, თუ როგორ გავლენას ახდენს ეს ქცევები და ემოციები ბავშვებზე. ამ კვლევების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ზოგიერთი კონფლიქტური ქცევა კონსტრუქციულია ბავშვებისათვის, ხოლო ზოგი კონფლიქტური ქცევა კი - დესტრუქციული. გარდა ამისა, ცოლ-ქმრული კონფლიქტი იძლევა ბავშვთა რეგულირების პრობლემათა წინასწარმეტყველების უკეთეს საშუალებას, ვიდრე ცოლ-ქმრული დისტრესის ზოგადი საზომი. ცოლ-ქმრული კონფლიქტის მახასიათებლებით შესაძლოა წინასწარ განისაზღვროს სხვა ოჯახურ ფაქტორთა კონტროლირების შედეგები, მაგ. ისეთების, როგორცაა მშობელთა მიერ გამოყენებული აღრზდის სტილი და დედის დეპრესია. გავრცელებული რწმენის საწინააღმდეგოდ, ბავშვები, რომლებიც განმეორებითად

ხდებიან კონფლიქტის მომსწრენი, სხვა ბავშვებზე მეტად არ გამოირჩევიან ამგვარი კონფლიქტისადმი ტოლერანტულობით და არც მიჩვეულნი არიან ამგვარ კონფლიქტებს (Ballard, Cummings, & Larkin, 1993; Cummings, 1998; Cummings & Davies, 1994). ფაქტობრივად, ის ბავშვები, რომლებიც ხშირად არიან მშობლებს შორის უსიამოვნების შემცველი ინტერაქციის მომსწრენი, ხდებიან უფრო სენსიტიურნი ცოლ-ქმრული კონფლიქტის მიმართ, რაც მათ უფრო მეტად მოწყვლადს ხდის ამ ზეგავლენებისადმი. ბავშვებს, რომლებიც სენსიტიურნი არიან კონფლიქტის მიმართ, ნაკლებად ძალუბთ გაუმკლავდნენ დარდას (პრობლემებს) და აგრესიას, რომელიც უმცირესი უთანხმოებების შემთხვევაშიც კი განაპირობებს მათში მაღალ აღზნებულობასა და დისტრესს. ბავშვები, რომლებიც ხდებიან საკუთარ მშობლებს შორის განმეორებადი დესტრუქციული კონფლიქტის მაგალითების მომსწრენი, აგრეთვე ავლენენ მცდელობებს, რომ თვითონ ჩაერთონ კონფლიქტში, ან ექომაგებიან ერთ-ერთ მშობელს, რომ შეაჩერონ მათ შორის მიმდინარე დაპირისპირება. მუდმივად ცოლ-ქმრული კონფლიქტების შემყურე ბავშვები, აგრეთვე ავლენენ გაზრდილ ფიზიოლოგიურ აღზნებას და ემოციურ დისტრესს, რომელსაც შიშის, ბრაზისა და სევდის ფორმით გამოხატავენ. გარდა ამისა, ის ბავშვები, რომლებიც თავიანთი მშობლების მიერ კონფლიქტური შემთხვევების კონსტრუქციულად გადაჭრის მექანიზმებს ხედავენ, რეალურად იღებენ ძალიან დიდ სარგებელს იმის ნახვით, თუ როგორ უმკლავდებიან კონფლიქტს მათი მშობლები. (Cummings, 1998). ისინი სწავლობენ პრობლემის კონსტრუქციულად მოგვარების უნარებს, რომელსაც მომავალში, საკუთარი კონფლიქტების გადასაჭრელად გამოიყენებენ. კონსტრუქციული კონფლიქტი აგრეთვე აძლიერებს ბავშვის დაცულობის გრძნობას ოჯახში და იგი აღიქვამს ოჯახს, როგორც სტაბილურობის, თანაგრძნობისა და სიყვარულის წყაროს.

2.7. აგრესია როგორც კონფლიქტების წყარო ოჯახში²⁶

ნორმალურად ფუნქციონალური ოჯახი - ეს არის ოჯახი, რომელიც პასუხისმგებლობით ასრულებს თავის ფუნქციებს, რის შედეგადაც კმაყოფილდება ოჯახის, როგორც მთელის, ასევე მისი თითოეული წევრის ზრდისა და განვითარების მოთხოვნილება (Эйдемиллер, Юстицкис, 1999). დისფუნქციონალურ ოჯახებს არ შესწევთ იმის ძალა, რომ დააკმაყოფილონ ოჯახის წევრების პიროვნული და სულიერი ზრდის მოთხოვნილებები. ოჯახში, სადაც სუფევს მუქარის, სიმკაცრისა და კონფლიქტის ატმოსფერო, ხშირია პიროვნების დამახინჯება. დასწავლის თეორეტიკოსების აზრით, სწორედ ოჯახს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა ბავშვის აგრესიულობის ჩამოყალიბებაში (Bandura, 1973). გრძელვადიანი კვლევები ამტკიცებს, რომ ბავშობაში ჩამოყალიბებული აგრესიული ქცევა არის დროში სტაბილური და არაა დამოკიდებული სიტუაციაზე (Deluty, 1985 Huesmann et al, 1984). აგრესიული ქცევის ჩამოყალიბებაზე მოქმედებს მშობლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, და-ძმებს შორის ურთიერთობები ოჯახში გამეფებული ხელმძღვანელობის სტილი, ძალაუფლების განაწილება და გადაწყვეტილების მიღების მანერა, ოჯახური სტრესის გამომწვევი მიზეზები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვები აგრესიულობას სწავლობენ არა მხოლოდ ოჯახში, არამედ თანატოლებთან ურთიერთობის დროს და ზოგჯერ მასმედიიდან. ამ ფაქტორებმა შეიძლება განსაზღვრონ ბავშვის აგრესიული ქცევა ოჯახში და მის გარეთ და, ასევე, ზეგავლენა მოახდინონ მთელი ცხოვრების მანძილზე გარშემომყოფებთან მის ურთიერთობებზე.

მიუთითებენ ფაქტორებზე, რომლებიც აგრესიის ოჯახური დეტერმინანტების მნიშვნელოვან მიგნებად მიაჩნიათ:

²⁶ ქვეთავი მთლიანად მომზადებულია შემდეგ წყაროზე დაყრდნობით: **სამაგლიშვილი, შ. (2000)** - ოჯახში აგრესიის გამომწვევი მიზეზები, *ქართულ ფსიქოლოგიური ჟურნალი N3*, თბილისი.

მშობლებს შორის ურთიერთობა

„ოჯახური ძალადობის ციკლის“ კვლევები ადასტურებს, რომ ადამიანები რომლებიც ბავშობაში იყვნენ მშობლებს შორის ფიზიკური ძალადობის მოწმენი, არიან უფრო მეტად მიდრეკილნი ოჯახური პრობლემების გადაწყვეტისას თავიანთი მეუღლეების მიმართაც ასევე მოიქცნენ, ვიდრე ისინი, რომლებიც არასოდეს ყოფილან მშობლების ჩხუბის მოწმენი. (Gelles, 1987).

მშობელი - შვილის ურთიერთობა

გამოკვლევები ადასტურებს, რომ მშობელი - შვილის ნეგატიური ურთიერთობა განაპირობებს ბავშვის აგრესიულ რეაქციებს, კერძოდ როცა ბავშვებს ნეგატიური ურთიერთობა აქვთ ერთ ან ორივე მშობელთან და გრძნობენ, რომ მშობლებს ისინი არ სჭირდებათ, ვერ გრძნობენ მშობლების მხარდაჭერას, უფრო მეტია ალბათობა, რომ ჩათრეულნი იქნებიან დანაშაულებრივ საქმიანობაში. სხვა ბავშვების წინააღმდეგ იქნებიან ამხედრებულნი, თანატოლები მოიხსენებენ მათ, როგორც აგრესიულებს, იქნებიან აგრესიულნი მშობლების მიმართ (Eron, Walder, Lefkowitz, 1971).

და - ძმებს შორის ურთიერთობა

ბავშვის ურთიერთობა და- ძმასთან ქმნის აგრესიული ქცევის დასწავლის საფუძველს. არსებობს მოსაზრება, რომ ინდივიდის სოციალიზაციაზე (რომლის შედეგადაც ბავშვი ითვისებს ქცევის აგრესიულ მოდელებს) და-ძმებს შორის ძალადობის არსებობა უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე სხვა ოჯახური ურთიერთობები (Gully et al, 1981). ასევე დადგენილია, რომ აგრესიული ბავშვების და-ძმები მიდრეკილნი არიან უპასუხონ თავდასხმას კონტრშეტევით, განსხვავებით არააგრესიული ბავშვების და-ძმებისაგან (Patterson, 1984).

ოჯახური ხელმძღვანელობის სტილი

ოჯახური ურთიერთქმედების ერთ-ერთი ასპექტია ოჯახური ხელმძღვანელობის სტილი, ანუ მშობლების ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს

ბავშვების სწორ გზაზე დაყენებას. ამ კლასიფიკაციის მიხედვით, ოჯახი ოთხ ძირითად ტიპად (ავტორიტარული, ავტორიტეტული, ლიბერალური და ინდიფერენტული) იყოფა. ეს კლასიფიკაცია ხორციელდება მშობლების შვილებისადმი გამოვლენილი კონტროლისა და მათდამი გამოხატული სითბოს მიხედვით. დადგინდა, რომ დასჯა დაკავშირებულია ბავშვის აგრესიულობის მაღალ დონესთან (Eron, Huesman, 1984, Olweus, 1980). არასაკმარისი კონტროლი და ზედამხედველობა კორელაციაშია ასოციალურობის მაღალ დონესთან, რომელიც ნაწილობრივ აგრესიულ ქცევასთან ერთად იჩენს თავს (Loeber & Dishion, 1984). მიუთითებენ, რომ ინდივიდები, რომლებიც ბავშობაში ფიზიკურად ხშირად ისჯებოდნენ მშობლების მიერ, უფრო აგრესიულები ხდებოდნენ მომავალში და საკუთარი შვილების მიმართაც იყენებდნენ დასჯის უფრო მკაცრ მეთოდებს, ვიდრე ისინი, რომლებსაც არ ჰქონდათ მიღებული ამგვარი გამოცდილება (Gelles, Straus, Steinmetz, 1980 ციტირებულია სამაგლიშვილი, 2000)

ბავშვის ქცევის აგრესიული მოდელების განვითარებასა და მისი ავტორიტარული ხასიათის ჩამოყალიბებაში, შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ძალაუფლების განაწილებამ. ძალაუფლება ოჯახში არ განიხილება, როგორც რაიმე ფიქსირებული და სტატიკური, რადგანაც ოჯახური ქსელი მუდმივად იზრდება, იყოფა და კრისტალიზდება. ძალაუფლების სტრუქტურა, ანუ ის, თუ როგორ არის გადანაწილებული ძალაუფლება ოჯახის წევრებს შორის, ახდენს ზეგავლენას კონფლიქტის განვითარებაზე. Allen & Straus -მა (1979) აღმოაჩინეს, რომ ქმრის ან ცოლის დომინანტობით, ძალაუფლების უკიდურესი სტრუქტურა ხასიათდება დიდი ძალადობით. (სამაგლიშვილი, 2000)

იმ ოჯახებში, სადაც არ ხდება ძალაუფლების ურთიერთგაზიარება, განსაკუთრებით რთულად მიმდინარეობს მოზარდობის ხანა, რადგანაც დომინანტური მშობლები შვილების ახლადშემქნილ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას აღიქვამენ, როგორც საფრთხეს საკუთარი ძალაუფლებისათვის (Galvin & Brommel, 1982). ოჯახი ბავშვისთვის წარმოადგენს ძალაუფლების საწყის ბაზას, რომელშიც იგი სწავლობს ფუნქციონირებას და ცხოვრების შემდგომ ეტაპებზე ახდენს იქ გამოყენებული სტრატეგიების გამოყენებას. დომინანტური სტრუქტურის ოჯახში

ბავშვები სწავლობენ სხვადასხვა კომუნიკაციურ სტრატეგიებს, რომელიც ხელს უშლის კონფლიქტის კონსტრუქტულ გადაჭრას. ასეთი სტრატეგიებია: იგნორირება, პირდაპირი უარყოფა, თვით-გახსნით მიღებული ინფორმაციული ძალაუფლება, ნეგატიური კონფლიქტური ქცევები, როგორცაა გადანაცვლება, უარყოფა, გაუცხოება და ა.შ. (სამაგლიშვილი, 2000)

გადაწყვეტილებების მიღება ოჯახში

ოჯახში გადაწყვეტილების მიღების მანერა არის ბავშვის აგრესიულობის განმსაზღვრელი კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც მოიცავს სასიცოცხლო კომუნიკაციურ ჩვევებს და პირდაპირ უკავშირდება ძალაუფლებას. Turner (1970) შეისწავლიდა რა, ოჯახური გადაწყვეტილების მიღების პატერნებს, გამოჰყო გადაწყვეტილების მიღების სამი ტიპი: კონსენსუსი, შეგუება და დე-ფაქტო. არსებობს ვარაუდი, რომ ბავშვობაში პროვინების მიერ მიღებული გამოცდილებები განსაზღვრავს მოზრდილობაში მის მიდგომას გადაწყვეტილების მიღების სტრატეგიებისადმი. Steinmetz - ი (1977) ამტკიცებს, რომ ძალადობა ნასწავლია ოჯახურ გარემოცვაში. მისი აზრით, მეთოდი, რომელსაც მშობლები იყენებენ თავისი პრობლემის გადასაჭრელად, ხშირად გამოიყენება როგორც მშობელი - შვილის, ასევე შვილებს შორის არსებული პრობლემების გადასაჭრელად. ოჯახი - ეს არის ძირითადი წყარო, სადაც ბავშვი გადის პირველად სოციალიზაციას. დასწავლის თეორეტიკოსების აზრით, სწორედ ოჯახის ურთიერთობის მაგალითზე სწავლობს ბავშვი სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ფორმებსა და ქცევებს, რომელიც მას უნარჩუნდება მოზრდილობის ასაკშიც და რომლის გადატანასაც ახდენს მის მიერ ახლად ფორმულირებულ სისტემაში (სამაგლიშვილი, 2000).

III თავი

მეთოდოლოგია, ინსტრუმენტები

3.1. წრიული მოდელი

თითქმის რამდენიმე ათწლეულის წინ განვითარებული ოჯახური სისტემების წრიული მოდელი ამ ტიპის მოდელებში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული და ფართოდ გამოყენებადია. ოჯახთა ფუნქციონირებაზე მარტივი და ჩამოუყალიბებელი შეხედულებებიდან, წრიული მოდელი დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის მნიშვნელოვნად სასარგებლო მოდელად განვითარდა, რომელიც ოჯახების ჩათვლით, სისტემათა მრავალგვარობას ხნის და ფოკუსირებას ცოლ-ქმრული და ოჯახური სისტემების სამ მთავარ განზომილებაზე ახდენს, ესენია: შეჭიდულობა, ადაპტაციურობა და კომუნიკაცია (Olson, Russell & Sprenkle, 1979,1980). წრიული მოდელის მთავარი ჰიპოთეზის თანახმად, ჰარმონიული წყვილებისა და ოჯახების სისტემებს აქვთ ტენდენცია იყვნენ მეტად ფუნქციური გაუწონასწორებელ წყვილთა და ოჯახურ სისტემებთან შედარებით. როგორც “შედარებითი დიაგნოზი” – წრიული მოდელი განსაკუთრებით შემუშავებულია კლინიკური შეფასებების, ქცევის დაგეგმვისა და ცოლ-ქმრულ და ოჯახურ თერაპიებში ეფექტური შედეგის მისაღებად. (Olson, 1993 & 1996).

3.2 ცოლ-ქმრული და ოჯახური შეჭიდულობა (კოჰეზიურობა)

შეჭიდულობა განისაზღვრება როგორც ემოციური კავშირი, რომელიც ოჯახის წევრებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ. წრიული მოდელის ფარგლებში, ოჯახური შეჭიდულობის განზომილებების დიაგნოზირებისა და შეფასებებისათვის გამოიყენება განსაკუთრებული ცნებები და ცვლადები. ესენია: ემოციონალური კავშირები, საზღვრები, კოალიციები, დრო, სივრცე, მეგობრები, გადაწყვეტილების მიმღებლობა, ინტერესები და დასვენება. შეჭიდულობის მთავარ პრინციპს

წარმოადგენს, თუ როგორ ახდენენ სისტემები მათი განცალკევებულობის ბალანსირებას ერთიანობით. (Olson, Russel, & Sprenkle 1979)

შეჭიდულობის ოთხ საფეხურს გამოყოფენ, რომელიც შემდეგნაირად კლასიფიცირდება: (Olson, 1987).


1. **გათიშულობა ოჯახში** – (ძალიან დაბალი შეჭიდულობა). მთავარ პრინციპს წარმოადგენს “მე” ნაცვლად “ჩვენისა”. ეს საფეხური გამოირჩევა დაბალი კავშირებით და მაღალი დამოუკიდებლობით. ოჯახში მსგავსი ტიპის ურთიერთობისათვის დამახასიათებელია უკიდურესი ემოციური დაშორება. ოჯახის წევრები უმნიშვნელოდ მცირე ხარისხით არიან ჩართულნი ერთმანეთის ცხოვრებაში და უფრო მეტად, დამოუკიდებელი, პირადი ცხოვრებით არიან დაკავებულნი.
2. **განცალკევებულობა ოჯახში** – (დაბალი შეჭიდულობა). აქაც მთავარ პრინციპს წარმოადგენს “მე” ნაცვლად “ჩვენისა”, თუმცა წინა საფეხურისგან განსხვავებით, ამ სისტემისთვის დამახასიათებელია უფრო ნაკლები ემოციური განცალკევებულობა და დაშორება. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდებისთვის დროის ცალკე გატარებაა უფრო მნიშვნელოვანი, გარკვეული დოზით მაინც აქვს ადგილი ერთად ყოფნასა და გადაწყვეტილებების მიღებაში თანამონაწილეობას. ასევე, მიუხედავად განსხვავებული აქტივობებისა და ინტერესებისა, ოჯახის წევრებს შორის, მაინც ხდება მათი მცირე ნაწილის გაზიარება.
3. **დაკავშირებულობა ოჯახში** – (მაღალი შეჭიდულობა). აქ მთავარ პრინციპს წარმოადგენს “ჩვენ” და არა “მე”. ეს საფეხური გულისხმობს შედარებით მაღალ ლოიალურ დამოკიდებულებას ურთიერთობაში, მეტ სიახლოვესა და ერთიანობას. ოჯახის წევრები ხშირად უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ ინტერესებს, ჰყავთ როგორც ცალ-ცალკე, ასევე საერთო მეგობრები, და მარტო ყოფნაზე მეტად, ხაზგასმულია ოჯახის წევრებთან ერთად დროის გატარების მნიშვნელოვნელობა.

4. **ჩართულობა ოჯახში** - (ძალიან მაღალი შეჭიდულობა). მთავარ პრინციპს აქაც წარმოადგენს “ჩვენ”. ამ ტიპის ურთიერთობა გულისხმობს ძალიან მაღალ ემოციურ სიახლოვეს და ლოიალურობის აუცილებლობას. ოჯახის წევრები ერთმანეთზე ძალიან დამოკიდებული და ერთმანეთის მიმართ ძალიან რეაქტიულები არიან. ინდივიდის მთელი ენერჯია ფოკუსირებულია ქორწინებასა და ოჯახზე და მინიმალურია კერძო ინტერესები და მეგობრები. ეს ურთიერთობა მოიცავს ძალიან მცირე პირად სივრცეს და პერსონალურ განცალკევებას.

მიუთითებენ, რომ შეჭიდულობის ცენტრალური საფეხურები (განცალკევებული და დაკავშირებული) ოჯახის ოპტიმალური ფუნქციონირების მაჩვენებელია, ხოლო უკიდურესობისაკენ მიდრეკილი საფეხურები (გათიშული და ჩართული) ზოგადად პრობლემატურად მიიჩნევა (Olson, 1988).

Olson -ის თანახმად, ხშირად წყვილებისა და ოჯახების დიდი ნაწილი, ამ უკიდურესი საფეხურებიდან ერთ-ერთში ხვდებიან. როდესაც შეჭიდულობის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება (ჩართული სისტემა), ეს გულისხმობს, რომ ოჯახის წევრებს შორის ადგილი აქვს ურთიერთ შეთანხმებებს და ძალიან მცირე დოზით დამოუკიდებლობას. ხოლო უკიდურესობისკენ მიდრეკილ საფეხურებზე (გათიშული სისტემები) მაღალი მაჩვენებელი გულისხმობს, რომ ოჯახის წევრები დაკავებული არიან პირადი საქმეების კეთებით პირადი ინტერესების შესაბამისად, შეზღუდული ჩართულობითა და შეთანხმებულობით ოჯახის წევრებთან. მოდელის ცენტრალურ ნაწილში (განცალკევებული, დაკავშირებული) მოხვედრა ნიშნავს, რომ ინდივიდებს აქვთ უნარი შეძლონ პოზიტიურად გადალახონ და მოახდინონ ბალანსირება ამ ორი უკიდურესობებისათვის დამახასიათებელი სირთულეების და ასევე, შეძლონ იყვნენ დამოუკიდებლები და ამავე დროს, დაკავშირებულები ოჯახთან. წრიული მოდელის თანახმად, ურთიერთობაში შეჭიდულობის ძალიან მაღალი (ჩართული) და ძალიან დაბალი (გათიშული) მაჩვენებელი, პრობლემების შემცველად მიიჩნევა. ხოლო შუალედური (განცალკევებული, დაკავშირებული) დამბალანსებლის ფუნქციით განსხვავდება, თუმცა, ამავე დროს უნდა აღინიშნოს,

რომ არცერთი ურთიერთობისთვის არ არსებობს აბსოლუტურად საუკეთესო დონე (საფეხური).



სურათი №1: წრიული მოდელი: ცოლ-ქმრული და ოჯახური სქემა

3.3. ცოლ-ქმრული და ოჯახური ადაპტაციურობა

ცოლ-ქმრული და ოჯახური ადაპტაციურობა - მიმართულია ოჯახური სისტემების უნარზე შეცვალონ მისი ძალაუფლების სტრუქტურა, როლური ურთიერთობები და წესები სიტუაციური და განვითარებადი სტრესის მიხედვით. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცნებებს შეადგენს: ლიდერობა (კონტროლი, დისციპლინა), მოლაპარაკების სტილი, როლური ურთიერთობები და ურთიერთობის წესები. ადაპტაციურობა ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ

ახდენენ სისტემები სტაბილურობის ბალანსირებას ცვლილებების მიუხედავად. (Olson, 1989).

ადაპტაციურობის ოთხ დონეს გამოყოფენ, რომელიც ვარირებს - რიგიდულიდან (ძალიან დაბალი), სტრუქტურული (დაბალიდან საშუალომდე), ფლექსიური (საშუალოდან მაღალ საფეხურამდე), ქაოტურამდე (ძალიან მაღალი). ისევე, როგორც შეჭიდულობის შემთხვევაშია, ადაპტაციურობის ცენტრალურ ან ბალანსირებულ დონეებს კარგი ცოლ-ქმრული და ოჯახური ფუნქციონირებისათვის ხელის შემწყობ ფაქტორად მიიჩნევენ.

წყვილები და ოჯახები შეიძლება დაყოფილი იქნას, როგორც რიგიდული და ავტორიტარული ლიდერობის მქონე, ასევე ქაოტური, მერყევი ან შეზღუდული ლიდერობის სტილით. რიგიდული ურთიერთობა გულისხმობს, ერთი ინდივიდის მიერ უფრო მეტ კონტროლს, წესები მკაცრად არის განსაზღვრული, როლები არ იცვლება. სტრუქტურირებული ურთიერთობა მთლიანობაში ნაკლებად რიგიდულია. ლიდერობა შედარებით ნაკლებად ავტორიტარული და განაწილებულია. როლები ურყევია, მაგრამ გარკვეულწილად ხდება მისი განაწილებაც. წესები მცირედად, მაგრამ მაინც იცვლება. ფლექსიური ურთიერთობა უფრო ნაკლებად რიგიდულია. ლიდერობა შედარებით თანაბრად არის განაწილებული. როლები ხანდახან არის განაწილებული, წესების შეცვლა შესაძლებელია. ქაოტური ურთიერთობა გულისხმობს მერყევ, ან შეზღუდულ ლიდერობას. გადაწყვეტილებები მიიღება იმპულსურად, დაფიქრებისა და მსჯელობების გარეშე. როლები ბუნდოვანია და ხშირად პიროვნებიდან პიროვნებაზე გადადის. (Olson, 1988).

წრიულ მოდელზე დაყრდნობით შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ცვლილებების ძალიან მაღალი (ქაოტური) და ძალიან დაბალი საფეხური (რიგიდული) წარმოადგენს პრობლემას როგორც წყვილების, ასევე ოჯახებისათვის. საშუალო მაჩვენებლები (სტრუქტურული და ფლექსიური) მიაწინებებს, რომ შესაძლებელია ცვლილებებისა და სტაბილურობის ბალანსირება, თუმცა, როგორც შეჭიდულობის ასევე ადაპტაციურობის შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ არცერთი ურთიერთობისთვის არ არსებობს იდეალური, საუკეთესო საფეხური, რადგანაც ბევრ ურთიერთობაში ჩნდება პრობლემები ხანგძრლივი დროით

ნებისმიერ უკიდურესობებისკენ მიდრეკილ საფეხურზე ყოფნის შემთხვევაში.(Olson, 1988).

- 1) **ქოტური** - გულისხმობს ლიდერობის არ არსებობას, როლების ცვლას, დაბალ დისციპლინას, მეტისმეტ ცვლილებებს.
- 2) **ფლექსიური** - გულისხმობს განაწილებულ ლიდერობას, დემოკრატიულ დისციპლინას, ცვლილებებს როლების განაწილებაში და ცვლილებებს აუცილებლობისამებრ.
- 3) **სტრუქტურული** - გულისხმობს, რომ ლიდერობა იშვიათად არის განაწილებული, ნაწილობრივ დემოკრატიულია დისციპლინა, როლები უცვლელია და ცვლილებები ხდება საჭიროებისამებრ.
- 4) **რიგიდული** - გულისხმობს ავტორიტარულ ლიდერობას, მაღალ დისციპლინას, როლების იშვიათ ცვლას და მცირე ცვლილებებს.

Olson, Russell and Sprenkle - მა ეს განზომილებები წრიულ მოდელში გააერთიანეს, $sadac \times RerZze$ წარმოდგენილია შეჭიდულობაა, ხოლო Y ღერძზე ადაპტაციურობა, რომელთაგანაც 16 ოჯახის ტიპი გამოიყოფა. ეს 16 ტიპი დაჯგუფებულია სამ ძირითად კატეგორიაში შემდგენაირად: (Olson, Russel,& Sprenkle, 1980).

- 4 დაბალანსებული - იგულისხმება, როცა როგორც შეჭიდულობის, ასევე, ადაპტაციურობის საფეხურებზე აღინიშნება ბალანსირებულობა;
- 4 უკიდურესობების გამომხატველი - როცა ორივე, როგორც ადაპტაციურობის ასევე, შეჭიდულობის საფეხურებზე აღინიშნება უკიდურესად მაღალი მაჩვენებლები;
- 8 შუალედური - როდესაც ერთ განზომილებაზე უკიდურესად მაღალი ან დაბალი, ხოლო მეორეზე ბალანსირებული მაჩვენებელი აღინიშნება.

16 ტიპიდან თითოეული საფეხური მოიცავს 4 სახეს.

- ქაოტურად გათიშული; ქაოტურად განცალკევებული; ქაოტურად დაკავშირებული; ქაოტურად ჩართული;
- ფლექსიურად გათიშული; ფლექსიურად განცალკევებული; ფლექსიურად დაკავშირებული; ფლექსიურად ჩართული;
- სტრუქტურულად გათიშული; სტრუქტურულად განცალკევებული; სტრუქტურულად დაკავშირებული; სტრუქტურულად ჩართული;
- რიგიდულად გათიშული; რიგიდულად განცალკევებული; რიგიდულად დაკავშირებული; რიგიდულად ჩართული;

ჩამოთვლილ ტიპებს შორის შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაჩვენებლების მიხედვით სამი ქვეჯგუფი გამოიყოფა:

- 1) **ბალანსირებული სისტემები** - მოიცავენ ოჯახებს, რომლებიც როგორც ზომიერად შეჭიდული, ასევე ზომიერად ადაპტაციურები არიან. როგორც აღნიშნავენ, ასეთი ოჯახური გარემო ხელს უწყობს კარგ ფსიქო-სოციალურ ფუნქციონირებას, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში.
- 2) **შუალედური სისტემები** - მოიცავენ ოჯახებს, რომელთა მაჩვენებლები ამ განზომილებებიდან ერთ-ერთში შეიძლება იყოს ზომიერი, მაგრამ სხვა განზომილებებში კი უკიდურესად მაღალი ან დაბალი (უმალლესი – უმდაბლესი).
- 3) **უკიდურესობების გამომხატველი** - შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც უკიდურესობებისკენ მიდრეკილნი, რამდენადაც მათში შეჭიდულობა და ადაპტაციურობა არის უკიდურესად მაღალი, ან დაბალი, ან მთლიანობაში მაღალი ან დაბალი.

მოდელი განსაკუთრებით სასარგებლოა დისფუნქციური და შერეული პრობლემების მქონე ოჯახების კვლევისა და მკურნალობისათვის, რომლებიც ურთიერთობაში განსხვავებულ სირთულეებს უჩივიან.

წრიული მოდელის ძლიერ მხარედ მიიჩნევა მისი მოქნილობა, გამოყენებულ იქნას კლინიკებში, როგორც ოჯახებთან ასევე წყვილებთან, ხოლო მოდელის სუსტ მხარედ კი ითვლება ის, რომ ორი ადამიანი ან ოჯახი შესაძლოა ემოციურად ძალიან

იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ გამომდინარე ცუდი ცხოვრების სტილიდან, დაიკარგოს კომუნიკაცია.

3.4. ცოლ-ქმრული და ოჯახური კომუნიკაცია

კომუნიკაცია წრიული მოდელის მესამე განზომილებაა და მიიჩნევა როგორც ფასილიტაციური განზომილება. გამომდინარე იქიდან, რომ კომუნიკაცია ფასილიტაციური განზომილებაა, ის შეჭიდულობასა და ადაპტაციურობასთან ერთად არ არის წრიულ მოდელზე გრაფიკულად მოცემული.

²⁷ცოლ-ქმრული და ოჯახური კომუნიკაცია განისაზღვრება ოჯახზე ფოკუსირებით, როგორც ჯგუფზე - მოსმენისა და ლაპარაკის უნარების, მკაფიოობის, პატივისცემისა და მზრუნველობის გათვალისწინებით.

მოსმენის უნარების განსაზღვრაში მნიშვნელობა ენიჭება დაკვირვებულ და ყურადღებიან მოსმენას.

ლაპარაკის უნარებში იგულისხმება საუბარი საკუთარი თავისთვის და არა სხვებისთვის.

პატივისცემისა და მზრუნველობის უნარები დაკავშირებულია კომუნიკაციის ეფექტურ ასპექტებთან და პრობლემის გადაჭრის უნართან. მიიჩნევენ, რომ ბალანსირებულ ცოლ-ქმრულ და ოჯახურ სისტემებს აქვთ ძალიან კარგი კომუნიკაცია, მაშინ როცა არაბალანსირებულ სისტემებში კომუნიკაცია მნიშვნელოვნად დაბალია.

კვლევების დიდ ნაწილში, კომუნიკაციასა და ცოლ-ქმრულ კმაყოფილებას შორის პოზიტიური კავშირის არსებობაზე მიუთითებენ და კარგ კომუნიკაციას აუცილებელ პირობად მიიჩნევენ. ცოლ-ქმრული კომუნიკაცია არის პროცესი, რომელიც სამ ელემენტს მოიცავს, ესენია: ინდივიდები, ურთიერთობები და გარემო (როგორც შიდა, ასევე გარე). ადამიანები, სივრცე და ყოველივე, რაც ქმნიან გარე გარემოს, ახდენენ გავლენას შიდა გარემოს ღირებულებებზე, მიზნებსა და ადამიანის

²⁷ Bell, R. A., Daly, J. A., & Gonzalez, C. (1987). - Affinity-maintenance in marriage and its relationship to women's marital satisfaction. *Journal of Marriage and the Family*, 49, 445-454.

ფიქრებსა და გრძნობებზე. ეფექტური კომუნიკაცია მეუღლეებს შორის პრობლემებისა და მათ შორის რთული კონფლიქტების გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვნად ძლიერ იარაღს წარმოადგენს. ცოლები, რომლებიც ქორწინებისგან გამოწვეულ გულისტიკვილსა და პრობლემებზე საუბრობენ, უფრო ხშირად, ვიდრე ქმრები, უკეთესი კომუნიკაციისა და ურთიერთ გაგების მეტ სურვილს გამოხატავენ. (Voydanoff, 1985). წყვილებს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება მოიცავს სიღრმისეულ ურთიერთგაგებასა და ემოციებისა და საჭიროებების გათვალისწინებას. როდესაც ორივე მხარის მიერ თვით-შეფასება აღქმულია კონსტრუქციული გზით ურთიერთ თანხმობის მისაღწევად, ურთიერთობის სტაბილურობა და ვალდებულებები განსაზღვრულია. კომუნიკაცია, როგორც პროცესი, რომლის სწავლაც შესაძლებელია, ფასეულია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სურთ შეცვალონ კომუნიკაციის თავიანთი უნარები (Satir, 1972).

ქორწინებაში ყოველდღიური კომუნიკაცია შესაძლოა გამოხატული იქნას (Renshaw, 1983):

- **სიტყვებით** - ვერბალური ან წერილობითი ფორმით;
- **სიტყვების გარეშე** - სიმბოლოებით, ხმით ან სიჩუმით;
- **სახის გამომეტყველებით** - დაცინვით, ღიმილით.
- **შეხებით** - დამყარებული სწავლებასა და გართობა- თამაშზე, ასევე არ შეხებით, ან იძულებითი შეხებით.
- **ქცევით.**

ცოლ-ქმრული კმაყოფილების მაღალ მაჩვენებელთან ასოცირდება როგორც თვით გამომჟღავნება, ასევე მეუღლის გრძნობებისადმი სენსიტიური დამოკიდებულება. (Noller, 1984). ადამიანები, რომლებიც ცოლ-ქმრული შეთანხმებულობის მაღალ დონეს აჩვენებენ, მიიჩნევა, რომ უფრო მეტად არიან გახსნილები, რათა ურთიერთობაში შეამცირონ დისტრესი. (Davidson, Balswick, & Halverson, 1983). ბოლო წლების კვლევებში გამოიკვეთა, რომ ცოლთა კმაყოფილება ქორწინებისადმი დაკავშირებულია მეუღლეთა თვით გახსნილობის ისეთ უნარებთან, როგორიც არის სენსიტიურობა, ფიზიკური მიჯაჭვულობა, თვით-ჩართულობა და გულწრფელობა. (Bell, Daly, & Gonzalez, 1987).

თვით გამომჟღავნების უნარები, რომლებიც ჩამოყალიბდა ქცევითი სტრატეგიების ტიპოლოგიის სახით, განვითარდა იმ ქცევების აღსაწერად, რომლებიც ასოცირდება ქორწინებაში ცოლ-ქმრული ურთიერთობების განმტკიცებასთან Bell, Daly, & Gonzalez, 1987).

- კონტროლზე ნებართვის დაშვება;
- საუბარში წესების დაცვა;
- თანასწორობა;
- ერთგულება;
- გულწრფელობა (პატიოსნება);
- სხვების ჩართულობა;
- მოსმენა;
- გახსნილობა;
- ფიზიკური მიჯაჭვულობა (სიყვარული);
- საიმედოობა, (სანდოობა);
- თვითგაგების განმტკიცება;
- სენსიტიურობა;
- სულიერება (საერთო);
- ვერბალური სიყვარული.

კარგი ცოლ-ქმრული კომუნიკაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პიროვნულ მახასიათებლებში გამოყოფენ: გახსნილობას, შემამსუბუქებლობას, გამომხატველობას, მეგობრულობასა და ყურადღებიანობას (Honeycutt et al., 1982). კომპეტენტურობის განცდა წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლადს და ეფექტური კომუნიკაცია შესაძლოა განმტკიცდეს ურთიერთობაში იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდს ექნება რწმენა იმისა, რომ პარტნიორს წარმატებით შეუძლია საჭირო ან უპირატესი ვალდებულების შესრულება. (Witkin, Edleson, Rose, & Hall, 1983).

ინდივიდის ემოციური მდგომარეობა გავლენას ახდენს მისი კომუნიკაციის უნარზე და როგორც აღნიშნავენ, დისტერის მქონე წყვილები საუბარს აღიქვამენ უფრო აგრესიული შინაარსის შეტყობინებად, კრიტიკულად და არასასიამოვნოდ, ვიდრე არა დისტრესული მეუღლეები. თუმცა, ორივე ჯგუფის წყვილები, როგორც

დისტრესული, ასევე არადისტრესული, ფიქრობენ, რომ მათ მიერ გაგზავნილი შეტყობინებები ყოველთვის იყო უფრო პოზიტიური, ვიდრე ეს იქნა აღქმული მეორე მხარის მიერ (Schachter & O'leary, 1985).

კომუნიკაციის მახასიათებელი ქორწინებაში არის ინტერპერსონალური პროცესი, როცა წყვილები სწავლობენ, თუ როგორ მიაღწიონ და გააუმჯობესონ ურთიერთგაგების ხარისხი. როგორც ცოლ-ქმრულ, ასევე სასიყვარულო ურთიერთობებში კარგი კომუნიკაციის საჭიროების ხაზგასმასთან ერთად, უპრიანია აღნიშნულ იქნას ის ძირითადი უნარები, რომელიც ლიტერატურაში განხილულია ეფექტური კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვან კომპონენტებად:

1. **უსაფრთხო გარემოს მხარდაჭერა (შენარჩუნება)** - პარტნიორები თავს უნდა გრძობდნენ დაცულად, არ განიცდიდნენ სიტყვიერ მუქარას და არ უნდა ჰქონდეთ შიში იმისა, თუ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული.
2. **კარგი მოსმენის უნარი** - მხარეები ერთმანეთს არ უნდა აწყვეტინებდნენ საუბარს და ემოციები/მნიშვნელობები დაკავშირებული როგორც გამოთქმულ, ისე გამოუთქმელ სიტყვებთან, აუცილებლად უნდა იქნას განსაზღვრული.
3. **თვით- გახსნა** - განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, პარტნიორს უნდა ჰქონდეს სურვილი რეალური ემოციებისა და ფიქრების გაზიარების.
4. **არ დათანხმება, კამათი, დაპირისპირება** - შეთანხმებული აღიარება ნაკლის, თუ ეს კონსტრუქციულად იქნა განხილული, ხელს შეუწყობს პრობლემის გადაწყვეტას.
5. **შექება და აღიარება** - ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება, ქება და აღიარება გამოხატული იქნას მეორე მხარის მიმართ, რათა პარტნიორმა თავი იგრძნოს ღირსეულად და უთანხმოებისგან გამოწვეულ ნებისმიერ სტრესს უფრო კარგად გაუმკლავდეს.
6. **წყენასთან დაკავშირებული განხილვები** - სანამ ზოგიერთი თემა განაპირობებს შიშისა და მღელვარების გამოწვევას სასიყვარულო ურთიერთობებში, არცერთი საკითხი არ უნდა დარჩეს განხილვის მიღმა. (Bienvenu, 1986, pp. 8-10).

3.5. მეთოდის აღწერა

წრიულ მოდელზე ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები

²⁸ ოლსენი წრიულ მოდელზე დაყრდნობით შემდეგ ჰიპოთეზებს გამოყოფს:

- ოჯახები და წყვილები, რომლებიც შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მიხედვით ბალანსირებული არიან, უფრო ადეკვატურად იფუნქციონირებენ ცხოვრებისეული ციკლის განმავლობაში, ვიდრე ის ოჯახები და წყვილები, რომლებიც ამ განზომილებებში უკიდურესობებისაკენ მიდრეკილი მაჩვენებლებით გამოირჩევიან.

წრიულ მოდელში მნიშვნელოვანი საკითხი ბალანსირების გაგებას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ბალანსირებული ტიპის ოჯახური სისტემები წრიული მოდელის ორ ცენტრალურ საფეხურზეა მოთავსებული, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი ტიპის ოჯახები ყოველთვის “შუალედურად” მოქმედებენ. ბალანსირებული გულისხმობს ისეთი ტიპის ოჯახურ სისტემებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უკიდურეს განზომილებებშიც იფუნქციონირებენ, მაგრამ ამ განზომილებებში მათთვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფუნქციონირება დამახასიათებელი არ არის. შეჭიდულობის მხრივ, ბალანსირებულ ოჯახებში წევრები ერთმანეთისგან დამოუკიდებლები, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთთან დაკავშირებულნიც არიან.

- ბალანსირებული ტიპის ოჯახებს აქვთ უფრო ვრცელი ქცევითი მახასიათებლები და უნარი ცვლილებებისა, ვიდრე უკიდურესობებისაკენ მიდრეკილ ოჯახის ტიპებს.
- უკიდურესობებისაკენ მიდრეკილ განზომილებებში, ოჯახის წევრებს აქვთ ტენდენცია იფუნქციონირონ მხოლოდ უკიდურეს განზომილებებში და როგორც ოჯახს, არ შესწევთ უნარი შეცვალონ მათი ფუნქციონირების ფორმა.
- თუ წყვილებისა და ოჯახების ნორმატიული მოლოდინები ხელს შეუწყობს მათ ქცევებს წრიული მოდელის ერთი ან ორივე განზომილების უკიდურეს

²⁸ Olson, D. H. (1989). Circumplex model of family systems: VIII. Family assessment and intervention. *Journal of Psychotherapy and the Family*, 4, 20-49.

საფეხურზე, ისინი კარგად იფუნქციონირებენ მანამ, სანამ ოჯახის წევრები ამ მოლოდინებით იქნებიან კმაყოფილნი (Olson, 1988).

ნორმატიული მოლოდინები კულტურაში განსაზღვრავს ორ კონფლიქტურ საკითხს, რომელიც ოჯახებსა და წყვილებში პრობლემებს ქმნიან. ერთ-ერთი მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახის წევრებს აქვთ მოლოდინი ყველაფერი გააკეთონ ერთად როგორც ოჯახმა, ხოლო მეორე საკითხი ეხება ინდივიდუალიზმს, ავტონომიის განვითარებას – გააკეთონ საკუთარი საქმეები დამოუკიდებლად.

- ბალანსირებული ოჯახები და წყვილები უფრო მეტად იქნებიან მიმართული პოზიტიური კომინკაციური უნარებისაკენ, ვიდრე უკიდურესობებისაკენ მიდრეკილი ოჯახები (Olson, 1988).

კომუნიკაცია წრიული მოდელის უმნიშვნელოვანეს განზომილებას წარმოადგენს, რამდენადაც იგი დანარჩენ ორ განზომილებაში გადასვლის განმსაზღვრელია. ეს კი განაპირობებს ორი მნიშვნელოვანი ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას – კომუნიკაციის ბალანსირებულ ტიპებთან და შეჭიდულობა ადაპტაციურობის ცვლილებებთან დაკავშირებით.

- დადებითი კომუნიკაციური უნარები ბალანსირებულ წყვილებსა და ოჯახებს შესაძლებლობას მისცემს უფრო ადვილად შეცვალონ მათი შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაჩვენებლები, ვიდრე ეს შესაძლებელია უკიდურესობებისაკენ მიმართულ საფეხურებზე. (Olson, 1988).

ზოგადად, პოზიტიური კომუნიკაციური უნარები ცოლ-ქმრული და ოჯახური სისტემების მხარდამჭერად და ორ განზომილებაში ბალანსირების ხელისშემწყობ ფაქტორად მიიჩნევა. ამის საპირისპიროდ კი, ნეგატიური კომუნიკაციური უნარები აფერხებენ ცენტრალურ განზომილებებში ფუნქციონირებას და ამასთანავე ზრდიან უკიდურესობებისაკენ მიდრეკილი სისტემების ამავე ფორმით დარჩენის ალბათობას.

პოზიტიური კომუნიკაციური უნარები გულისხმობს შემდეგს: ემპათიურობა, მხარდამჭერი განცხადებები, ღია, შესაფერისი გზავნილები და პრობლემის ეფექტურად გადაჭრის უნარები. **ნეგატიური კომუნიკაციური უნარები** კი გულისხმობს შემდეგს: ემპათიის ნაკლებობა, არა მხარდამჭერი (ნეგატიური)

განცხადებები, შეუფერებელი, პარადოქსული, არაზუსტი შეტყობინებები და პრობლემის ეფექტურად გადაჭრის უუნარობა.

- ოჯახური ცხოვრების განმავლობაში, სიტუაციური სტრესისა და განვითარებადი ცვლილებების გადასაწყვეტად ოჯახები შეცვლიან მათ ადაპტაციურობასა და შეჭიდულობას სტერსთან გასამკლავებლად. (Olson,1988).

ეს ჰიპოთეზები განსაზღვრავენ ცვლილებებს ოჯახურ სისტემებში სტერსთან გასამკლავებლად, ან ცვლილებებთან შესაგუებლად, განსაკუთრებით, თუ ოჯახის წევრებს მოლოდინები ეცვლებათ. წრიული მოდელი არის ფუნქციური შეცვალის ოჯახებისა და წყვილების ტიპები და დამტკიცოს ჰიპოთეზა, რომ ცვლილებები იქნება სასარგებლო ოჯახის ფუნქციონირების განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

3.6. ცოლ-ქმრული და ოჯახური ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის შეფასების სკალები (FACES) I, II, III, IV

ოჯახური ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის შეფასების პირველი სკალა FACES 1978 წელს David Olson – მა, Richard Bell – მა და Joyce Portner – მა შექმნეს. ინსტრუმენტი შექმნიდან დღემდე რამდენჯერმე შეიცვალა და დღეს ის ერთ - ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი მოდელია. ეს სკალა საშუალებას იძლევა ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის მიხედვით მოხდეს ოჯახების კლასიფიკაცია: დაბალანსებული (მაღალი), შუალედური ან უკიდურესობებისაკენ მიდრეკილი (დაბალი). მეცნიერების მხრიდან ამ ინსტრუმენტის გამოყენება განსხვავებული მიზნებისთვის არის რეკომენდებული და ის როგორც კლინიკური, ასევე არა კლინიკური კვლევების დროს გამოიყენება. ოჯახის ადაპტაციურობისა და კოჰეზიურობის შეფასების სკალა გამოიყენება ოჯახის ფუნქციონირების შესასწავლად მაგრამ არა მხოლოდ კვლევითი და კლინიკური პრაქტიკის შემთხვევაში, არამედ ასევე ქორწინებამდელი და ცოლ – ქმრული

შეფასებებისათვის. ოჯახის ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის შეფასების სკალა N 3 – ის ორი შეცვლილი ვერსია (Olson, 1998) გაერთიანებულია იმ სკალების რიცხვში, რომელთა მეშვეობითაც სხვა მრავალ სფეროებში ურთიერთობთა ფუნქციონირების შეფასება შესაძლებელია.

წრიული მოდელი და ოჯახური ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის შეფასების სკალა სხვადასხვა სფეროში ოჯახის ფუნქციონირების კვლევისათვის ყველაზე მართებულ მეთოდად მიიჩნევა. ნაშრომები და სტატიები დაახლოებით ორას ჟურნალში გამოქვეყნდა, სადაც საკვლევი საკითხები ძირითადად დაკავშირებული იყო ფსიქოლოგიასთან, ოჯახის სოციალურ მეცნიერებებთან, მედიცინასთან, ქორწინებისა და ოჯახის თერაპიასთან, ფსიქიატრიასა და განათლებასთან. ათასამდე ემპირიული კვლევა სწორედ FACES - ის გამოყენებით ჩატარდა და აქედან 450 ნაშრომზე მეტი გამოქვეყნდა (გარდა დისერტაციებისა და იმ ნაშრომებისა, რომლებიც უცხო ენებზეა გამოქვეყნებული). კვლევებით მიღებულმა შედეგებმა არაერთხელ აჩვენა, რომ ერთი ან ორივე განზომილება, შეჭიდულობა და ადაპტაციურობა - ოჯახში ჯანმრთელობასა და განვითარების შედეგებთან არის დაკავშირებული.

ოჯახური ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის შეფასების სკალა მსოფლიოში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ინსტრუმენტია და მას ყველაზე ინტენსიურად ამერიკის შეერთებულ შტატებში იყენებენ. მოდელი უკვე ითარგმნა მრავალ ენაზე და მათ შორისაა თარგმანები: შვედურ (Engstroem, 1991; Rastam & Gillberg, 1991), ნორვეგიულ (Dundas, 1994), იაპონურ (Kurokawa, 1990), ჩინურ (Phillips, West, Shen, & Zheng, 1998), პოლონურ (Porzak, 1993; Radochonski, 1992), გერმანულ (Kirchler, 1988;

1989), იტალიურ (Scabini & Galimberti, 1995), ესპანურ (Dandes, 1986) და ებრაულ (Ben- David, 1995; Teichman & Basha, 1996) – ენებზე.

ცხრილი N1. ემპირიულ კვლევებში გამოყენებული ინსტრუმენტები

ინსტრუმენტები	ჩატარებული კვლევების რაოდენობა
ოჯახური ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის შეფასების სკალა (FACES III)	237
ოჯახური ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის შეფასების სკალა (FACES II)	145
ოჯახური ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის შეფასების სკალა (ორიგინალური ვერსია)	30
კლინიკური შეფასებების სკალა	18
მშობლებისა და მოზარდების კომუნიკაცია	44
ოჯახური კმაყოფილება	34
ოჯახური სიმტკიცე	18

**არ არის მოცემული ასობით უცხო ენაზე დაბეჭდილი დისერტაციები და დასრულებული კვლევები, რომლებიც მსხვილ ჟურნალებში ვერ მოხვდა. /Kouneski/*

ემპირიული კვლევების შედეგად, შეფასებინათ წრიული მოდელის წრფივი ჰიპოთეზები რომელიც FACES- ის შეფასების ინსტრუმენტით იზომება, მეცნიერებმა ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთშეუსაბამო შედეგები ჩამოაყალიბეს. სწორედ ამ კუთხით ოთხი მნიშვნელოვანი მიდგომა გახდა ცნობილი (Green, Harris, Forte, & Robinson, 1991).

- კვლევები, რომელშიც მოდელი მხარდაჭერილია - (Games, 1989; Clarke, 1984; Gabarino, Sebes, & Schellenbach, 1984; Olson & Killorin, 1984,1985; Pink & Wampler, 1985; Roderick, Henggeler, & Hanson, 1985; Russell, 1979).
- ჯანსაღ ოჯახურ ფუნქციონირებასა და ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის მაჩვენებლებს შორის არ გამოიკვეთა კავშირი. (Green, Kolevzon, & Vosler, 1985; Walker McLaughlin, & Green, 1988);
- მიუთითებენ, რომ არსებობს სწორხაზოვანი ვიდრე წრფივი კავშირი ადაპტაციურობასა /ან შეჭიდულობას და ჯანსაღ ოჯახურ ფუნქციონირებას შორის. (Anderson & Gavazzi, 1990; Beavers, Hampson, & Hulgus, 1985; Dickerson & Coyne, 1987; Fischer et al., 1992; Green, Harris, Forte, & Robinson, 1991; Green,

Kolevzon, & Vosler, 1985; Mathis & Tanner, 1991; Miller, Bishop, Epstein, & Keitner, 1985; Perosa & Perosa, 1988; Pratt & Hansen, 1987; Walker, McLaughlin, & Greene, 1988);

- შეჭიდულობის განზომილების საშუალებით, განსხვავებით ადაპტაციურობისაგან, შესაძლებელია კლინიკურ და არაკლინიკურს შორის განსხვავების გაკეთება. (Beavers et al, 1986; Green, 1989; Kang, Kleinman, Todd, Kemp, & Lipton, 1991).

FACES II da FACES III - ორივე სწორხაზოვანი შეფასების საზომს წარმოადგენს. მაღალი მაჩვენებელი ოჯახების ბალანსირებულ, ხოლო დაბალი ქულები უკიდურესობებისაკენ მიდრეკილი ოჯახების ფუნქციონირებაზე მიუთითებს. თითოეულს, როგორც შეჭიდულობას ასევე ადაპტაციურობას ოთხი საფეხური აქვს: დაბალანსებული, ზომიერად დაბალანსებული, შუალედური და დაუბალანსებელი. ეს საფეხურები ოჯახის წევრების მიერ ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის განზომილებებისთვის მიწერილ ქულათა საშუალო მაჩვენებლებით განისაზღვრება.

ცხრილი N2. შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) და ადაპტაციურობის განზომილების საფეხურები და ტიპები (FACES II da FACES III)

ოჯახის ფუნქციონირება			განზომილებები
ტიპი	საფეხური	კოჰეზიურობა	ადაპტაციურობა
ბალანსირებული	ძალიან მაღალი	ძალიან დაკავშირებული	ძალიან ფლექსიური
ზომიერად დაბალანსებული	მაღალი	დაკავშირებული	ფლექსიური
შუალედური	დაბალი	განცალკევებული	სტრუქტურირებული
დაუბალანსებელი	ძალიან დაბალი	გათიშული	რიგიდული

*** Kouneski, E. THE FAMILY CIRCUMPLEX MODEL, FACES II, AND FACES III: OVERVIEW OF RESEARCH AND APPLICATIONS*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეიქმნა ოჯახური ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის შეფასების სკალა N4, რომელიც წარმოადგენს უახლეს ვერსიას ოჯახის სრულყოფილად კვლევისათვის და შემუშავებულია წრიული მოდელის ოჯახური და ცოლ-ქმრული სისტემების ორი მთავარი განზომილების _

შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის შესაფასებლად. არსებული შეფასებების სკალა ოჯახური ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის შეფასების სკალა N1, N2, N3 და კლინიკური შეფასებების სკალებს აერთიანებს. (Olson, 2000, Thomas & Olson, 1993, Thomas & Lewis, 1999). FACES N4 სკალა Dean Gorall –ისა და Judy Tiesel – ის მიერ ჩატარებულ მთავარ კვლევებს ეყრდნობა და იგი შეფასებების სიზუსტისა და ორი განზომილების -შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის გაზომვის სრულყოფისათვის შეიქმნა.

3.7. თვითფლობის სკალა (Self-monitoring Scale)²⁹

თვითფლობის სკალა მარკ სნაიდერმა (Snyder) 1972 წელს შექმნა. სკალა 18 დებულებას მოიცავს, რომლებიც დიქტომიური, „კი-არა“ პასუხების მიხედვით ფასდება. სკალის მაჩვენებლის მიხედვით, ადამიანები ერთმანეთისგან გასხვავდებიან თვითფლობის ხარისხით - იმ ოდენობით, რამდენითაც ისინი ყურადღებას აქცევენ და აკონტროლებენ საკუთარ ექსპრესიულ ქცევას და თვითპრეზენტაციას (Snyder & Gangestad, 1986). მიჩნეულია, რომ მაღალი თვითფლობის მქონე ადამიანები ახდენენ თვითპრეზენტაციის რეგულირებას სასურველი შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით. დაბალი თვითფლობის მქონე პირებს კი არ აქვთ იმის უნარი, ან მოტივაცია, რომ მართონ თვითპრეზენტაცია. შესაბამისად, ისინი ნაკლებ მგრძობიარობას ამჟღავნებენ სიტუაციის მანიშნებლების მიმართ. მათი ექსპრესიული ქცევა არეკლავს მათ შინაგან მდგომარეობას, ატიტუდებს, თვისებებსა და გრძობებს. თვითფლობის მაჩვენებელი მნიშვნელოვანია იმის საწინასწარმეტყველოდ, განსაზღვრავს თუ არა ატიტუდი ქცევას. დაბალი თვითფლობის მქონე პირებთან ქცევის ატიტუდთან შესაბამისობის თეორიული წინასწარმეტყველება მრავალ კვლევაში დადასტურდა (Ajzen, Timko., & White, 1982). დაბალი თვითფლობის ადამიანთა ქცევას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათი ატიტუდი, კავშირი სუსტია მაღალი თვითფლობის მქონე

²⁹ ქვეთავი მთლიანად მომზადებულია შემდეგ წყაროზე დაყრდნობით: სუმბაძე, ნ., ქიტიაშვილი, ა., ფირცხალავა, ე., მაისურაძე, მ. (2012) - თვით აღწერითი საზომები ფსიქოლოგიაში I, თბილისი,

ადამიანთან. თვითფლობა სხვადასხვა ფორმით ახდენს ზეგავლენას ურთიერთობებზე. მაღალი თვითფლობის მქონე ადამიანები მეტ ძალისხმევას ანდომებენ სხვა ადამიანების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას (Fiske & Von Hendy, 1992), უფრო მეტად ცდილობენ საკუთარი ქცევის სიტუაციასთან მორგებას (Taylor, Peplau., & Sears, 1994), დიდ ყურადღებას აქცევენ პარტნიორის გარეგნულ მიმზიდველობას, მაშინ როდესაც დაბალი თვითფლობის მქონე პირები უპირატესობას ანიჭებენ პარტნიორის პიროვნულ თვისებებს (Glick, De Morest., & Hotze, 1998).

3.8. კონტროლის ლოკუსის სკალა (I-E Scale)³⁰

კონტროლის ლოკუსის (ანუ ადგილის) ცნება პირველად ჯულიან როტერის სოციალური დასწავლის თეორიაში გამოჩნდა. როტერის მიხედვით, როტერის ლოკუსი არეკლავს პიროვნული მახასიათებლების და / ან მოქმედებების მოსალოდნელ შედეგებთან კავშირის გენერალიზირებულ მოლოდინს. როტერის მიდგომა ეფუძნება მოლოდინის ღირებულების თეორიას (Expectancy Value Theory), რომლის თანახმადაც, ადამიანის ქცევის რეგულაციაში გადამწყვეტ როლს თამაშობს განმტკიცება, რაც გამოიხატება დასჯასა, ან წახალისებაში. როტერის თეორიის მიხედვით კი განმტკიცება ქცევაზე მოქმედებს მხოლოდ ერთ შემთხვევაში - როდესაც ადამიანს სწამს, რომ მიღებული შედეგები სწორედ მისი ძალისხმევის და არა იღბლის, ან სხვა ადამიანის ქმედებების შედეგია. ადამიანები განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ ზოგადად რას უფრო მიაწერენ წარმატებას, ან წარუმატებლობას - საკუთარ ძალისხმევას, თუ უფრო იღბალს, ან ძალაუფლების მქონე ადამიანების ჩარევას. შესაბამისად, კონტროლის შინაგანი ლოკუსი (Internal Locus of Control), ანუ ინტერნალობა წარმოადგენს მრწამსს იმის შესახებ, რომ მიღებული შედეგები პიროვნების ქმედებებით არის განპირობებული. კონტროლის გარეგანი ლოკუსი

³⁰ ქვეთავი მთლიანად მომზადებულია შემდეგ წყაროზე დაყრდნობით: სუმბაძე, ნ., ქიტიაშვილი, ა., ფირცხალავა, ე., მაისურაძე, მ. (2012) - თვით აღწერითი საზომები ფსიქოლოგიაში I, თბილისი,

(External Locus of control) ანუ ექსტერნალობა კი ეფუძნება მრწამსს, რომ შედეგებს პიროვნების გარეშე მყოფი ძალები, იღბალი, ან სხვა ადამიანები განსაზღვრავენ. კონტროლის ლოკუსი ექვემდებარება პიროვნებაში მიმდინარე ცვლილებებს. შინაგანი კონტროლი იზრდება ასაკთან ერთად. კონტროლის ლოკუსთან კავშირშია სქესიც. მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალების უფრო დიდი ნაწილი ექსტერნალია (Gurin., Guri., & Morrison, 1978; McNeil., & Jacobs, 1980). კონტროლის ლოკუსის საზომი სკალა ჯულიან როტერმა (Rotter) 1996 შექმნა. სკალა იძულებითი არჩევანის ფორმატში არის შესრულებული და რესპონდენტებისგან მოითხოვს „ა“ და „ბ“ მტკიცებების ყოველი წყვილიდან, ერთის - შინაგანი ან გარეგანი კონტროლის ლოკუსის ამსახველი მტკიცების შერჩევას, მტკიცებისა, რომელსაც იგი უფრო მეტად ეთანხმება. სკალა შედგება 29 წყვილი მტკიცებისგან, რომელთაგანაც 23 ზომავს კონტროლის ლოკუსს, 6 წყვილი კი შემაჯავებელ მტკიცებებს წარმოადგენს.

3.9. ემოციური ემპათიის საზომი (QMEE)³¹

ემოციური ემპათიის საზომი (The Questionnaire Measure of Emotional Emphathy, QMEE) მერაბიანმა და ეპსტეინმა (Mehrabian & Epstein) 1972 წელს შექმნეს. ემპათია წარმოადგენს სხვისი განცდების მიმართ მგრძნობიარობას, მათ გაზიარების და გაგების უნარს (Choplin., et al. 1985). პიროვნების ეს თვისება რელევანტურია პროფესიული შერჩევისათვის. ემპათიის კვლევებში იკვეთება ორი მიდგომა. ერთი მათგანი ემპათიაში უფრო მეტად კოგნიტურ ელემენტს უსვამს ხაზს და განიხილავს მას, როგორც ადამიანის უნარს, გაიზიაროს სხვისი თვალთახედვა; მეორე მიდგომა აქცენტს ემოციურ კომპონენტზე აკეთებს და ემპათიას განიხილავს, როგორც სხვისი გრძნობების განცდის უნარს. კოგნიტური ემპათიის ყველაზე გავრცელებულ საზომს ჰოგანის ემპათიის სკალა (Hogan Emphathy Scale. Hogan 1969) წარმოადგენს, ემოციური ემპათიის საზომს კი მერაბიანისა და ეპსტეინის ემოციური ემპათიის

³¹ ქვეთავი მთლიანად მომზადებულია შემდეგ წყაროზე დაყრდნობით: სუმბაძე, ნ., ქიტიაშვილი, ა., ფირცხალავა, ე., მაისურაძე, მ. (2012) - თვით აღწერითი საზომები ფსიქოლოგიაში I, თბილისი,

სკალა (QMEE, Mehrabian & Epstein 1972). დევისმა თავის მრავალგანზომილებიან საზომში (Interpersonal Reactivity Index, IRI. Davis, 1980) გააერთიანა ეს ორი მიდგომა.

ზოგადად, ეპათიის მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანები ემოციურად და სოციალურად უფრო მგრძობიარენი არიან და დიდ ინტერესს იჩენენ სოციალური გარემოს მიმართ (Cliffordson, 2004). ემპათიის მაღალი დონე ადამიანს ეხმარება ისეთი საქმიანობების წარმატებით განხორციელებაში, რომლებიც თანაგრძნობას და ურთიერთობაში ემოციის გაზიარებას საჭიროებს: ფსიქოლოგიაში, პედაგოგიაში, ხელოვნებაში, მედიცინაში და ა.შ. ზოგადად ემოციური ემპათია დაკავშირებულია ალგუნების მაღალ დონესთან და ამდენად კავშირშია ყველა იმ საზომთან, რომლებშიც ალგუნება ძირითად კომპონენტს წარმოადგენს.

მერაბიანის, იონგისა და სატოს (Mehrabian, Young, & Sato, 1988) კვლევების მიხედვით, ემპათიის სკალაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანები უფრო მეტ აფილაციურ ტენდენციას და ნაკლებ აგრესიულობას ამჟღავნებენ. სკალა 33 დებულებისგან შედგება.

ის დადებით კორელაციაში აღმოჩნდა, ზოგადად ემოციურ კეთილდღეობასთან, წარმატებულ ინტერპერსონალურ ურთიერთობებთან, ცხოვრებაში წარმატების მიღწევასთან, სამსახურებრივ და ფინანსურ წარმატებასთან (Mehrabian, 2000).

IV თავი

4.1. კვლევითი ნაწილი

4.1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი და ამოცანები: ჩვენი კვლევის მთავარ მიზნად დავსახეთ შეგვემუშავებინა ცოლ-ქმრული კონფლიქტების საკვლევო ინტრუმენტი, რომელიც სპეციფიკური ცვლადების - შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის გაზომვით, იძლევა საშუალებას განსაზღვრულ იქნას, თუ რომელ საფეხურზე შეიძლება აღმოჩნდნენ ოჯახის წევრები ცოლ-ქმრული და ოჯახური სისტემების წრიულ მოდელზე, რომელიც ოჯახების თექვსმეტ ტიპს აერთიანებს.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნის შესასრულებლად გამოიკვეთა შემდეგი კვლევითი ამოცანები:

- ქართული პოპულაციისთვის კულტურის, ტრადიციებისა და ფსიქოსოციალური მახასიათებლების გათვალისწინებით კითხვარის შექმნა, რომელიც ცოლ-ქმრული შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის განზომილებების დიაგნოზირებისა და შეფასებებისათვის განსაკუთრებული ცნებებისა და ცვლადების გამომხატველია.
- ჩვენ მიერ შემუშავებული კითხვარის საშუალებით განისაზღვროს, ქართველ წყვილებში, კონფლიქტების პროცესში, თუ რა როლი აქვს ადაპტაციურობისა და შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) ფაქტორს და როგორ გადანაწილდებიან წრიულ მოდელზე მოცემულ 16 შესაძლო ტიპში.
- ცოლ-ქმრული კონფლიქტების საკვლევო სკალებისა და მეთოდების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდეს წრიული მოდელის, როგორც ოჯახების სისტემური კვლევის სიახლის მნიშვნელობა, ქართულ რეალობაში.

ჩვენ საზომი ინსტრუმენტის შექმნის პროცესში გამოვიყენეთ სტანდარტული პროცედურები, რაოდენობრივი მეთოდები და კვლევა რამდენიმე ეტაპად ჩავატარეთ. კვლევისათვის ჩვენ მიერ გამოყენებული იქნა სპეციალურად შედგენილი კითხვარი, სხვადასხვა სტანდარტიზებული ინსტრუმენტები და შემდეგი თვით აღწერითი

საზომები: თვითფლობის სკალა, კონტროლის ლოკუსის სკალა, ემოციური ემპათიის საზომი (სუმბაძე, ნ., ქიტიაშვილი, ა., ფირცხალავა, ე., მაისურაძე, მ. 2012)

ჩამოთვლილი მეთოდების გამოყენება განაპირობა ჩვენმა მიზანმა, განგვესაზღვრა არსებობდა თუ არა სტატისტიკურად სანდო კავშირი ჩვენს ინსტრუმენტსა და აღნიშნულ მეთოდებს შორის, კერძოდ, შეგვემოწმებინა ჩვენი ვარაუდი, რომლის თანახმადაც:

1. თვითფლობის მაღალი მაჩვენებელი კავშირში იქნება შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაღალ მაჩვენებელთან, ხოლო თვითფლობის დაბალი მაჩვენებელი, შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის დაბალ მაჩვენებელთან;
2. როტერის ლოკუსის კონტროლის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი კავშირში იქნება შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის დაბალ მაჩვენებლებთან, ხოლო ლოკუსის კონტროლის დაბალი მაჩვენებელი, კავშირში იქნება შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაღალ მაჩვენებელთან;
3. ემპათიურობის მაღალი მაჩვენებელი კავშირში იქნება შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაღალ მაჩვენებელთან, ხოლო ემპათიურობის დაბალი მაჩვენებელი, შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის დაბალ მაჩვენებელთან.

4.1.2. კვლევის მიმდინარეობა

ცოლ-ქმრული კონფლიქტების საკვლევი ინსტრუმენტის შექმნისა და ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების შესწავლის მიზნით ჩატარდა ოჯახების გამოკითხვა. კვლევაში მონაწილეობა 1800 -მა რესპონდენტმა მიიღო. კვლევა საქართველოს რამდენიმე ქალაქში, (თბილისი, რუსთავი, ზუგდიდი, წალენჯიხა) გარკვეული დროის ინტერვალების დაცვით ჩატარდა. გამოკითხვა დაყვავით ეტაპებად და ყოველ ეტაპზე, გამოკითხვაში სხვადასხვა რაოდენობის რესპონდენტებმა მიიღეს მონაწილეობა. კვლევის დაწყებამდე რესპონდენტებს ვაწვდიდით სრულ ინფორმაციას კვლევის მიზნების, მეთოდების, მოსალოდნელი შედეგების და კვლევასთან დაკავშირებული შესაძლო დისკომფორტის შესახებ, რომელიც შესაძლოა

ცოლ-ქმრული ურთიერთობების შესახებ კითხვებსა და კითხვარის შესავსებად საჭირო დროს გამოეწვია. ინსტრუქციის მიცემის შემდეგ, იწყებოდა საკუთრივ გამოკითხვა და თითოეული სკალის შევსება 15-20 წუთი გრძელდებოდა. კვლევის ყველა ეტაპზე, მხოლოდ ქორწინებაში მყოფ რესპონდენტებს ვთხოვდით მონაწილეობას.

პირველი ეტაპი: საპილოტე გამოკითხვები

საპილოტე გამოკითხვის I ეტაპისთვის ჩამოვყალიბეთ დებულებები, რომელიც ჩვენი მოსაზრებით, შინაარსობრივად ცოლ-ქმრული და ოჯახური სისტემების წრიული მოდელის ორი განზომილების - შეჭიდულობისა (კოჰეზიურობის) და ადაპტაციურობის და მასში შემავალი ტიპების გამომხატველი იყო. ჩავატარეთ საპილოტე გამოკითხვა. შედეგები სტატისტიკური პროგრამის SPSS 20-ის საშუალებით დავთვალეთ.

საპილოტე გამოკითხვის II ეტაპისთვის, მოვახდინეთ დებულებების კლასიფიკაცია და ჩავატარეთ მეორე რაოდენობრივი გამოკითხვა. შედეგები ლ. ტურსტონის მიერ შემოტანილი კუმულაციის მეთოდის გამოყენებით დავამუშავეთ.

საპილოტე გამოკითხვის ორივე ეტაპზე, მონაწილეობა მთლიანობაში 100-მა რესპონდენტმა მიიღო.

მეორე ეტაპი: შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მახასიათებლებისა და დებულებების სანდოობის დადგენა

დებულებების სანდოობის დასადგენად, ჩავატარეთ გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა 650-მა რესპონდენტმა მიიღო, თუმცა ანკეტების არასრულყოფილად შევსების გამო, მხოლოდ 600 რესპონდენტის მონაცემები იქნა გამოყენებული. შედეგები სტატისტიკური პროგრამის SPSS- 20 -ის საშუალებით დავამუშავეთ. მონაცემების დასამუშავებლად გამოყენებულ იქნა პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, ვარიაციის კოეფიციენტი, კრონბახის ალფა კოეფიციენტი, რეგრესიული ანალიზი, ფაქტორული ანალიზი.

მესამე ეტაპი: შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის ფაქტორთა განსაზღვრა

კვლევაში მონაწილეობა 850-მა რესპონდენტმა მიიღო, თუმცა ანალიზისთვის 804 რესპონდენტის მონაცემები იქნა დატოვებული. კლასტერული ანალიზით დავადგინეთ შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის ხარისხი, ასევე დავთვალეთ დებულებებისათვის ქულების მინიჭების საერთო ანალიზის საფუძველზე, თუ როგორ გადანაწილდნენ წყვილები სქესის მიხედვით და რამდენი ოჯახის ტიპი გამოიყო ჩვენი კვლევის შედეგად. შედეგები სტატისტიკური პროგრამის SPSS 20 -ის საშუალებით დავთვალეთ.

მეოთხე ეტაპი: სანდოობისა და ვალიდობის დადგენა

გამოვიყენეთ Re-Test-ის მეთოდი და ჩავატარეთ გამოკითხვა. III ეტაპზე ჩატარებული გამოკითხვიდან 1 წლის შემდეგ, ხელმეორედ გამოვკითხეთ პირველი 50 ოჯახი (100 რესპონდენტი) რათა დაგვედგინა, არსებობდა თუ არა სანდო დამოკიდებულება გამოკითხულთა პირველ ჯერზე გაცემულ პასუხებსა და მათ მიერ მეორე გამოკითხვისას შემოხაზულ პასუხებს შორის. მონაცემები დავთვალეთ სპირმენისა და კენდელის კოეფიციენტებით.

ვალიდობის დასადგენად, კვლევა 2 ეტაპად დავყავით.

I ეტაპზე, ოლსენის შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის შეფასების სკალა N3 (FACES) -ისა და ჩვენს მიერ შექმნილი კითხვარის საშუალებით, გამოვკითხეთ 50 წყვილი (100 რესპონდენტი) და დავთვალეთ პირსონისა და კენდელის კოეფიციენტები.

II ეტაპზე, I ეტაპის გამოკითხვიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, ჩავატარეთ გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა 50-მა წყვილმა (100 რესპონდენტი) მიიღო. ჩვენს ინსტრუმენტთან ერთად გამოვიყენეთ „სნაიდერის თვითფლობის სკალა“, „როტერის კონტროლის ლოკუსის სკალა“, „მერაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომი“.

ორივე ეტაპის გამოკითხვის შედეგები SPSS 20 -ის საშუალებით დავთვალეთ.

4.2. შედეგების ანალიზი

საპილოტე გამოკითხვები I/II ეტაპები

პირველი ეტაპი - დიდი რაოდენობის დებულებები ჩამოვაცალიბეთ და საწყის პერიოდში გამოყოფილი დებულებების რედაქტირების შემდგომ, დავტოვეთ მხოლოდ ისინი, რომელიც ჩავთვალეთ, რომ საკვლევ საკითხს ყველაზე მეტად შეეფარდებოდა. რედაქტირების პროცესში გამომდინარე იქიდან, რომ აუცილებლობას არ წარმოადგენდა ნეიტრალური ან ანტიტოტური (პირდაპირ საპირისპირო) მსჯელობების შერჩევა, ჩვენ უფრო მეტი მნიშვნელობა მივანიჭეთ დებულებებში ასახული ყოფილიყო დამოკიდებულებები როგორც ნეგატიური (არ მოსაწონი) ასევე პოზიტიური (მოსაწონი) და ამბივალენტური მიმართებებით.

პირველი საპილოტე გამოკითხვისთვის, შევქმენით კითხვარი, რომელიც წრიული მოდელის 16 ოჯახის ტიპის საკვლევად იყო ჩვენი აზრით ყველაზე რელევანტური. თითოეული ტიპისთვის 10 დებულება ჩამოვაცალიბეთ, რომლებიც ასევე შემდეგი კომპონენტების მიხედვით განვსაზღვრეთ:

- ფინანსები;
- გართობა-დასვენება;
- რელიგია;
- სიყვარულის გამოხატვა;
- მეგობრები;
- პირობითობა (სწორი, ან დამახასიათებელი ქცევა)
- მიზნები, ამოცანები;
- დრო;
- გადაწყვეტილებები;
- ემოციური კავშირები;
- კარიერა;
- ბავშვები;
- დისციპლინა;
- წესები;

- როლები, ცვლილებები;
- საოჯახო საქმეები, დავალებები;
- ცოლ-ქმრული ურთიერთობები;
- ოჯახური ერთიანობა;
- უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობა;
- ლიდერობა, ძალაუფლება.

ამ პარამეტრებით შედგენილი დებულებები ვანახეთ 10 სპეციალისტს, რომლებსაც საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ცოდნა გააჩნიათ. მათი აზრით დებულებები აკმაყოფილებს პარამეტრებს.

ჩვენს მიერ ჩატარებულ პირველ საპილოტე გამოკითხვაში, მონაწილეობა ორმოცდაათმა რესპონდენტმა მიიღო. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, რესპონდენტები უნდა ყოფილიყვნენ ქორწინებაში და სულ მცირე, ორი შვილი მაინც უნდა ჰყოლოდათ. ფაქტორული ანალიზით, 16 ტიპიდან თითოეულისთვის შევარჩიეთ მხოლოდ ის დებულებები, რომლებიც ყველაზე მაღალი წონებით გამოიყო. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, გარკვეული რაოდენობის დებულებები კითხვარიდან ამოღებული იქნა. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტორული ანალიზის შედეგად ყველა დაბალი მაჩვენებლით არ იყო მოცემული, გამოკითხვის პროცესში წარმოქმნილი გაუგებრობებიდან გამომდინარე, ჩვენი გამოკითხვისთვის ბევრი მათგანი ჩავთვალეთ, რომ სწორად განსაზღვრული დებულება არ იყო და საჭიროებდა შეცვლას.

მეორე ეტაპი - ამ ეტაპზე დებულებების კონკრეტიზაცია და შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მიხედვით გადანაწილება განვახორციელეთ. კვლევაში მონაწილეობა ორმოცმა რესპონდენტმა მიიღო, რომლებიც იმყოფებოდნენ ქორწინებაში და ნუკლეარულ ოჯახებს წარმოადგენდნენ. მოცემული კვლევისათვის, პირველი გამოკითხვის შედეგად მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული დებულებები გამოვიყენეთ, რომელიც ჩვენი აზრით ყველაზე კარგად გამოხატავდა შეჭიდულობასა და ადაპტაციურობას ოჯახში. კითხვარის შესაქმენლად გამოვყავით კომპონენტები, რომელიც სკალაზე 1- დან (გათიშული 8-მდე

(ჩართული) შეჭიდულობისთვის და 1-დან (რიგიდული) 8-მდე (ქაოტური) ადაპტაციურობისთვის - შესაფასებლად გამოიყენება (Olson, 1989).

კომპონენტები, რომელთა საშუალებითაც განისაზღვრება შეჭიდულობა:

- ემოციური კავშირები;
- გადაწყვეტილებების მიღება;
- ოჯახური ჩართულობა;
- მშობლებისა და ბავშვების კოალიციები;
- შიდა საზღვრები - დრო, სივრცე;
- გარე საზღვრები - მეგობრები, ინტერესები, აქტივობები.

კომპონენტები, რომელთა საშუალებითაც განისაზღვრება ადაპტაციურობა:

- ლიდერობა;
- დისციპლინა;
- მოლაპარაკება;
- როლები;
- წესები.

დებულებები დავწერეთ ბარათებზე, რომლებსაც ნომრები ჰქონდა მინიჭებული და ვთხოვდით რესპონდენტებს, თითოეული დებულებისათვის ქულების მინიჭებით შეეფასებინათ, თუ რამდენად გამოხატავდა დებულება ადაპტაციურობასა და შეჭიდულობას. 1-დან 11 -მდე თანაბარი ინტერვალების სკალაზე, რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ ორივე განზომილება ზრდადობის მიხედვით. გამოკითხვის ბოლოს, დავთვალეთ სკალის მაჩვენებელი, რესპონდენტების მიერ თითოეული დებულებისათვის მინიჭებული ქულების გასაშუალოებით.

შემოდგომ დავთვალეთ პროცენტული მაჩვენებელი კუმულაციის მეთოდის გამოყენებით და თითოეული დებულებისთვის ავაგეთ გრაფიკები. ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება მონაცემების ანალიზისათვის, სადაც კუმულაციის მაჩვენებელი აღნიშნავს მასში შემავალი იმ ელემენტების რიცხვს, რომელიც მიმდინარე პროცესში მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს. ასევე, კუმულაციის მაჩვენებელი მიიჩნევა კარგ საშუალებად მიღებული შედეგების გრაფიკებითა და ჰისტოგრამებით გამოსახვისათვის. ტურსტონის კვარტალური გადახრების საძიებელი მეთოდიკის

თანახმად, მეორე დაჯგუფებაში მოთავსებული პროცენტული მაჩვენებელი ემატება პირველს და ა.შ. შედეგად კი მიიღება ყოველთვის მზარდი სახით წარმოდგენილი გრაფიკული მრუდი.

გრაფიკების მიხედვით თითოეული დებულებისთვის ვიპოვეთ საშუალო, ანუ მედიანა ($M=X^{50}$), რომ დაგვედგინა დებულების პოზიცია, ანუ სკალური ღირებულება. ამის შემდეგ, იმის გასარკვევად, თუ რამდენად ერთსულოვნად შეაფასეს დებულებები რესპონდენტება (შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მიხედვით), თითოეული დებულებისათვის დავთვალეთ კვარტლური გადახრა შემდეგი ფორმულის მიხედვით: $Q=(Q^3- Q^1)/2$

სადაც Q^3 არის ზედა კვარტილი საშუალოდან, ხოლო Q^1 ქვედა. ანუ, $Q=(X^{75}-X^{25})/2$. შემდგომი კვლევისთვის დავტოვეთ ის დებულებები, რომლებიც დასაშვები ინდექსით განისაზღვრა როგორც შეჭიდულობისთვის, ასევე ადაპტაციურობისთვის. ანუ, დებულებები, რომელთა საშუალო მაჩვენებელი არ შეესაბამებოდა მოცემული კატეგორიის ინტერვალს, ხოლო კვარტლური გადახრა საგრძნობლად დიდი იყო, კითხვარიდან ამოღებულ იქნა.

4.3. II ეტაპი

შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მახასიათებლებისა და დებულებების სანდოობის დადგენა

კვლევის ამ ეტაპისთვის, შერჩეული იქნა ნუკლეარული ოჯახები (დედ-მამა და ორი შვილი), მშობლების ასაკობრივი ზღვარი 55 წლამდე ასაკით განვსაზღვრეთ. ასევე, ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, გამოკითხვაში მონაწილე ყველა რესპონდენტი უნდა ყოფილიყო ქორწინებაში. საპილოტე კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიყო შეჭიდულობისათვის 28 დებულება, ხოლო ადაპტაციურობისათვის 22 დებულება. სწორედ ეს 50 დებულება გამოვიყენეთ

კვლევის მიმდინარე ეტაპზე. ოჯახის წევრები თავად აღწერდნენ საკუთარ ოჯახს ხუთ ბალიანი შეფასების სკალაზე დებულებებისათვის ქულების მიწერით.

გამოკითხვაში მონაწილე 600 რესპონდენტიდან - რესპონდენტების 34,7% მამრობითი, ხოლო 65,3% მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. ასაკის მიხედვით კი გამოკითხული მამრობითი სქესის რესპონდენტების საშუალო ასაკი 40 წელი, ხოლო მდედრობითი სქესის რესპონდენტების 38 წელი იყო. გამოკითხულთა 77% ორი შვილი ჰყავდა.

როგორც მიუთითებენ, ტესტის სანდოობის შემოწმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა მისი შინაგანი კონსისტენტობის დადგენა და მოცემულ კვლევაში სანდოობა კრონბახის ალფა კოეფიციენტის საშუალებით იქნა შემოწმებული. ავიღეთ დებულებები, რომლებიც პირველ ფაქტორში მაღალი წონებით გადანაწილდა. აღსანიშნავია, რომ შეჭიდულობისთვის პირველ ფაქტორში გამოიყო 12 დებულება და სანდოობა იყო ძალიან მაღალი (0, 898)

ცხრილი N3. შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) განმსაზღვრელი 12 დებულებისთვის სანდოობის დასადგენად კრონბახის ალფა კოეფიციენტის მაჩვენებელი.

სანდოობის სტატისტიკური მაჩვენებელი	
Cronbach's Alpha	დებულებების რაოდენობა
.898	12

ასევე, ადაპტაციურობის განმსაზღვრელი დებულებებიდან, ავიღეთ ის 12 დებულება, რომელიც ყველაზე მაღალი წონით გამოიყო პირველ ფაქტორში - (0,856).

ცხრილი N4 ადაპტაციურობის განმსაზღვრელი 12 დებულებისთვის სანდოობის დასადგენად კრონბახის ალფა კოეფიციენტის მაჩვენებელი.

სანდოობის სტატისტიკური მაჩვენებელი	
Cronbach's Alpha	დებულებების რაოდენობა
.856	12

სანდოობის დასადგენად, გამოვიყენეთ ტექსტის ნაწილების სანდოობის მეთოდი, რომელიც არის ფსიქოდინამიკური მეთოდის სანდოობის მახასიათებელი და შეიცავს ტექსტური ამოცანების თვითღირებულებითი შედეგების მდგრადობის ან ტექსტის ერთეული პუნქტის ანალიზს.

